მასივი, ზ/პ, N43“ბ“-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის სამუშაოები; ვარკეთილი-3, I მ/რ, #35-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსისა და ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის VI შეს. №9-ში მდებარე 9 სართულიანი ავარიული კორპუსის გამაგრება-აღდგენის სამუშაოები; სამგორის რაიონში, ვარკეთილი III მასივი, ზ/პ, N43“ბ“-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის სამუშაოები; ვაკის რაიონში, ზ. ფალიაშვილის ქ. N39ბ-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის სამუშაოები; თამარ მეფის სახელობის ხიდზე ასასვლელი პანდუსის კვლევისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები; ლ. კაჩინსკის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები; მეტეხის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები; უჩანეიშვილის ქ. #2-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; ნაძალადევის რაიონში, ეროსი მანჯგალაძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები; საბურთალოს რაიონში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, ა. ემუხვარის ქ. #22-ის მიმდებარედ, ქვათაცვენის უბნის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის და პროექტირების სამუშაოები; შეშელიძის ქუჩასა და თემქის დასახლებას შორის მდებარე ფერდობზე დამეწყრილი უბნის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა; კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოები; კახეთის გზატკეცილიდან სოფ. ნასაგურამდე მისასვლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; თამარ მეფის სახელობის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გლდანის რაიონში, ლიბანის შესახვევის ბოლოს დამეწყრილი უბნის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა; ლაგუნა-ვერეს მიმდებარე საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-გაფართოება; ისნის რაიონში, ვარკეთილის IV მ/რ, III კვ. N13-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება - აღდგენა; გ.მიროტაძის ქუჩის (კოსტავას ქუჩიდან პეკინის გამზირამდე), პეკინის გამზირის (გ. მიროტაძის ქუჩიდან 26 მაისის მოედნამდე) მ. კოსტავას ქუჩის (26 მაისის მოედნიდან), სააკაძის მოედანის, ვ. ჭაბუკიანის ქუჩის(სააკაძის მოედნიდან პეკინის გამზირამდე) და ჟ. შარტავას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები; მთაწმინდის რაიონში, ი. ნიკოლაძის ქ. N5ა-ში მდებარე 9 სართულიანი ავარიული კორპუსის გამაგრება-აღდგენის სამუშაოები; უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან პეკინის გამზირამდე ველო-ბილიკისა მოწყობისა და ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებული გამწვანების თარგების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ისნის

რაიონში, ქეთევან დედოფლის გამზირის რეაბილიტაციის სამუშაოები; მთაწმინდის რაიონში, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში სადრენაჟო სისტემის მოწყობის სამუშაოები; მთაწმინდის რაიონში, მელიქიშვილის გამზირის #1-ში (ფილარმონიის წინ მდებარე) მიწისქვეშა გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გალაქტიონის სახელობის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გორგასლის ქუჩის რეაბილიტაციო სამუშაოები; მთაწმინდის რაიონში, ლადო ასათიანის ქ.#42-ის და 28-ის მიმდებარედ ქვათაცვენის უბნების დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის და პროექტირების სამუშაოები; საბურთალოს რაიონში, ვ. გოძიაშვილის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები; გლდანის რაიონში, ე.ანდრონიკაშვილის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები; ვაკის რაიონში, ნუცუბიძის V მ/რ. კორპ. #10-ის მიმდებარედ ქვათაცვენის უბნის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევისა და პროექტირების სამუშაოები; დიდუბის რაიონში, აკაკი წერეთლის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი, კორპ. N7-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის სამუშაოები; სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერია“-სთან გვირაბისა და მიწისქვეშა ავტოსატრანსპორტო გასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშოებისა და გმირთა მოედანზე მიწისქვეშა გზაგამტარის კვლევის და რეაბილიტაციის სამუშაოები; ჭავჭავაძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გლდანის რაიონში, ა. გობრონიძის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები; გლდანის რაიონში, ო. ხიზანიშვილის, ი. ვეკუასა და ხოჭოს ტბის ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოები; დიდუბის რაიონში, სოხუმის ქუჩა N7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის საძირკვლის უსაფრთხოებისათვის სადრენაჟო სისტემის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; ნაძალადევის რაიონში, ზღვის უბნის დასახლება IV მ/რ. კორპ. N2-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის სამუშაოები; კახეთის გზატკეცილის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სამგორის რაიონში, სამხედრო დასახლების შიდა გზების მოწყობის სამუშაოები; გლდანის რაიონში, ხევძმარას ხევის კოლექტორის მონაკვეთის (დაზიანებული მონაკვეთის მომიჯნავედ) სარეაბილიტაციო სამუშაოები; ჩუღურეთის რაიონში, მტკვრის მარცხენა სანაპიროდან გალაქტიონ ტაბიძის ხიდზე ასასვლელი პანდუსის მოწყობა; დავით აღმაშენებლის ხეივნის სარეაბილიტაციო სამუშაოები; მინდელის

სახელობის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ზემო ფონიჭალა N3-ში აფეთქების შედეგად დაზიანებული პორპუსი N23-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე N83-ის მიმდებარედ არსებული N50 შახტის გადახურვის სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მომზადდა 61 ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია.

02 03 02 სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტების ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია

2018 წლის გეგმა - 4,807.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,766.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.1%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საავტომობილო გზების, წყალსადენ–კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის და სარეაბილიტაციო სამუშაოების, საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის სამუშაოებზე ზედამხედველობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით; ლაბორატორიული კვლევების მომზადება; შესრულებული სამუშაოების აქტების, ფორმა 2–ების შემოწმება და დადასტურება; საპროექტო დოკუმენტაციის, დეფექტური აქტებისა და ტექნიკური დავალებების ანალიზი; მონიტორინგის განხორციელება სხვადასხვა სამუშაოებზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის ფუნქციონირების ხარჯები. მიმდინარე პერიოდში ლაბორატორიის მიერ ზედამხედველობა განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილებისა და ლაბორატორიული სამუშაოები: ზედამხედველობა განხორციელდა 1420 ობიექტზე. აქედან: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 426, გამგეობების ობიექტი – 994.

ლაბორატორიამ განახორციელა: ასფალტ–ბეტონის ნარევის კვლევა – 991, საკონტროლო კერნის ამოჭრა ლაბორატორიული კვლევისათვის – 879 კერნი.

წყალსადენ–კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მოწყობის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ დასრულებულია სამუშაოები 259 ობიექტზე, აქედან: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 58, გამგეობების ობიექტი – 201.

ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ შესრულდა საზედამხედველო სამუშაოები 791 ობიექტზე, აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 72, გამგეობების ობიექტი – 719.

ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შემსწავლელი განყოფილების მიერ მომზადებულია 389 დასკვნა ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები გამგეობების 1351 ობიექტზე. მათ შორის: სამშენებლო ობიექტების ტექზედამხედველობის შემოწმებული - 1139; ლიფტების ტექზედამხედველობის შემოწმებული - 160; გამაგრების ტექზედამხედველობის შემოწმებული - 52.

02 05 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 24,927.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 23,821.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: განათებული ქალაქი და ობიექტების მინათებით მხატვრული ეფექტის გაზრდა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება; კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ექსპლოატაცია გაეწია

124 502 სანათს, მათ შორის: გარე განათება – 110 697 სანათი, მხატვრული მინათება – 13 805 სანათი. ასევე, შპს „თბილსერვის ჯგუფისათვის“ გადარიცხულია 2,224.4 ათასი ლარი, მატ შორის: მშვიდობის ხიდის განათების სისტემის რეაბილიტაციისათვის სანათი მოწყობილობების შეძენის მიზნით - 2,000.0 ათასი ლარი, კოჯრის დასახლებასთან მდებარე აზეულას (ქოროღლი) ციხის მინათებისა და მისასვლელი გზის განათების მოწყობის მიზნით 147.0 ათასი ლარი, მდ. ვერეზე (სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან) მდებარე საქვეითო ხიდის მხატვრული მინათების მოწყობის მიზნით - 77.4 ათასი ლარი.

02 06 სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 2,470.0 ათასი ლარი დაფინანსდა 2,397.8 ათასი ლარით. გეგმის 97.1%.

დასახული შუალედური შედეგები: სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა; ქალაქში დატბორილი ადგილების აღმოფხვრა, ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: სანიაღვრე კოლექტორების, სათავე ნაგებობების შემოწმება (ზედაპირულად და სანიაღვრე კოლექტორში გავლით) – 292.55 კმ; სათავე ნაგებობების, სანიაღვრე წვიმმიმღებების, სანიაღვრე ჭების, გვერდმიმღებების და არასტანდარტული ჭების გაწმენდა – 28 758 ც; კიუვეტების გაწმენდა – 29 627 გრძ.მ; სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების გარეცხვა სპეც.ტექნიკის გამოყენებით – 92 705 გრძ.მ; დაზიანებული ცხაურების, გვერდმიმღებების ხუფების და ყრუ ხუფების შეცვლა – 650 ც; სადრენაჟე და სანიაღვრე სისტემების აღდგენა, მოწყობა (სანიაღვრე ჭების შეკეთება, თუჯის ოთხკუთხა ჩარჩო, გვერდმიმღების ჩარჩო, რ/ბ ჭის რგოლი დ=1000მმ, რ/ბ ფილა

(თუჯის ჩარჩო ხუფით), ახალი ჭების მოწყობა (თუჯის ჩარჩო-ხუფით ან ცხაურით) - 571 ც.

02 07 ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2018 წლის გეგმა - 5,303.0 ათასი ლარი დაფინანსდა 4,738.9 ათასი ლარით. რაც გეგმის 89.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქის მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმება; ღონისძიებათა ტექნიკური უზრუნველყოფა მაღალ დონეზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: მემორიალური დაფების დამზადება-მონტაჟი; სახელმწიფო დროშების განთავსება, შეცვლა და ჩამოხსნა; საკონცერტო და ღონისძიებებისათვის საჭირო მონიტორებით მომსახურება; სადღესასწაულო, ყვავილებითა და თაიგულებით მომსახურება; სპეცეფექტებითა და მხატვრული ფოიერვერკით მომსახურება; გახმოვანების საკონცერტო აპარატურით მომსახურება; სასცენო-საკონცერტო განათება-მინათების აპარატურით მომსახურება; 26 მაისისათვის სასცენო დეკორაციებით მომსახურება; სხვადასხვა სცენებით, ტრიბუნებით, სასცენო გადახურვებით, ასაწყობი ტიპის სცენით მომსახურება; ღონისძიებების ელექტროფიცირება; 2018 წლის საახალწლო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა და ღონისძიებების ფარგლებში დეკორატიული ბუხრის მოწყობა; 2018-2019 წლის საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში საციგურაო მოედნით მომსახურების შესყიდვა; 2018-2019 წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით საახალწლო ქალაქში განთავსებული დეკორაციების მოწყობა (სანტას სახლი, ვორქშოპი, კონსტრუქცია ინტერიერით, პერგოლა ხის გაფორმებით, მაგიდებით და სკამებით); 2019 წლის შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების სრულყოფილად და შეუფერხებლად ჩატარების უზრუნველსაყოფად, მრავალფუნქციური საშობაო წისქვილი/კოშკის შესყიდვა; 2018 – 2019 წლის საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში საახალწლო ჯიხურების გაფორმება საახალწლო აქსესუარებით; სხვადასხვა ღონისძიებების

უზრუნველსაყოფად კარვების მოწყობა, ბიოტუალეტებით მომსახურება; კარვების რეცხვა; ღონისძიებების ელექტროფიცირება; მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის საფლავის მოწყობა; ვერის ბაღში მდებარე მერაბ კოსტავას ბიუსტის აღდგენა-რესტავრაცია; კახეთის გზატკეცილზე მდებარე ''ადამიანი და მზე'' მონუმენტის აღდგენა-რესტავრაცია; ბარათაშვილის ქუჩის მიმდებარედ ქართველი კომპოზიტორის რევაზ ლაღიძის სკულპტურული კომპოზიციის დამზადება და განთავსება; ვაკის პარკში, 1923 წელს დახვრეტილი ქართველი მამულიშვილების ''სამხედრო ცენტრის'' წევრების მემორიალის დამზადების და განთავსების მომსახურება; დანტე ალიგიერის ბიუსტის დამზადება და განთავსება. ასევე, ბარათაშვილის ხიდზე საგამოფენო სივრცის მოწყობის მიზნით ლაითბოქსების დამზადება-მონტაჟისათვის შპს „თბილსერვის ჯგუფს“ გადაერიცხა 132.6 ათასი ლარი.

02 09 კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 40,184.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 40,729.8 ათასი ლარის 98.7%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 09 01 კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 5,695.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,576.9 ათასი ლარით. რაც გეგმის 97.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა; მოსახლეობის დაცვა გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან; ქალაქის იერსახის გალამაზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სახის მომსახურება და სამუშაოები: „მშვიდობის ხიდი“-ს მოვლა-პატრონობა; გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა; თბილისის მასშტაბით დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენის სამუშაოები; მისამართების

აღმნიშვნელი აბრების (საინფორმაციო დაფების) დამზადების და მონტაჟის სამუშაოები; თბილისის მასშტაბით, საფეხმავლო ხიდების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; თბილისის ტერიტორიაზე არსებული კლდეებიდან ავარიული კლდოვანი ფენის მოხსნის და ჩამოშლილი კლდოვანი გრუნტის მასის გასუფთავება-გატანის სამუშაოები; გლდანში, პატარა ტბის მიმდებარედ გულისაშვილის, მაისურაძის, ტიხონოვისა და მარჯანიშვილის ქუჩების კანალიზაციის ქსელის მოწყობა, ვაკის რაიონში სოფელ ახალდაბაში, დოდო აბაშიძის ქუჩის განაშენიანებისთვის წყალმომარაგების ქსელის მოწყობა და სხვა. გარდა ამისა, თბილისის მასშტაბით 54 შადრევნის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებისთვის შპს „ეკოსერვისისთვის“ გადარიცხულია 670.4 ათასი ლარი. ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 360.2 ათასი ლარი, პირველი რესპუბლიკის მოედანზე განთავსებული 300 წლის ზეთისხილის ხის ირგვლივ არსებული ზღუდის რელიეფური ქვის კვადრატებით მოპირკეთების ხარჯების ასანაზღაურებლად და მთაწმინდის რაიონში, ლადო გუდიაშვილის ქუჩის ტროტუარზე განთავსებული მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორების დემონტაჟისა და უსაფრთხო ადგილზე გადატანის უზრუნველსაყოფად.

02 09 08 ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობისა და მოძრავი ქონების აღრიცხვა-რეგულირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2018 წლის გეგმა - 215.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 213.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით დღესასწაულებისა და სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა; მოწესრიგებული სასაწყობო მეურნეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: სხვადასხვა ღონისძიებათა ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად შემზღუდავი ჯებირების მოწყობა და ალაგება, კარვების მოწყობის მომსახურება, კარვების ტენდების გაწმენდა-გარეცხვა, შემზღუდავი

ჯებირების შეძენა. ასევე, განხორციელდა სასაწყობე ბაზებში სტელაჟების მოწყობა, სახურავის შეკეთება და სხვა.

02 09 09 უკანონო ნაგებობების დემონტაჟი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მუნიციპალური ინსპექცია

2018 წლის გეგმა - 152.0 ათასი ლარი დაფინანსდა 112.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 73.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ლიკვიდირებული უკანონო მშენებლობები; ქალაქის გაუმჯობესებული იერსახე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები, მათ შორის: 333,75 კვ.მ. - ბეტონის ფილით (ე.წ. სინკარით) მოწყობილი გადახურვის დემონტაჟი); 1061,63 კვ.მ - შენობა-ნაგებობების არამონოლითური და არაბეტონის ფილით (ე.წ. სინკარით) გადახურვის დაშლა; 300 კვ.მ. - შენობა-ნაგებობების მონოლითური იატაკის დაშლა; 119,6 კვ.მ - მონოლითური ფილის დაშლა; 189 კვ.მ - შენობა-ნაგებობების რკინა-ბეტონის მოწყობილი კედლების დემონტაჟი; 1517,3 კვ.მ. - სამშენებლო ბლოკით მოწყობილი კედლის დაშლა; 126,56 კუბ.მ. - რკინა-ბეტონის საძირკვლის დაშლა; 7657,5 გრძ.მ. - მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების (ღობეების) დაშლა; 46 კვ.მ. - უსახური ჯიხურების და ნაგებობების დემონტაჟი; 750,92 კვ.მ. - უსახური ჯიხურების და ნაგებობების დაშლა; 340 მ. - ელ.გაყვანილობის დემონტაჟი; 1520 კუბ. მ. - ნარჩენების დატვირთვა მის სარგებლობაში არსებულ ავტომანქანებზე და მუნიციპალიტეტის მიერ სპეციალურად საამისოდ გამოყოფილ ადგილზე განთავსება.

02 09 10 კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 3,287.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,221.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: დამონტაჟდა ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობილობები, მოეწყო ფანჩატურები, დაიდგა საპარკე სკამები. გაწეულია ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრის, სხვლა-ფორმირების და დამუშავება-გატანის მომსახურების, გამწვანების, სკვერების საპროექტო და საექსპერტიზო დოკუმენტაციის შედგენის, სკვერებისა და სტადიონების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოების, ქუჩებისა და სკვერების მიმდებარედ ლითონის მოაჯირებისა და ქუჩიდან კორპუსის სადარბაზოსთან მისასვლელი კიბის მოწყობის, კანალიზაციის ქსელის მოწყობის, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების საცხოვრებლის გაზიფიცირების საფასურის, ქუჩებისა და სკვერების მიმდებარედ ლითონის მოაჯირების მოწყობის, საყრდენი კედლის მოწყობის, რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში დაზიანებული ინვენტარის და ინფრასტრუქტურის შეკეთების, ეკლესიების ფინანსური დახმარების და სხვა ხარჯები. ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ძლიერი ქარისა და წვიმისგან დაზიანებული სახურავების აღსადგენად გადარიცხულია 73.6 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - საყრდენი კედელის და კორპუსებთან მისასვლელი კიბეების მოწყობა - 25 მისამართი, ლითონის მოაჯირების მოწყობა - 728 გრძივი მეტრი, კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია - 2 მისამართზე; ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის ინფრასტრუქტურა - სკვერის და მზის საჩრდილობელის (ფანჩატური) მოწყობა, აღდგენა-რეაბილიტაცია - 47 მისამართი, სპორტული მოედნების აღდგენა-რეაბილიტაცია - 34 მისამართი, ფიტნეს ტრენაჟორები - 12 მისამართზე; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით

უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 65 ოჯახი; 11 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 09 11 კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 2,970.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,969.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ხეების სხვლა-ფორმირების, დაჭრა-დამუშავება-გატანის, მოჭრისა და კუნძების ამოღების სამუშაოები, სკვერებში არსებული შადრევნებისა და წყლის დეკორატიული ნიჭარების მოვლა-პატრონობის, არსებული სკვერების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები, კომუნალური ხარჯი, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის მომსახურების და რაიონის იერსახის მოწესრიგების სამუშაოები, საპარკე სკამის შესყიდვისა და მონტაჟის სამუშაოები, სატრანსპორტო კვანძზე ჩამოსასვლელად კიბეების მოწყობა - რეაბილიტაციის სამუშაოები, ჩატარდა მეწყერსაშიში ზონების გეოლოგიური კვლევები, მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოები, საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები და ახალი მოედნების მოწყობა, გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების შესყიდვა/მონტაჟის სამუშაოები, დასასვენებელი პავილიონების (ფანჩატურები) მოწყობის სამუშაოები, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების საცხოვრებლის გაზიფიცირების საფასურის, ეკლესიების ფინანსური დახმარება და სხვა ღონისძიებები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - საყრდენი კედლის რეაბილიტაციის, იერსახის მოწესრიგების, გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის,

სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობა-მშენებლობის, სატრანსპორტო კვანძზე ჩამოსასვლელი კიბეების მოწყობა-რეაბილიტაციის, შადრევნებისა და სასმელი წყლის დეკორატიული ნიჟარების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა - 84 მისამართზე, მეწყერსაშიში ზონების გეოლოგიური კვლევები ჩატარდა 11 მისამართზე (120 ჰა ფართობზე); ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის ინფრასტრუქტურა - სკვერის აღდგენა-რეაბილიტაცია და დასასვენებელი პავილიონის (ფანჩატური) მოწყობა - 13 მისამართი; სპორტული მოედნების აღდგენა-რეაბილიტაცია - 15 მისამართი; ახალი საბავშვო ატრაქციონების 5 მისამართზე (57 ერთეული) და ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობა - 17 მისამართზე (170 ერთეული); მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირების სამუშაოების დაუფინანსება 95 ოჯახს; ფინანსური დახმარება გაეწია 13 ეკლესიას.

02 09 12 კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 4,002.5 ათასი ლარი დაფინანსდა 3,971.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: საცხოვრებელი სახლების ეზოებში წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელის აღდგენა–შეკეთება, ფიტნესის ტრენაჟორების შესყიდვის, ტრენაჟორებისთვის საჩრდილობელი ფანჩატურისა და კაუჩუკის რბილსაფარიანი მოედნის მოწყობა, არსებული სკვერებისა და სპორტული მოედნების შეკეთება და მოვლა-პატრონობა, საბავშვო სათამაშოების (ატრაქციონების) შეძენა-მონტაჟის და სათამაშო მოედნის მოწყობა, ახალი სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობა, ახალი უსაფრთხოების მოაჯირების მოწყობა, რაიონის ტერიტორიაზე ხმელი, ზეხმელი და ავარიული

ხეების მოჭრა, სხვლა-ფორმირების, კუნძების ამოძირკვისა და დამუშავება-გატანის მომსახურებაზე, დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნაწილობრივი დემონტაჟის, დროებითი გამაგრების ღონისძიებები, დ. აღმაშენებლის სახელობის ხეივნის და ს.ახმეტელის ქუჩის კუთხეში არსებული ნაგებობისთვის საქართველოს სახელმწიფო დროშის შესყიდვა, დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნაწილობრივი დემონტაჟის და მონტაჟის, დროებითი გამაგრების ღონისძიებები, ექსპერტიზის მომსახურების ხარჯები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პანდუსის მოწყობა, თამარ მეფის გამზ. N20-ში ხანძრის შედეგად დაზიანებული შენობის სარემონტო სამუშაოები, ეკლესიების ფინანსური დახმარება და სხვა ღონისძიებები. ასევე, გაწეულ იქნა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ძლიერი ქარის შედეგად საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 219,2 ათასი ლარის ოდენობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - არსებული სკვერის და სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია – 116 მისამართზე, ახალი სკვერის და სპორტული მოედნის მოწყობა - 17 მისამართზე, საბავშვო სათამაშოების (ატრაქციონების) შეძენა-მონტაჟი - 12 მისამართზე, ახალი უსაფრთხოების მოაჯირების მოწყობა - 24 მისამართზე, წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია - 25 მისამართზე 3142.51 გრძ.მ; ეკლესიების ფინანსური დახმარება - 8 ეკლესია.

02 09 13 კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 3,142.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,134.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი

ღონისძიებები. მათ შორის: წყალსადენის, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები; შენობა-ნაგებობების ნანგრევებისგან გაწმენდის, სამშენებლო ნაგვისა და ჩამოშლილი გრუნტის გატანის სამუშაოები; საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები; მოაჯირეების, კიბეების, რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; ახალი და არსებული სკვერის მოწყობისა და შეკეთების სამუშაოები; სპორტული მოედნების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; ქუჩის ავეჯისა და ფიტნეს ტრენაჟორების შესყიდვა-დამონტაჟება; გამწვანების ღონისძიებები (ხეების გასხვლა, ფორმირება, მოჭრა და დამუშავება-გატანა; ნერგების მიწოდება-დარგვა; გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა); სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება, ეკლესიების ფინანსური დახმარება და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - საყრდენი კედელის მოწყობა - 27 მისამართი, რ/ბეტონის კიბეებისა და მოაჯირეების მოწყობა - 38 მისამართი, წყალსადენ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელის რეაბილიტაცია - 1330 გრძ/მ; ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის ინფრასტრუქტურა - სკვერის მოწყობა, აღდგენა-რეაბილიტაცია - 41 მისამართი; სპორტული მოედნების აღდგენა-რეაბილიტაცია - 21 მისამართი; ატრაქციონები, ფიტნეს ტრენაჟორები - 9 კომპლექტი; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 19 ოჯახი; 9 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 09 14 კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 3,207.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,133.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: რაიონის ტერიტორიაზე არსებული გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა; სპორტული მოედნების მოწყობა, აღდგენა - რეაბილიტაცია; საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები; კიბეების მოწყობის სამუშაოები, მცირეფასიანი საპარკე სკამების შესყიდვა-მონტაჟი; ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები; სხვადასხვა სახის მოაჯირეების (ღობეების) 697.65გრძ.მ მოწყობა; სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია; ფიტნეს ტრენაჟორების შესყიდვა-დამონტაჟება; წყალსადენ-კანალიზაციის სადრენაჟე და სანიაღვრე და ქსელების მოწყობის სამუშაოები; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება, ეკლესიების ფინანსური დახმარება და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - 8 მისამართზე საყრდენი კედლის აღდგენა-მოწყობა, წყალსადენ-კანალიზაციის სადრენაჟე და სანიაღვრე და ქსელების მოწყობა - 8 მისამართზე, კიბეების მოწყობა - 7 მისამართზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის ინფრასტრუქტურა - სპორტული მოედნების აღდგენა-მოწყობა, რეაბილიტაცია 7 მისამართზე, სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია - 23 მისამართზე, ტრენაჟორების მოწყობა 6 მისამართზე; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 38 ოჯახი; 20 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 09 15 კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 4,509.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,475.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: სოციალურად დაუცველი ოჯახების გაზაფიცირების სამუშაოები; გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის ხეების გასხვლა-გადაბელვა; მწვანე გაზონისა და ნერგების შესყიდვა და მოვლა-პატრონობა); საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები; კიბეების აღდგენა-მოწყობის სამუშაოები; სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; სკვერების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; ფაჩანტურების მოწყობის სამუშაოები; გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორების შესყიდვა, სპოერტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, ეკლესიების ფინანსური დახმარება და სხვა. ამასთან, დაფარულია 2015-2016 წლებში შესრულებული სამუშაოებიდან ხარისხის გარანტიის მიზნით დაკავებული 2,5 % – 65.6 ათასი ლარი. ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 25.4 ათასი ლარი, 2018 წლის 9-10 იანვარს, ძლიერი ქარის შედეგად, საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - 7 მისამართზე საყრდენი კედლის აღდგენა-მოწყობა, სანიაღვრე ქსელის აღდგენა-მოწყობა 2 მისამართზე, კიბეების აღდგენა-მოწყობა 5 მისამართზე, ფანჩატურების მოწყობა 20 მისამართზე; ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის ინფრასტრუქტურა - სპორტული მოედნების აღდგენა-მოწყობა 20 მისამართზე, სკვერის მოწყობა, აღდგენა-რეაბილიტაცია - 52 მისამართზე, ტრენაჟორების მოწყობა 18 მისამართზე; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 156 ოჯახი; 17 ეკლესია-მონასტრის ფინანსური დახმარება.

02 09 16 კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 2,847.7 ათასი ლარი დაფინანსდა 2,840.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: წყალსადენის, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები; შენობა - ნაგებობების ნანგრევებისგან გაწმენდის, სამშენებლო ნაგვისა და ჩამოშლილი გრუნტის გატანის სამუშაოები; საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები, მოაჯირეების, კიბეების, რკინა - ბეტონის კონსტრუქციების მოწყობა - რეაბილიტაციის სამუშაოები; ახალი და არსებული სკვერის მოწყობისა და შეკეთების სამუშაოები, სპორტული მოედნების აღდგენა -რეაბილიტაციის სამუშაოები, საბაღე სკამების და ფიტნეს ტრენაჟორების შესყიდვა - დამონტაჟება, გამწვანების ღონისძიებები (ხეების გასხვლა, ფორმირება, მოჭრა და დამუშავება - გატანა, ნერგების მიწოდება - დარგვა, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა - პატრონობა), სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება, ეკლესიების ფინანსური დახმარება და სხვა. ამასთან, სარეზერვო ფონდიდან გაწეულია სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავის აღდგენა-შეკეთების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - საყრდენი კედელის მოწყობა - 8 მისამართი, რ/ბეტონის კიბე-პანდუსის მოწყობა - 9 მისამართი, სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია - 10 მისამართი, საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია - 1 მისამართი, სარწყავი სისტემის მოწყობა - 1 მისამართი; ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის ინფრასტრუქტურა - სკვერის მოწყობა - 5 მისამართი, სპორტული მოედნის მოწყობა - რეაბილიტაცია - 8 მისამართი, ფანჩატურის (ტრენაჟორით) მოწყობა - 6 მისამართი, საბაღე სკამის დამზადება - მონტაჟი - 75 ცალი; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 20 ოჯახი; 14 ეკლესიას გაეწია ფინანსური დახმარება.

02 09 17 კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 4,050.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,049.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: წყალსადენის, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები; შენობა - ნაგებობების ნანგრევებისგან გაწმენდის, სამშენებლო ნაგვისა და ჩამოშლილი გრუნტის გატანის სამუშაოები; საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები, მოაჯირეების, კიბეების, რკინა - ბეტონის კონსტრუქციების მოწყობა - რეაბილიტაციის სამუშაოები; ახალი და არსებული სკვერის მოწყობისა და შეკეთების სამუშაოები, სპორტული მოედნების აღდგენა -რეაბილიტაციის სამუშაოები, საბაღე სკამების და ფიტნეს ტრენაჟორების შესყიდვა - დამონტაჟება, გამწვანების ღონისძიებები (ხეების გასხვლა, ფორმირება, მოჭრა და დამუშავება - გატანა, ნერგების მიწოდება - დარგვა, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა - პატრონობა), ეკლესიების ფინანსური დახმარება, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის, ზედამხედველობის ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - საყრდენი კედელის მოწყობა - 6 მისამართი, სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია - 8 მისამართი, საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია - 37 მისამართი; ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის ინფრასტრუქტურა - სკვერის მოწყობა - 17 მისამართი, სპორტული მოედნის მოწყობა - რეაბილიტაცია - 18 მისამართი, ტრენაჟორების მოწყობა - 19 მისამართი, ფანჩატურების მოწყობა - 27 მისამართი, საბაღე სკამის დამზადება - მონტაჟი - 200 ცალი; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები

- გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 121 ოჯახი; 21 ეკლესიას გაეწია ფინანსური დახმარება.

02 09 18 კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 3,150.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,148.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მიტოვებული სამშენებლო ნარჩენის სანქციონირებელ ნაგავსაყრელზე გადაყრა; სკვერების მოწყობის სამუშაოები; საზოგადოებრივი ტუალეტების მოვლა-პატრონობა; გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობა; წყლის სასმელი ნიჟარების და მორწყვის წყლის ხარჯი; გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების დამუშავება-გატანა, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა); რაიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა მცირე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები; ფაჩატურების მოწყობის სამუშაოები; ლელვთახევში საფეხმავლო ბილიკებზე უსაფრთხოების მიზნით ლითონის ღობე-ჯებირების მოწყობა-მონტაჟი; ფიტნეს ტრენაჟორის შეძენა-მონტაჟი; გორგასლის ქ.N23-ში საცხოვრებელი სახლის (კულტურული ძეგლის) ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები; სპორტული მოედნების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობის სამუშაოები; კანალიზაციის კოლექტორის მოწყობის სამუშაოები, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება, ეკლესიების ფინანსური დახმარება და სხვა. ამასთან, დაფინანსებულია 150 ცალი მცირეფასიანი მოძრაობის შემზღუდავი ბარიერების და 130 ცალი საპარკე სკამის შეძენა-მონტაჟის ხარჯები

და სხვადასხვა სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შდგენის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - 9 მისამართზე საყრდენი კედლის დამჭერი კონსტრუქციების მოწყობა, სანიაღვრე ქსელის მოწყობა 1 მისამართზე; საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია 9 მისამართზე; ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის ინფრასტრუქტურა - 2 მისამართზე სპორტული მოედნის მოწყობა, 3 ცალი ფიტნეს ტრენაჟორის შეძენა-მონტაჟი, სკვერის აღდგენა-რეაბილიტაცია 4 მისამართზე; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 3 ოჯახი; 9 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 09 19 კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 3,498.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,337.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნანგრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდა, ავარიული ელემენტების აღდგენა, სამშენებლო ნაგვისა და გრუნტის გატანის სამუშაოები, სკვერებში შეკეთების სამუშაოები, გამწვანების, ხეების სხვლა-ფორმირების, კანალიზაციის ქსელების შეკეთების, სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოების, წყლის დასალევი ნიჟარებისა და სოკოების მოვლა-პატრონობის, საბაღე სკამების შეძენა, ლითონის მოაჯირებიანი საფეხმავლო ბილიკის, გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლის და კიბის მოწყობის სამუშაოები, ეკლესიების ფინანსური დახმარება და სხვა ღონისძიებები.

გარდა ამისა, დაფარულია 2017 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების დავალიანება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - შენობების გამაგრების სამუშაოები 2 მისამართზე, კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები 20 მისამართზე, წყლის დასალევი ნიჟარების მოვლა-ექსპლუატაციის სამუშაოები 15 მისამართზე, ჭრა-ფორმირების სამუშაოები ჩაუტარდა 1189 ძირ ხე-მცენარეს; ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის ინფრასტრუქტურა - ახალი სპორტული მოედნების და სკვერების მოწყობა - 11 მისამართზე, არსებული სკვერების რეაბილიტაცია - 5 მისამართზე; 17 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 10 ქალაქის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი

2018 წლის გეგმა - 62,507.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 62,365.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: შენარჩუნებული თბილისის კულტურული მემკვიდრეობა, რესტავრირებული არქიტექტურული ძეგლები, აღდგენილი და რეაბილიტირებული შენობები, მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხორებო პირობები, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ინფრასტრუქტურა, ქალაქის ინოვაციური განვითარება, ქალაქგანვითარების კონცეფციების მეთოდური უზრუნველყოფა, ქალაქგანვითარებაში ჩართული ინვესტორები და დონორები, ქონების რეალიზაციით მიღებული დამატებითი შემოსავლები, ფონდის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ამაღლებული ხარჯთეფექტიანობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თბილისის განვითარების ფონდის ფუნქციონირების ხარჯები (თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, მივლინების, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება,

ავტომობილების დაზღვევისა და დასუფთავების მოსაკრებლის ხარჯები და სხვა). გარდა ამისა, სამუშაოები მიმდინარეობდა შემდეგ მიმართულებებზე:

ფონდზე რიცხული ობიექტების დაცვით უზრუნველყოფის ხარჯები, ექსპერტიზის ხარჯები, სამშენებლო ობიექტებზე დენის და წყლით უზრუნველყოფის ხარჯები, ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის (ქირის) და მასთან დაკავშირებული თანმდევი ხარჯები (სულ გამოყვანილია 254 ოჯახი, მათ შორის: ორბელიანის მოედანზე არსებული სახლებიდან - 209 ოჯახი, ხოლო გუდიაშვილის მოედანზე არსებული სახლებიდან - 45 ოჯახი), ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის ნივთების გადაზიდვა დაცულ საწყობში სამშენებლო სამუშაოების პერიოდში განმავლობაში თანმდევი ხარჯებით; ასევე, დაფინანსდა აღმაშენებლის ბაღების კონცეფციისა და პროექტირების ხარჯები. (2017 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაო);

სპეციალური კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში, მსხვილი არეალების რეაბილიტაციის მიმართულებით, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში გრძელდება ორბელიანის მოედანზე და ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, გრძელდება ორბელიანის მოედანზე დაახლოებით 150 ავტომანქანაზე გათვლილი მიწისქვეშა პარკინგის მოწყობის სამუშაოები.

ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაციის ფარგლებში დავით აღმაშენებლის N22 მდებარე საცხოვრებელი სახლის, დადიანის N34 სახლის, ყავლაშვილის N5-7-ის, პუშკინის N19-ის და სულხან-საბას N4 სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ისტორიული სადარბაზოების რეაბილიტაციის მიმართულებით გრძელდება ტაბიძის N18 და აღმაშენებლის N93 ისტორიული სადარბაზოების რეაბილიტაცია.

მუზეუმების რეაბილიტაციის მიმართულებით გრძელდება ილიას მუზეუმის (ჯავახიშვილის N7) სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: აღდგენილი და გამაგრებული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და სხვა

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობები; საინჟინრო - სარეაბილიტაციო პროექტები; ქალაქანვითარებითი პოტენციალის გამოსავლენად ჩატარებული კვლევები; გაუმჯობესებული საცხოვრებელი და საბინაო პირობები; დასაქმებული მოქალაქეები, რომლებიც ჩაერთვებიან სამშენებლო, ტურისტულ და კომერციულ დარგებში.

02 11 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საფინანსო საქალაქო სამსახური; ვაკის რაიონის გამგეობა.

2018 წლის გეგმა 4,517.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,170.4 ათასი ლარით. რაც გეგმის 70.2%-ია.

დასახული საბოლოო შედეგები: სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტირება და დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების შექმნა


საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში ვაკის რაიონის გამგეობის მიერ დაფინანსდა 573.8 ათასი ლარით, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების (11 მისამართი) სარემონტო სამუშაოები. ასევე, დაზარალებული მოქალაქეებისათვის საოჯახო ნივთების შესაძენად ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 7 ოჯახს და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 6 ოჯახს.

საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ გაცემულია 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქისათვის საოჯახო ნივთების შესაძენად ფინანსური დახმარება 8.0 ათასი ლარის ოდენობით.


საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ ქონების მართვის სააგენტოდან წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე სტიქიის შედეგად დაზარალებული 5 პირისგან გამოსყიდული იქნა მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება და გაიცა ფულადი სახსრები საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, 2,588.5 ათასი ლარის ოდენობით.


❖ ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

ათასი ლარი



ათასი ლარი





03 01 გამწვანების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 30,219.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 28,731.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.1%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდის მანძილზე გამწვანების ღონისძიებების ფარგლებში ქალაქში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: მცენარეთა ფიტოსანიტარული გამოკვლევების, მავნე ორგანიზმების შესწავლის და მათ წინაამღდეგ ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით თბილისის მასშტაბით 180 მისამართზე განხორციელდა 90 000 ძირი ხე-მცენარის, 20 000 ბუჩქისა და 85 კვმ ყვავილნარის მონიტორინგი. გაკეთდა 650 ცალი ნიადაგის ჭრილი, შემუშავებულია შესაბამისი სამეცნიერო დასკვნები განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. ფიტოსანიტარიული კვლევების რეკომენდაციების შესაბამისად მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკური (წამლობა) ღონისძიებები განხორციელდა 123.5 ჰა ფართობზე. შედეგად შეიწამლა 120 000 ხე-მცენარე, 6 000 ბუჩქი და 750 კვმ ყვავილნარი. ასევე, განხორციელდა 2016 წლის შემოდგომაზე დარგული ხეების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების ინსპექტირება და მონიტორინგი (მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების

აქტების გაფორმება); ყოველთვიურად ხორციელდებოდა 13 ხელშეკრულების ფარგლებში, 170 მისამართზე დარგული 93 750 ნერგის მდგომარეობის შესწავლა.

სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან (რომელიც არის აზიური ფაროსანასთან ბრძოლის მთავარი ორგანო საქართველოს მასშტაბით) თანამშრომლობით მიმდინარეობს მონიტორინგი აზიური ფაროსანის გავრცელებასთან ბრძოლის მიზნით. განხორციელდა თბილისში განთავსებული 323 ფერომონიანი მწერმჭერის მონიტორინგი; აგრეთვე, სურსათის ეროვნულ სააგენტოდან ცხელი ხაზით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დამატებით გადამოწმდა მოსახლეობიდან შემოსული 188 შეტყობინება. განხორციელებული წამლობის ფარგლებში გათვალისწინებული იქნა აზიური ფაროსანასთან ბრძოლისათვის გამოსაყენებელი პრეპარატებიც.

განხორციელდა სანიტარიული ჭრები ზეხმელი ხეების მოჭრის მიზნით. კოჯორში, ოქროყანაში, ბაგებში, წყნეთის გზატკეცილზე და ჯიქიას სასაფლაოს მიმდებარედ მოიჭრა 9 945 ძირი ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი და მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხე. თბილისის მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციაზე (ურბანული ტერიტორია და ტყე) მონიშნული იქნა 20 000 (ოცი ათასი) ზეხმელი ხე.

მიმდინარე წელს ვაკის პარკის, ვერის პარკის, 9 აპრილის პარკის, კიკვიძის პარკის, ბარათაშვილის ქუჩაზე, სააკაძის მოედანსა და სხვა ტერიტორიაზე განხორციელდა 57 000 კვმ. ტერიტორიაზე ჰიდროთესვის მეთოდით ბალახის თესვა; თბილისის მასშტაბით სხვადასხვა მისამართებზე შეტანილ იქნა 5 900 კბმ. მიწის ნოყიერი ნაზავი (ორგანული სუბსტრატი), სხვადასხვა ობიექტებზე მოიჭრა და გატანილ იქნა 300 კბმ. სტრუქტურადარღვეული ნიადაგი, თბილისში შერჩეულ გზაგამყოფ კუნძულებზე არსებული საფარის დემონტაჟის, სარწყავი სისტემის მოწყობის და ნიადაგის ნოყიერი ნაზავის შეტანის სამუშაოები 4820 კვ.მ, საანგარიშო წლის განმავლობაში დაიგო 15 000 კვმ. რულონური გაზონი.

ტოპო გადაღების ჩატარების საშუალებით სხვადასხვა ობიექტებზე გატანილი და მიწოდებული ნიადაგის რაოდენობის (მ3–ში) დადგენის მომსახურების ფარგლებში სხვადასხვა ობიქტზე აზომილ იქნა 25 000 კვმ. ფართობი; განხორციელდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე

ნარგავების ინვენტარიზაციისა და მართვის გეგმის შედგენის სამუშაოები“. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს თბილისის მწვანე ნარგავების ტყეების ფათობების იდენტიფიცირება, მათ შორის დაურეგისტრირებელი ფართობების აღრიცხვა მათი შემდგომი დარეგისტრირების მიზნით, საპროექტო ფართობი შეადგენს 11 900 ჰა-ს.

ასევე, განხორციელდა გამწვანებულ ტერიტორიებზე განხორციელებული დენდროლოგიური პროექტების მოვლა პატრონობა და პეკინზე ბეტონის ქოთნებში დარგული ბუჩქოვანი მცენარეების მოვლა პატრონობა; თბილისში სხვადასხვა ტერიტორიაზე დაირგო 2 771 მაღალტანოვანი (არანაკლებ 3 მ) მერქნიანი მცენარე; კარტოზიას ქუჩაზე 140 ძირი ნერგების (ჰიმალაის კედარი, ტირიფი, აკაცია, ტყემალი) დარგვა. ასევე, მელიქიშვილის ქუჩაზე, ფილარმონიის წინ არსებულ ტერიტორიასა და ვერის პარკის მიმდებარედ განხორციელდა არსებული ბამბუკისფოთლიანი მუხის ნერგების შევსება (დაირგო 35 ძირი ნერგი) და დ. აღმაშენებლის ხეივანში (დროშის მიმდებარედ) არსებული ტერიტორიის 4 720 ძირი დეკორატიული მცენარეებით განაშენიანება. ასევე, პარლამენტის შენობის (რუსთაველის გამზირი N8) და სახვითი ხელოვნების მუზეუმის წინ (გუდიაშვილის ქ.N18) განხორციელდა არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე 43 ძირი მერქნიანი მცენარის დარგვა. დასრულდა 636 500 ცალი სხვადასხვა ჯიშის სეზონური ყვავილების შესყიდვა და დარგვა. თბილისის სხვადასხვა ტერიტორიაზე სხვადასხვა სახეობის 3 453 ძირი დეკორატიული მცენარის (ბუჩქების) დარგვა, 2 250 ძირი დეკორატიული ბუჩქი დაირგო კოსტავა შარტავას ქუჩებზე (ტობირას ფიტოსპორუმი, წყავი კულტივარი „novita“ ბურთის ფორმა, წვრილფოთოლა ბზა კულტივარი „faulkner“ ბურთის ფორმა, იაპონური (პრიალა) კვიდო, მარადმწვანე ძახველი), 410 ძირი დეკორატიული ბუჩქი დაირგო ტაშკენტის ქ., გლდანის მასივი მ/რ N113ა, ა. მიცკევიჩის, ლ.კაჩინსკის, სამღერეთის, ქუჩებზე (სურო, პრიალა ძახველი, იულის კოწახური, დიდყვავილა აბელია, პრიალა ცხრატყავა), 1400 ძირი დეკორატიული ბუჩქი დაირგო ჭოველიძე-კოსტავას ქუჩების კვეთიდან პ.მელიქიშვილის ქუჩის გასწვრივ (ჩინური ჟასმინი,

ფორჩუნის ჭანჭყატი კულტივარი „emerald'n gold“, ფორჩუნის ჭანჭყატი კულტივარი 'emerald gayeti', პრიალა ცხრატყავა).

თბილისის სხვადასხვა ტერიტორიებზე დაირგო 6 557 ძირი სხვადასხვა სახეობის მერქნიანი მცენარე კერძოდ: მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის მონასტრის მიმდებარედ, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ურუშაძის სკვერში, ლოტკინის დასახლება, ვაკის პარკში, უზნაძის ქუჩაზე, ხიზანიშვილის ქუჩაზე, დედაენის ბაღში, ვ.გოძიაშვილის პარკის მიმდებარედ, დუმბაძის ქუჩა, ლეხ კაჩინსკის ქუჩა, მზიურის პარკი, ჯანაშიას ქუჩა, ჩიტაიას მოედანი, გაბრიელ სალოსის გამზირი, ჟ. შარტავას ქუჩა, ფონიჭალის დასახლება, სოფ. გლდანულა, ჯ. ბალანჩინის ქუჩა, რუსთაველის გამზირი, გმირთა მოედანი, ჩოლოყაშვილისა და ბახტრიონის ქუჩების კვეთაზე, თამარაშვილის ქუჩა, ცინცაძე-კარტოზიას ქუჩების კვეთაზე, დიდი დიღომი, სააკაძის მოედანი, ჯავახეთის ქუჩა, ჭავჭავაძის გამზირი, გაგარინის მოედანსა და პეკინის ქუჩებს შორის შუა გამყოფი ზოლი და სხვა. მარშალ გელოვანის გამზირზე (ვაშლიჯვრის ასახვევთან) დაირგო 190 სხვადასხვა სახეობის მერქნიანი მცენარე; გლდანის მე-6 მიკრო რაიონში, 7-20 კორპუსებს შორის არსებული ახალი პარკის ტერიტორიაზე დაირგო 271 ძირი სხვადასხვა სახეობის მერქნიანი მცენარე.

სარწყავი სისტემის აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოები დასრულდა ვაკის პარკში, სამაიას სკვერში და ბარათაშვილის ქუჩის შუა გამყოფ ზოლში. ასევე, თბილისის სხვადასხვა ტერიტორიაზე მოეწყო სარწყავი სისტემა წყნეთის გზატკეცილსა და ჩოლოყაშვილის გამზირთან არსებულ შუა გამყოფ ზოლში და მიმდებარე თარგებში, პეკინის გამზირის შუა გამყოფი ზოლში, მირიან მეფის და ჯ. ბალანჩინის ქუჩებთან არსებულ შუა გამყოფი ზოლში და მიმდებარე თარგებში, მარცხენა სანაპიროსა და აგლაძის ქუჩის კვეთაზე არსებულ შუა გამყოფ ზოლში და მიმდებარე თარგებში, ჩოლოყაშვილის გზატკეცილისა და ბახტრიონის ქუჩის გადაკვეთაზე არსებულ თარგებში, სააკაძის მოედანზე არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე, პეტრიწის ქუჩაზე არსებულ თარგებში, ჯავახეთის ქუჩაზე, მოსკოვის ქუჩის გადაკვეთის წერტილიდან თბილისის ზღვის მიმართულებით შუა გამყოფ ზოლში და მიმდებარე თარგებში, პეტრიწის ქუჩაზე არსებულ

თარგებში, გლდანის მე-6 მიკრო რაიონში, 7-20 კორპუსებს შორის არსებული პარკში, ცინცაძეს და კარტოზიას ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ თარგებში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე არსებულ თარგებში და სხვა.

განხორციელდა ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არსებული მწვანე სივრცეების (სარაჯიშვილის შუა გამყოფი ზოლი, ვასაძის შუა გამყოფის ზოლი, დუმბაძის გამზირი, ნონეშვილის ქუჩა, გობრონიძის ქუჩა, ახმეტელიდან მუხიანისკენ შუა გამყოფი ზოლი, ფონიჭალა, ერთიან მებრძოლთა ქუჩა, დინამოს სტადიონის მიმდებარედ არსებული წრიული კუნძული) ტოპო გეგმის შედგენა სულ 96 886 კვ.მ; ბუშის ქუჩის, კახეთის გზატკეცილის განაპირა ზოლების, მონუმენტის „ადამიანი და მზის“ მიმდებარედ არსებული თარგების მოწყობის და დენდროლოგიის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; კუს ტბის მიმდებარედ, ს/კ 01.14.13.013.010 მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებულ 69 676 კვმ. ფართობზე მწვანე ნარგავების აღდგენა-გაშენების საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება.

თბილისში სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებულ დასასვენებელ სივრცეში დამონტაჟდა 40 ცალი წიწვოვანი ხის მასალით გაწყობილი საპარკე სკამი, 100 ლარიქსის ხის მასალით გაწყობილი თუჯის დეკორატიული საყრდენიანი საპარკე სკამი, „თბილისი“-ს წარწერის მქონე 145 ცალი თუჯის საპარკე სკამი და 70 ცალი T ფორმის ლითონის კარკასის მქონე საპარკე სკამი. ასევე, დამონტაჟდა 245 ცალი დეკორატიული სანაგვე ურნა ამოსაღები სათლით. შესყიდული იქნა: აიწონა-დაიწონა, აქტივობის კოშკი, საქანელა, საბავშვო კომპლექსური ატრაქციონები (2 ტიპის), ატრაქციონები განთავსდა რიყეზე, 9 აპრილის ბაღის ზედა ტერასაზე, გაბრიელ სალოსის #160-ში არსებულ სკვერში (მოეწყო საბავშვო მოედანიც), ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებული შუა გამყოფ ზოლში, გაბრიელ სალოსის #49-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში (2 აიწონა დამონტაჟდა), 4 ერთეული ხელის სანავიგაციო და მეტეოროლოგიური ხელსაწყო Gps Map 64 (თანმდევი მომსახურებით ტრენინგი).

დამუშავდა დიღმის ჭალებში ახალი საქალაქო პარკის მოწყობის პროექტი; ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩაზე მდებარე სკვერის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია; განხორციელდა ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე

მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე არსებული გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოები: გაბრიელ სალოსის გამზ. N47 და N49 კორპუსებს შორის არსებული სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები, ცინცაძის ქ.N42/5-ის მიმდებარედ არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები; წურწუმიას ქუჩა N4-ის მიმდებარედ არსებული სკვერის აღდგენა-მოწყობის სამუშაოები და გლდანის მე-6 მ/რ, კორპ. N7-20-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი სკვერის მოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოები.

ასევე, ანაზღაურებული იქნა წინა წელს შესრულებული აგრო-ტექნიკური ღონისძიებების, ვაზისუბნის დასახლების №8-ის მიმდებარედ არსებული სკვერის აღდგენა-მოწყობის და მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხები. გარდა ამისა, შპს „ეკოსერვის ჯგუფს“ მთავრობის განკარგულების შესრულების მიზნით გადაერიცხა 6,598.8 ათასი ლარი ბაღ-პარკების (10 სკვერის) და არსებული მწვანე ზოლების მოვლა-პატრონობის (აგრო-ტექნიკური ღონისძიებები), ბაღ–სკვერებში სასმელი სოკოების (56 ერთეული), სხვადასხვა სახეობის 93 750 ძირი დარგული ნერგების მოვლა-პატრონობისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესაძენად (ხუთი ერთეული თვითმცლელი, ერთი ავტომობილი 22 მეტრიანი ამწე კალათით, ერთი ავტომობილი 26 მეტრიანი ამწე კალათით, ერთი მიკროავტობუსი და ოპერატიული საქმიანობისთვის სამი მსუბუქი ავტომობილი). ასევე, შპს "ეკოსერვის ჯგუფს" 2019 წელს წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების (არსებული მწვანე ზოლების, ბაღ-პარკების, სასმელი სოკოების, სხვადასხვა სახეობის ნერგების მოვლა-პატრონობა, მოწყობილობების და სპეციალური ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა) განსახორციელებლად გადაერიცხა 9,092.0 ათასი ლარი (მათ შორის კაპიტალური ხარჯები 1,214.2 ათასი ლარი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დარგული სხვადახვა ჯიშის ხე-მცენარეების რაოდენობა (636 500 ცალი სხვადასხვა ჯიშის ყვავილები; 14 531 სხვადასხვა სახეობის მერქნიანი მცენარე (ხეები, ბუჩქები) მათ შორის 2271 ძირი მაღალტანოვანი ხე); დროულად ჩატარებული, მავნებელ

დაავადებათა გამოკვლევა და შემდგომ მათი პროფილაქტიკური წამლობა; გამწვანებულ სივრცეებში აღდგენილი და მოწყობილი ახალი სარწყავის სისტემები; მოწყობილი სარეკრეაციო ზონები (მოსახლეობისათვის დასასვენებელი სკვერების, პარკების მოწყობა).

03 02 დასუფთავების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 104,079.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 104,032.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება, ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება, ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: მყარი და დიდი ზომის ნარჩენების გაუვნებელყოფისა და უტილიზაციის სამუშაოები, ქუჩების დაგვა-დასუფთავების სამუშაოები, დაგვა - დასუფთავებისას შეგროვებული ნარჩენების ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირების ღონისძიებები, ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსების სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა 12 340 951 კვ.მ ქუჩების და მოედნების ყოველთვიური დაგვა დასუფთავების სამუშაოები; 5 508 017 კვ.მ შიდა კვარტალური ქუჩებისა და ეზოების დასუფთავების სამუშაოები; 12 930 კვ.მ მიწისქვეშა გადასასვლელების ყოველთვიური დასუფთავების სამუშაოები; 3 601 896 კვ.მ სკვერების ტერიტორიის დასუფთავება; 2 001 200 კვ.მ ხევებისა და ფერდობების დასუფთავება. გარდა ამისა, განხორციელდა შპს „თბილსერვისის“ კაპიტალის ზრდა თბილისის მყარი ნარჩენების პოლიგონის მესამე უჯრედის (5 560 კვ.მ) მშენებლობისთვის (5,287.3 ათასი ლარი), საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის პოლიგონისთვის ორი ერთეული (საექსპლუატაციო მასა 32,1 ტ და 45 ტ) ვიბროსატკეპნი დანადგარის შეძენა (2,952.9 ათასი ლარი), საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე პირველი და მეორე უჯრედის (2200 კვ.მ) ჩრდილოეთ და დასავლეთ ფერდების გაფართოებისთვის (180.5 ათასი ლარი), ოთხი ერთეული

ავტოსატრანსპორტო (ორი ნაგავშემკრები დახურულძარიანი და ორი სატვირთო) საშუალების შესაძენად (244.9 ათასი ლარი), ორი ერთეული ხის დასაქუცმაცებელი დანადგარის შესაძენად (209.0 ათასი ლარი), ერთი ერთეული საავტომობილო სასწორის შესაძენად (78.0 ათასი ლარი), სხვადასხვა ზომის (3700 ცალი) ნაგავშემკრები კონტეინერების შესაძენად (2,000.0 ათასი ლარი), დაგვა-დასუფთავების მომსახურებისათვის 31 სპეციალური სატრანსპორტო (5 ცალი-ნაგავმზიდი 22 მ3, 15 ცალი-ნაგავმზიდი 7მ3, 2 ცალი-ნაგავმზიდი 15მ3, 1 ცალი-ევაკუატორი, 3 ცალი-თვითმცლელი 20მ3, 4 ცალი-შემოვლა (ბორტი) სატვირთო ტენტით და 1-ცალი თვითმცლელი 5მ3) საშუალების შეძენა - 7,000.0 ათასი ლარი, თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე პირველი და მეორე უჯრედის შეფუთვა კონსერვაციისთვის (რეკულტივაცია), ასევე, გაზის შეკრების, უტილიზაციასა და ღირებულ პროდუქტად გარდაქმნისთვის (კოგენერაცია) (15,000.0 ათასი ლარი) და სხვა ღონისძიებები; ასევე, 2019 წელს გასაწევი ექსპლუატაციის მომსახურების და კაპიტალური ხარჯები - 10,354.0 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ყოველთვიურად დასუფთავებულ იქნა 23 464 994 კვ.მ ტერიტორიის ფართობი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე შეტანილი იქნა 416 515 ტონა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი; მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

03 03 თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 5,912.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 5,987.9 ათასი ლარის 98.7%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

03 03 01 თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკი

2018 წლის გეგმა - 3,660.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,607.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქალაქში შეიქმნება ყველა სოციალური ფენისათვის ხელმისაწვდომი დასვენებისა და გართობის ადგილი; ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობაზე დადებითი ზეგავლენა, ვინაიდან ზოოპარკის

ტერიტორიაზე ხდება როგორც უკვე არსებული მცენარეულობის მოვლა, აგრეთვე ახალი ხე-მცენარეების დარგვა; საერთაშორისო სტანდარტის ზოოპარკის შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ზოოლოგიური პარკის ფუნქციონირების ხარჯები. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში თბილისის ზოოპარკში ვარშავის (პოლონეთი) ზოოპარკიდან შემოყვანილ იქნა სხვადასხვა სახეობის ფრინველები, ზოოპარკის ახალ ტერიტორიაზე (თბილისის ზღვის მიმდებარედ) აშენდა შემდეგი ვოლიერები: ირმებისა და ნიამორების (ცხოველები გადაყვანილია), ფოცხვერის ვოლიერი (ცხოველი გადაყვანილია), აშენდა ჯიხვების ვოლიერი და დამონტაჟდა ხელოვნური კლდე, ბელებისათვის დამატებით აშენდა სარეაბილიტაციო ვოლიერი. გარდა ამისა, ზოოპარკის ახალ ტერიტორიაზე (თბილისის ზღვის მიმდებარედ) მიმდინარეობს დომბების ვოლიერის მშენებლობა, აშენდა აფრიკული ძაღლების ორ განყოფილებიანი ვოლიერი, მოხდა აფრიკული ძაღლების ჩამოყვანა და მათი თბილისის ზღვის მიმდებარედ ვორიერში განთავსება, როგორც არსებულ ასევე თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა სამეთვალყურეო და სათვალთვალო მოწყობილობების დამონტაჟება, რაც არის როგორც ცხოველებზე დაკვირვების საშუალება, ასევე, უსაფრთხოების ნორმების დაცვისათვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. მოხდა თბილისის ზღვის ტერიტორიაზე მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორის მონტაჟი და მისი ქსელზე მიერთება; ჩატარდა თბილისის ზღვის ტერიტორიის გაზიფიცირებისათვის საჭირო დაქსელვის სამუშაოები, ვეტერინარული ლაბორატორია აღიჭურვა უახლესი ვეტ. აპარატურით. გარდა ამისა, სასწავლო ცენტრში დაინერგა ახალი საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, კერძოდ, მოწვეულ მეცნიერთა მოხსენებების მოსმენა საქართველოში არსებულ ეკოლოგიურ სიტუაციაზე, გარეულ ცხოველთა ზოგადი მდგომარეობა და მათი გადაჭრის გზები და სხვა ღონისძიებები

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ზოოლოგიურ პარკში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 302 653, რაც წინა წლის ანალოგიურ

მაჩვენებელთან (2017 წელს - 265 033) შედარებით 37 620 ვიზიტორით მეტია ანუ 14.2%-ით მეტია წინა წლის შედეგებზე.

03 03 02 ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

2018 წლის გეგმა - 2,327.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,305.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.1%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბოტანიკური ბაღის მცენარეთა ცოცხალი კოლექციების მოვლა-გამდიდრება; ფლორის ენდემური და იშვიათი სახეობების, აგრეთვე ეკონომიკური მცენარეების (სამკურნალო, დეკორატიული, საკვები, ეთერ-ზეთოვანი, საღებავი და სხვ.) კოლექციათა შევსება; ბოტანიკური ბაღის აღდგენილი და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა; ხელმისაწვდომი დასვენებისა და გართობის ადგილი; ბოტანიკური ბაღის ცნობადობის გაზრდა და ეკოსაგანმანათლეობლო როლის ზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირების ხარჯები. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: დაიწყო ბაღისათვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, მათ შორის ბონსაის საგამოფენო სივრცის, იასამნების საკოლექციო ნაკვეთის რეაბილიტაციისა და მასთან დამაკავშირებელი ახალი ტურისტული მარშრუტის მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, 2019-20 წლებისათვის ბოტანიკური ბაღის ახალი ადმინისტრაციული და ლაბორატორიული შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით საპროექტო სამუშაოები, დასრულდა სოლოლაკის ქუჩიდან ბაღის ტერიტორიაზე ჩამომავალი კიბეების რეკონსტრუქციის ძირითადი სამუშაოები, (125 გრძივ მეტრზე ჩამოისხა ბეტონის კიბე, მოეწყო საფეხურები და მოაჯირები). ასევე, დასრულდა ისტორიულ არბორეტუმში, მთავარ ტურისტულ მარშრუტზე მდ. წავკისისწყლის გასწვრივ დაზიანებული სასიმაგრო კედლების აღდგენა და

ლითონის დეკორატიული მოაჯირების მოწყობა, რამაც გაზარდა მარშრუტზე დამთვალიერებელთა უსაფრთხოება და გააუმჯობესა ტერიტორიის იერსახე. გარდა ამისა, აღდგა რამდენიმე საფეხმავლო ბილიკი და დეკორატიული კიბე, მიმდინარე სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ბაღის სამეურნეო დანიშნულების ტექნიკასა და ინვენტარს. ასევე, მიმდინარეობდა ცენტრალური საპარკე სივრცის დეკორატიული უბნის რეაბილიტაციის სამუშაოები, შეიცვალა სარწყავი კომუნიკაციები, მოეწყო დეკრატიული ბილიკები და თარგები და სხვა.

ისტორიულ არბორეტუმში დაირგო 128 ეგზემპლარი მერქნიანი მცენარის ნერგი. მცენარეები გადმოტანილია ბოტანიკური ბაღის სანერგე მეურნეობიდან. ჰიმალაის კედარი (Cedrus deodara) – 7 ეგზ. მშვენიერი იუკა (Jucca gloriosa) – 8 ეგზ. მარადმწვანე ძახველი (Viburnum tinus)-16 ეგზ., დიდყვავილა აბელია (Abelia grandiflora) – 5ეგზ. წაბლი (Cachtanea sativa) – 2ეგზ., შავი ნეკერჩხალი Acer ginnala – 4 ეგზ. ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica) - 35ეგზ. სპარსული იასამანი (Syringa persica) – 2ეგზ. პირამიდული პლატიკლადუსი (Platycladus orientalis f. pyramidalis)-7ეგზ. პლატიკლადუსის კულტივარი (Platycladus orientalis f.‚Spiralis’)’- 1ეგზ. ჯიქა Lonicera caprifolium - 20 ეგზ., შებუსვილი პავლოვნია - Pauvlovnia tomentosa - 5ეგზ. ჩვეულებრივი ძახველი - Viburnum opulus – 16 ეგზ.

ისტორიული არბორეტუმის კოლექციის ადგილობრივის სახეობებით გამდიდრების მიზნით, ა.წ. 17 მაისს განხორციელდა ექსპედიცია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბეთანიის მონასტრის ტერიტორიის მახლობლად. ექსპედიციის ფარგლებში მოხდა ქართული ნეკერჩხლის (Acer ibericum M.Bieb.is a synonym of Acer monspessulanum) პოპულაციის შეფასება. გაიზომა ქართული ნეკერჩხლის ხეების დიამეტრი და სიმაღლე. ჩატარდა ასოცირებული სახეობების აღწერა, დადგინდა, რომ ქართული ნეკერჩხალი გვხვდება შერეული კორომის სახით. აღებულია GPS კოორდინატები კორომის დარუკების მიზნით დაშეგროვდა წინასწარ დამუშავებული მეთოდიკის ფარგლებში ქართული ნეკერჩხლის ფოთლები მორფომეტრიული ანალიზისათვის. მოვიპოვეთ ჯიქას (Lonicera caprifolium) 20 ეგზემპლარი თვითნათესი, რომელიც დარგულია ისტორიულ არბორეტუმში.

საანგარიშო პერიოდში დამუშავდა ბოტანიკური ბაღის ეკოსაგანამანათლებლო პროგრამების დიდი ნაწილი, მომზადდა ცალკეული პროექტები და მისი განხორციელების მექანიზმები. დაიწყო საგანმანათლებლო აქტივობები სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის. მომზადდა ბაღში მიმდინარე მოვლენების შესახებ სხვადასხვა საინფორმაციო და შემეცნებითი რუბრიკა, პრესისა და საინფორმაციო პორტალების საშუალებით, ასევე, ეკოსაგანამანათლებლო აქტივობების შესახებ ინფორმაცია მომზადდა ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო საბჭოს (BGCI) ბოტანიკური ბაღების განათლების საერთაშორისო კონგრესზე წარსადგენად ქალაქ ვარშავაში. გაიზარდა ბოტანიური ბაღის საგანმანათლებლო მიზნებით დამთვალიერებელთა რიცხვი, საანგარიშო პერიოდში ბაღმა უმასპინძლა 80 სკოლის 1700-მდე მოსწავლეს და გაუწია მათ შესაბამისი მომსახურება. ასევე, სასწავლო პრაქტიკა გაიარა 6 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 200-ზე მეტმა სტუდენტებმა. გარდა ამისა, ჩატარდა 75 ქართული და უცხოენოვანი ექსკურსია.

საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილი იყო ბაღის ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების, მცენარეთა კოლექციის, მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო პარკის, ასევე სხვა მატერიალური ფასეულობების 24 საათიანი დაცვა. განხორციელდა ბოტანიკური ბაღის ვიდეო მონიტორინგის სისტემის განახლების სამუშაოები, დამატებით განთავსდა ახალი ვიდეოდაკვირვების წერტილები.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები ბოტანიკური ბაღის ლანდშაფტის მოწყობის გენერალური გეგმის შექმნის მიმართულებით, მიმდინარეობდა მუშაობა დონორ ორგანიზაციებთან, მზადდებოდა პროექტები და სხვა ღონისძიებები. სპეციალისტებთან კონსულტაციის გზით განისაზღვრა ბოტანიკური ბაღის ლანდშაფტური გეგმის მომზადებისათვის აუცილებელი სამუშაოების ჩამონათვალი, მოხდა სავარაუდო ფასების განსაზღვრა, რის საფუძველზეც უკვე გამოცხადდა ტენდერი ბაღის ლანდშაფტური განვითარების გენერალური გეგმის მომზადების თაობაზე.

დასრულდა ბოტანიკური ბაღის მცენარეთა კოლექციების მართვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება. დამუშავდა ამერიკისა და ევროპის

ბოტანიკურ ბაღში მოქმედი მსგავსი დოკუმენტები, მიმდინარეობს უშუალოდ დოკუმენტის მომზადება. უკვე დამტკიცებულია კოლექციების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.


საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა დონორ ორგანიზაციაში წარდგენილ იქნა 2 საგრანტო პროექტი. მათ შორის თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოში წარდგენილმა პროექტმა ,,საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში მცენარეთა დაცვის ეფექტურობის გაზრდის ხელშეწყობა“ წარმატებით გაიარა შერჩევის ყველა ეტაპი და მის ფარგლებში ბოტანიკურ ბაღს უკვე გადმოეცა მცენარეთა დაცვის საშუალებები, ინვენტარი, მათ შორის აღსანიშნავია მცენარეთა საინექციო მოწყობილობები და არბოტონი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდება მერქნიანი საშუალებების უკეთ გამოკვლევა და დიაგნოსტიკა.

საანგარიშო პერიოდში ბოტანიკური ბაღის მიერ განხორციელდა თბილისის მასშტაბით მცენარეთა აღწერა-შეფასების საექსპერტო მომსახურება, შესაბამისად გაცემულია 260 საექსპერტო დასკვნა. მნიშვნელოვნად გაიზარდა საექსპერტო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, რომელიც შეადგენს 272.3 ათას ლარს, რაც წინა წლის მონაცემებს 15%-ით აღემატება.


მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ბოტანიკურ ბაღში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 300.0 ათასი ვიზიტორი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (260.7 ათასი ვიზიტორი) შედარებით 39.3 ათასი ვიზიტორით მეტია ანუ 15.07%-ით მეტია წინა წლის შედეგებზე.

- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა**


ათასი ლასი



ათასი ლარი



	დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა	თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი	ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარება	მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა	თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში	ბიზნესის სტიმულირება	ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია	თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა	თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები
2016 წლის ფაქტი	1,899.8	298.7	325.3	265.1	420.7	7.7	533.5	52.3	17.8
2017 წლის ფაქტი	453.3	0.0	248.0	39.7	425.1	65.6	6.4	39.9	0.0
2018 წლის ფაქტი	669.2	0.0	7.2	180.6	200.9	280.8	447.9	71.2	31.2



04 01 ბიზნესის სტიმულირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 592.7 ათასი ლარი დაფინანდა 280.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 47.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ხელსაყრელი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბება, ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორების განვითარების ხელშეწყობა და თბილისში რეგისტრირებული ან მოქმედი სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობის მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაიფარა 2017 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი მომსახურების ხარჯები (დარბაზის იჯარა). გადახდილ იქნა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-11 საერთაშორისო ფორუმში მონაწილე სტუმრების ავიაბილეთების ღირებულება (ეკონომიკური განვითარების მე-11 საერთაშორისო ფორუმის 2019 წელს გადატანის გამო შეძენილი ავიაბილეთები დაუბრუნდათ ავიაკომპანიებს, რის შედეგადაც 4 173.30 ლარი ჩაირიცხება თბილისის ბიუჯეტში, დანარჩენი კი ჩამოიჭრა ჯარიმის სახით); ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდინარე პროექტების ბიზნესის წარმომადგენლებისათვის გაცნობის მიზნით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა; გაწეულია ევროკავშირის გრანტის - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ა(ა)იპ „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ მიერ მომსახურების ხარჯები, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის დასაწყებად სრულყოფილი ბიზნეს-გეგმების შეთავაზებას. ასევე, ევროკავშირის გრანტის - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ბიზნეს აქსელერატორისათვის განკუთვნილ შენობაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, შეძენილ იქნა კომპიუტერული და ელექტრო ტექნიკა, საოფისე ავეჯი და საკანცელარიო საქონელი, დამზადდა ვებ-გვერდი, ითარგმნა დოკუმენტაცია, გაიწია ბრენდინგის მომსახურება (შეიქმნა ბრენდირებული

პროდუქცია, კომპანიის კრეატიული კონცეფცია, მარკეტინგული საკომუნიკაციო სტრატეგია და სხვა).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ევროკავშირის გრანტის ფარგლებში მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის შეიქმნა ბიზნეს აქსელერატორი, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს ბიზნესის დასაწყებად სრულყოფილი ბიზნეს-გეგმების შეთავაზებას.

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: ევროკავშირის გრანტის - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის“ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების (ევროკავშირთან შეთანხმების პროცედურების დროში გახანგძლივების) გამო, აქტივობების განხორციელების ვადები შეიცვალა, შესაბამისად, ვერ მოესწრო პირველი ტრანშის სრულად ათვისება.

04 03 თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 34.2 ათასი ლარი დაფინანდა 31.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ყოფელდღიური მუშაობიასათვის მნიშვნელოვანი ქალაქის განვითარების სტრატეგიების, გეგმების, კვლევების და ბაზების შექმნა. მათზე დაყრდნობით სტრატეგიული მნიშვნელობის პროგრამების და პროექტების შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაიბეჭდა კატალოგი „თბილისი ციფრებში“, მიმდინარეობს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვარში არსებული ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზის შედგენა, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესისა და მოსახლეობის ინფორმირების დონის გაზრდას და ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზის არსებობას.

04 04 თბილისი – საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 223.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 200.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 90%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისის ამაღლებული რეპუტაცია, ცნობადობის გაზრდა და ინვესტიციების მოზიდვა საერთაშორისო დონეზე; მიზნობრივ ბაზრებზე არსებულ და ახალ პარტნიორებთან ერთად განხორციელებული და შემუშავებული ღონისძიებები/პროექტები და გათვალისწინებული რეკომენდაციები; ადგილობრივ დონეზე ორგანიზებული/ თანაორგანიზებული ღონისძიებები: „თბილისის საინფორმაციო ტური“-ს და “Welcome to Georgia!” “ტურიზმის ეროვნული ეროვნული დაჯილდოების ცერემონიალი, „ევროპის ეკოტურიზმის მე-5 საერთაშორისო კონფერენცია, რეალითი შოუ „wie is the Mol”-ში ჩართულობა; თბილისში დარეგისტრირებული მცირე მეწარმეების ხელშეწყობა და მათი წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა „ევროპის მთავარი ქალაქთა ქსელის“ საწევრო გადასახადი. გარდა ამისა, ქ.თბილისის მერიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს: ქ.ზუჰაიში (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) ქალაქის სატრანსპორტო განვითარების სამუშაო შეხვედრაში; ქ.ჟენგჟოუში (ჩინეთის რესპუბლიკა) მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) ეგიდით მერების ტურიზმის საერთაშორისო ფორუმში „citi Tourism Innovation in Era of sharing Economy”; ქ.სეულში (კორეის რესპუბლიკა) ზამთრის ოლიმპიადის ფარგლებში მიმდინარე შეხვედრაში; ქ.კრაკოვში (პოლონეთის რესპუბლიკა) ისტორიული ქალაქების ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია “historical cities 3.0“-ში; EUROCITIES ქალაქთა ქსელის ფარგლებში 2018 წლის ღონისძიებების გეგმის მიხედვით ქ.უტრეხტში (ნიდერლანდების სამეფო) კონფერენცია “Delivering the SDGs – Cities working together with Citizens”-სა და სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში; ასევე, გასართობი პარკებისა და ატრაქციების

საერთაშორისო ასოციაციის მიერ გამართულ ყოველწლიურ „ევრო ატრაქციების შოუს“ ღონისძიებებში და მის ფარგლებში პარკებისა და ატრაქციების ინდუსტრიის წარმომადგენლებთან დაგეგმილ შეხვედრებზე, სადაც ასევე, განხილული იქნა თბილისში მათი მოწყობის შესაძლებლობები; ქ.ტარაგონაში (ესპანეთის სამეფო) კონფერენცია „Socio-Technical Aspects of the Cirkular and Collaborative Economy“-სა და სამუშო შეხვედრაში; ქ.ხარკოვში მე-10 საერთაშორისო ტურისტული ფორუმის „ხარკოვი: პარტნიორობა ტურიზმში“ ფარგლებში დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციაში „კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება“; ასევე, ხარკოვის პარტნიორი ქალაქების მე-3 საერთაშორისო ასამბლეაში, ქალაქის დაარსების იუბილესა და უკრაინის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებებში; ქ.ათენში (საბერძნეთის რესპუბლიკა) EUROSITIES ფარგლებში სამუშაო შეხვედრაში; ქ.ლილონგვეში (მალავის რესპუბლიკა) გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების ოფისის (UNOSD) მიერ ორგანიზებულ მერების საერთასორისო ფორუმის ფარგლებში გათვალისწინებულ შეხვედრაში; ქ.ბუდაპეშტში (უნგრეთის რესპუბლიკა) მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში ევროპული თანამშრომლობის ქსელის მმართველი კომიტეტისა და სამუშო ჯგუფის შეხვედრაში; ქ.სტოკჰოლმში (შვედეთის სამეფო) მწვანე ქალაქების ფარგლებში ორგანიზებულ კონფერენციაში (Green Cities Framework); ქ.დუბაიში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) უძრავი ქონების საერთაშორისო გამოფენაზე „Cityscape Clobal Dubai” წარდგენილი იქნა თბილისის საინვესტიციო პროექტები დამსწრეთათვის და ასევე, ინდივდულური შეხვედრების ფორმატში დაინტერესებული მხარეების მიერ დაიგეგმა თბილისში საქმიანი შეხვედრები; ქ.ლონდონში (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო) საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა „World Travel Market London 2018”-ში, სადაც მერიის თანამშრომლებს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ მსოფლიო ტურიზმის სფეროში არსებულ ძირითად მიღწევებსა და გამოცდილებებს; ქ.იოკოჰამაში (იაპონია) მე-7 ყოველწლიურ კონფერენცია „SIA Smart City Conference-ში, სადაც მუნიციპალიტეტს მიეცა შესაძლებლობა გასცნობოდა ღონისძიებაში მონაწილე ორგანიზაციების

გამოცდილებებს ქალაქის განვითარების ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზების შესახებ; ქ.კიევში (უკრაინის რესპუბლიკა) კონფერენციაში „მუნიციპალიტეტები მდგრადი ზრდისათვის“. გარდა ამისა, ქ.ამსტერდამში გამართულ რეალითი შოუ „wie is the Mol”-ის დასკვნით ღონისძიებაში მონაწილე სტუმრებისათვის შეძენილ იქნა სასაჩუქრე ნაკრები; ქ.თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო „თბილისის საინფორმაციო ტური“-ს და “Welcome to Georgia!” “ტურიზმის ეროვნული დაჯილდოების“ ოფიციალური ცერემონიის გამართვის ღონისძიებებში; „ტურისტული პოტენციალის რეკლამირების“ მიზნით, გამართულ ოფიციალურ ცერემონიაში, „ევროპის ეკოტურიზმის მე-5 საერთაშორისო კონფერენციის გამართვის ღონისძიებებში, ტურიზმის ინდუსტრიის მსოფლიო ფორუმი "Welcome Challenge" გამართვის ღონისძიებებში მონაწილეობის შედეგად ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მოხდა თბილისის გაცნობა როგორც ტურისტულად მიმზიდველი და საინტერესო ქალაქი; მცირე მეწარმეების ხელშეწყობის და პოპულარიზაციის მიზნით მოეწყო გამოფენა-გაყიდვა "თბილისური ბაზარი" (5-ჯერ მოეწყო რიყის პარკის ტერიტორიაზე), გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობა მიიღო 550-მდე ადგილობრივმა მეწარმემ, მათ შორის 6-მა სოციალურმა საწარმომ. ასევე, ჩატარდა საახალწლო გამოფენა-გაყიდვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქალაქებთან ახალი ტურისტული, კრეატიული და ინოვაციური პროექტების განვითარება; რამდენიმე ადგილობრივ ენერგო კომპანიასთან თანამშრომლობით ახალი პროექტები; თბილისის, როგორც ტურისტულად, ინვესტირებისათვის და ბიზნესის განვითარების საუკეთესო ლოკაცია დაინტერესებული საერთაშორისო პარტნიორები (ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, აზია და ა.შ.), რომელთანაც დაიგეგმება და განხორციელდება ახალი პროექტები ეკონომიკის სფეროების სხვადასხვა მიმართულებით; ბიზნესის დაწყებისა და მეწარმეობის განვითარების სტიმულირება; ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია; ადგილობრივი ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობა.

04 07 მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა დაფინანსებულია 180.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 184.6 ათასი ლარის 97.8%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

04 07 02 შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 30.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 26.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 87.1%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სამსახურისა და მერიის სისტემაში შემავალი სხვა სტრუქტურული ერთეულების გამართული და ეფექტური ფუნქციონირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2018 წლის 7 ივნისს გაფორმებული N04.07.02/40/284 ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა ქაღალდის ბოჭკოვანი შემადგენლობის განსაზღვრა და ქაღალდის პარამეტრების (სითეთრე, სიკაშკაშე, გაუმჭვირვალობა, წონა, სისქე, ზომა) დადგენა. ამავე ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი კვლევები: ატომურ-აბსორბციული ანალიზი, ხორცისა (მათ შორის ფრინველის) და ხორცის პროდუქტების ანალიზი, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, სოკოს და მათი გადამუშავების პროდუქტების ანალიზი, თევზის, ზღვის სხვა პროდუქტების და მათი გადამუშავების პროდუქტების ანალიზი, რძისა და რძის პროდუქტების ანალიზი, ცხოველური წარმოშობის საკვების ცხიმების ანალიზი და სხვა სახის ექპერტიზა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურსა და შპს ,,ხარისხის ლაბორატორია -LLC Quality Lab”-ს შორის 2018 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული N04.07.02/10/538 ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა სხვადასხვა სახის ლაბორატორიული მოსახურების

შესყიდვა, კერძოდ: ხორცის ნიმუშზე სახეობრივი კვლევის ცხენის და ვირის ხორცის იდენტიფიკაციაზე ჩატარება, ასევე მძიმე მეტალების შემცველობაზე ტყვია მგ/კგ, კვადრიუმი მგ/კგ; ტომატის ნიმუშებზე მშრალი ნივთიერების მასური წილის პროცენტებში დადგენა; ყველის, კარაქის, ხაჭოს, არაჟნის, მაწვნის და სასმელი რძის ნიმუშებზე რძის ფხვნილის შემცველობის (თვისობრივი) და ცხიმის შემცველობის ორიცენტებში დადგენა. გარდა ამისა, მერიის სისტემაში შემავალი ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის შემოწმებისას აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და შემდგომი ეფექტური მუშაობის მიზნით, განხორციელდა რეკომენდაციების გაცემა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების მაღალი ხარისხით და კვალიფიციურად შესრულება; მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების მიერ მათზე დაკისრებული ფუნქციების ხარისხიანად და მაღალი ეფექტურობით შესრულება.

04 07 05 საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძებები

2018 წლის გეგმა - 154.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 154.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებულ სსიპ-ებში და ა(ა)იპ-ებში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების და ბალანსის წარმოების სრულყოფის, კანონმდებლობასთან შესაბამისობის და ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლება; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სისტემაში ორგანიზაციების ეფექტური ინტეგრირება და ადეკვატური პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ სსიპ-ებში და ა(ა)იპ-ებში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების, საბალანსო უწყისების აუდიტორული შემოწმება. ასევე, გადახდილია ა(ა)იპ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულთა ფინანსისტთა ასოციაციის საწევრო გადასახადი.

04 08 თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 98.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 71.2 ათსი ლარით, რაც გეგმის 72.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქალაქის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია; ქალაქში არსებული ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; გაზრდა; ტურისტული ბიზნესების ხელშეწყობა/არსებული გამოწვევების იდენტიფიკაცია; თბილისის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა, ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისათვის კვალიფიკაციისა და სექტორში მომსახურების დონის ამაღლება; უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობისა და თბილისის ატრაქციულობის ზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დასრულდა თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ტურისტული ღირსშესანიშნაობების აღწერა და ბაზის შექმნა, განხორციელდა ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა და მათი ვიზუალიზაცია. გარდა ამისა, ქ. თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო: ბლოგერებისა და ინფლუენსერების "FAM ტურის" ორგანიზებაში; ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებისათვის სამუშაო შეხვედრის ორგანიზებაში; ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებისათვის ტრენინგების ორგანიზებაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: შეიქმნა ტურისტული ობიექტების ბაზა ფოტო და ტექსტუალური მასალით; იდენტიფიცირდა და კლასიფიცირდა დედაქალაქის ტურიზმის სფეროში არსებული გამოწვევები, ინფრასტქუტურის, მომსახურების და სხვადასხვა სფეროების გათვალისწინებით, რომელთა გადაჭრაც გააჯანსაღებს ზოგადად თბილისის ტურიზმის სფეროს; თბილისის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაცია განხორციელდა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის,

ესპანეთის და გერმანიის საერთშორისო ცნობადობის მქონე ბლოგერების მიერ, კერძოდ მათ მიერ ინტერნეტ სივრცეში განთავსდა 8 ბლოგი, 7 სტატია; ღვინის, გასტრო და თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით მასტერკლასები გაიარა 250-მდე ტურიზმის სფეროს წარმომადგენელმა.

04 09 ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 447.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისის მასშტაბით პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორების გამოვლენა; ინვესტორთა გაზრდილი ინფორმირებულობა თბილისის საინვესტიციო შესაძლებლობის შესახებ; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გააქტიურება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაიფარა 2017 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი პოლიგრაფიული მომსახურების ხარჯები (დაიბეჭდა 30000 ცალი „თბილისის რუკა“ და 40000 ცალი „ძველი თბილისის რუკა“). ჩატარდა „მუხიანის დასახლების მიმდებარედ მდებარე ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიის განვითარების და პოტენციური გამოყენების“ კვლევა და ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის კვლევა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მომზადდა: ყოფილი რადიო ქარხნის ტერიტორიის განვითარების პროექტი (განვითარების მოდელი და ბიზნეს გეგმა); თბილისის პოტენციური საინვესტიციო სექტორების კვლევის ანგარიში.

04 10 ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 7.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 7.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სსტ ისო 37120:2014/2016 თემების მდგრადი განვითარება-საქალაქო მომსახურების და ცხოვრების ხარისხის ინდიკატორების შესაბამისად ქალაქების მონაცემების მსოფლიო საბჭოს (WCCD) მიერ თბილისათვის სერთიფიკატის გადაცემა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა ISO საერთაშორისო სერთიფიკატის მინიჭების ღირებულება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მსოფლიო საბჭოს (WCCD) მიერ თბილისათვის ISO საერთაშორისო სერთიფიკატის მინიჭება.

04 12 დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 669.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოქმედი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის აქტუალური გადაწყვეტები შეივსო მრავალი პრინციპული მიდგომით, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ქალაქის მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელ წინაპირობებს. დოკუმენტი, მიიჩნევს რა პრიორიტეტულად მდგრად ურბანულ განვითარებას, მიზნად ისახავს ინკლუზიური, უსაფრთხო და მედეგი საქალაქო სივრცის შექმნას. მწვანე ქალაქის, კომპაქტურობისა და კარგად შეკავშირებულობის კონცეპტუალური მიმართულებების რეალიზებით, იქმნება თბილისის განვითარების მკაფიო სტრატეგია, რომლის შესრულებით შესაძლებელია ქალაქის წინაშე არსებული ურბანული პრობლემების ეტაპობრივი აღმოფხვრა.


საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მე-6 ეტაპის სამუშაო - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო მომსახურება, რომლის ფარგლებში წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტაცია: ა) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკა“ (დანართი N1) მისი

შემადგენელი შემდეგი ნაწილებით: თბილისის ისტორიული ნაწილის დამცავი ზონების რუკა, თბილისის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი ქსელების რუკა, თბილისის ტერიტორიაზე არსებული ელექტრომომარაგების ძირითადი ქსელების რუკა, თბილისის ტერიტორიაზე არსებული წყალსადენის ძირითადი ქსელების რუკა, თბილისის ინტერნეტ ქსელი, თბილისის ტერიტორიაზე არსებული სადრენაჟო ინფრასტრუქტურის რუკა, თბილისის ტერიტორიაზე არსებული წყალარინების ინფრასტრუქტურის რუკა, თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა, საშიში გეოდინამიკური პროცესების მიხედვით თბილისის დარაიონების რუკა, თბილისის ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების რუკა, თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებით არეალების რუკა; ბ) ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილი‘‘; გ) ’’საბალანსო მაჩვენებელთა ცვლილების აღწერა-დასაბუთება’’; დ) ,,შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების პროგრამა‘‘; ე) ,,სამოქმედო გეგმა‘‘; ვ) ,,რეკომენდაციები მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის იმპლემენტაციის პროცესში ცალკეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების კერძო ინტერესების საჯარო ინტერესებთან დაპირისპირებისას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებისთვის‘‘.


მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მომზადდა თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა.

- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება**


ათასი ლარი



ათასი ლარი



05 01 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 17,662.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 18,219.6 ათასი ლარის 96.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:



05 01 08 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1,797.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,756.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: სახურავის (ბრტყელი და ქანობიანი) შეკეთების სამუშაოები, შიდა წყალკანალიზაციის ქსელების შეკეთება, წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია, ლიფტების შეკეთება, კიბეების შეკეთება, სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია, დამონტაჟდა სადარბაზოს მეტალის კარი, შეკეთდა სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა, დეფექტური აქტების

მომზადების მომსახურების შეძენა, დამონტაჟდა შშმ პირთა სპეც. ამწე და სხვა ღონისძიებები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 138 მისამართზე.

05 01 09 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1,804.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,795.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: სადარბაზოს წყალსაწრეტი მილის შეკეთება-მონტაჟი, ბრტყელი და ქანობიანი სახურავის შეკეთება, შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება, შენობის კაპიტალური გამაგრება, ლიფტის მიმდინარე შეკეთების და ახლის მოწყობის სამუშაოები, სადარბაზოს სენსორული სანათების შეკეთება-მონტაჟის სამუშაოები, სადარბაზოს შიდა სარემონტო სამუშაოები, საერთო სარგებლობის აივნების სარემონტო, სარეაბილიტაციო და სამონტაჟო სამუშაოები, კიბის საფეხურების რეაბილიტაცია. ასევე, გადახდილია საპროექტო, ექსპერტიზის და დეფექტური აქტების მომზადების ხარჯები, 2017 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების ღირებულება და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 109 მისამართზე.

05 01 10 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 2,008.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,983.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შიდა წყალ-კანალიზაციის ქსელების და წყალსაწრეტი მილების შეცვლა-შეკეთება, ქანობიანი და ბრტყელი სახურავის შეცვლა – შეკეთება, ლიფტის აღდგენა-შეკეთების სამუშაოები, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სადარბაზოების შიდა რემონტი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები, სართულშუა ნაპრალების მიმდინარე შეკეთების, კიბეების შეკეთების, საერთო სარგებლობის კარის შეკეთების სამუშაოები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კაპიტალური გამაგრების არქიტექტურულ სამშენებლო პროექტების მომზადება, დეფექტური აქტების მომზადების ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 148 მისამართზე.

05 01 11 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 2,394.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,352.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ბრტყელი/ქანობიანი სახურავის შეკეთება; ლიფტების შეკეთება, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება, ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა და სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟი, სადარბაზოს შიდა რემონტი, საერთო საგებლობის კიბეების აღდგენა, საცხოვრებელი კორპუსების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები, საერთო სარგებლობის აივნების აღდგენა. ამასთან, გაწეულია საცხოვრებელი სახლების სხვადასხვა მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების დეფექტური აქტებისა და კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ექსპერტიზის მომსახურების ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 137 მისამართზე.

05 01 12 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1,844.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,832.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შეკეთდა ბრტყელი/ქანობიანი სახურავისა და წყალსაწრეტი მილები, ლიფტები, სადარბაზოს შიდა რემონტი, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობი, პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია, საერთო სარგებლობის ქვის კიბეების აღდგენითი სამუშაოები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 141 მისამართზე.

05 01 13 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა 2,096.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,073.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრტყელი და ქანობიანი სახურავებისა და წყალსაწრეტი მილების შეკეთებითი სამუშაოები, ლიფტის შეკეთება; სადარბაზოს კარებების დამზადება-მონტაჟი, პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია, საერთო საგებლობის კიბეების შეკეთება, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება და სადარბაზოების რემონტი. ამასთან, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 144 მისამართზე.

05 01 14 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1,969.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,808.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში

არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ბრტყელი/ქანობიანი სახურავების, ლიფტების, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის, შიდა სახურავის წყალსაწრეტი მილების, სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაციის, სადარბაზოების შიდა სარემონტო, სენსორული განათების სამონტაჟო სამუშაოები; ამასთან, გაწეულია საცხოვრებელი სახლების სხვადასხვა მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების დეფექტური აქტებისა და კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ექსპერტიზის მომსახურების ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 107 მისამართზე.

05 01 15 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1,662.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,635.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები: ბრტყელი/ქანობიანი სახურავების, ლიფტების, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის, შიდა სახურავის წყალსაწრეტი მილების, სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაციის, სადარბაზოების შიდა სარემონტო, სენსორული განათების სამონტაჟო, საერთო სარგებლობის ხის, ქვისა და ლითონის

კიბეების აღდგენის სამუშაოები; ამასთან, გაწეულია საცხოვრებელი სახლების სხვადასხვა მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების დეფექტური აქტებისა და კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ექსპერტიზის მომსახურების ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 182 მისამართზე.

05 01 16 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1,293.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,189.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 92%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები და არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შედგენის ხარჯები, საცხოვრებელი სახლების ბრტყელი/ქანობიანი სახურავისა და წყალსაწრეტი მილების შეკეთებითი სამუშაოები, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება, სადარბაზოების რემონტი. სენსორული სანათების მონტაჟი, საერთო საგებლობის კიბეების შეკეთება, სადარბაზოს კარებების დამზადება-მონტაჟი, პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია. ამასთან, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები და დაფარულია 2017 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშოების დავალიანება 9.1 ათასი ლარის ოდენობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 68 მისამართზე.

05 01 17 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1,347.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,235.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.6%-ია.


დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ბრტყელი და ქანობიანი სახურავის შეკეთება, ლიფტი შეკეთება, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობისა და სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთება, სადარბაზოების შიდა სარემონტო და შენობების თაღის სარემონტო სამუშაოები, შენობის გამაგრების სამუშაოები, რ. თაბუკაშვილის ქ.N42-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს სარემონტო-საკონსერვაციო სამუშაოები, გამაგრებითი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა, დეფექტური აქტების შედგენა და სხვა ღონისძიებები.


მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 151 მისამართზე.

- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**


ათასი ლარი



ათასი ლარი



	საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი და საბაგიროთი უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურება	სხვა დანარჩენი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	სამედიცინო, სხვა სოციალური საჭიროებების და სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები	სასწრაფო სამედიცინო დახმარება	კომუნალური სუბსიდირება	უფასო სასადილოები თ მომსახურება
2016 წლის ფაქტი	64,376.3	34,633.5	40,414.4	28,945.5	25,624.8	14,509.3
2017 წლის ფაქტი	60,122.8	41,315.9	36,520.4	29,110.2	7,324.6	16,243.3
2018 წლის ფაქტი	62,992.4	41,003.5	33,978.0	30,894.5	7,338.8	16,659.1




	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ოჯახი	4,023	4,076	4,058	4,199	4,134	4,165	4,179	4,219	4,217	4,247	4,228	4,254
ბავშვი	14,316	14,150	14,140	12,765	14,357	14,454	14,511	14,635	14,624	14,762	14,675	14,768

06 02 03 სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ,,ახალშობილთა" ერთჯერადი მატერიალური დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 412.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 411.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა, სოციალური და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ 425 ოჯახს, მათ შორის: 233 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება მე-3 შვილის შეძენისათვის, 126 ოჯახს - მე-4 შვილის, ხოლო 66 ოჯახს მე-5 და მეტი შვილის შეძენისათვის.

06 02 04 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა საკუროორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია და თბილისში რეგისტრირებული ბავშვებისათვის საზაფხულო კულტურულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობა დაფინანსებულია 717.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 717.2 ათასი ლარის 99.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამაზე:

06 02 04 01 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკუროორტო მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 717.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: შშმ პირთა ჯანმრთელობის, ემოციური ფონის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურება. ასევე, 1003 ბენეფიციარზე გაიცა საკუროორტო მომსახურების ვაუჩერი.

06 02 05 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური


2018 წლის გეგმა - 28.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 27.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.


საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 100 წელს მიღწეულ 27 მოქალაქეს.

06 02 06 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისების მიწოდება დაფინანსებულია 2,405.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 2,466.0 ათასი ლარის 97.6%-ია. ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა უფასო

სწავლება ყოველთვიურად ფინანსდება ხელოვნების სკოლებში (32 სკოლა), მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში (9 ფილიალი) და სასახლეში, სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებში (23 სკოლა/აუზი).



შენიშვნა: ივნისის სწავლის საფასური ანაზღაურდება ივლისის თვეში, ხოლო სექტემბრის - ოქტომბერში.



	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი
ხელოვნების სკოლები	2567	2562	2549	2554	2543	2518	0	0	2514
მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები და სასახლე	1994	1993	1995	2003	1990	1970	0	0	1552
სპორტული სკოლები და საცურაო აუზები	1616	1768	1749	1747	1715	1641	1231	0	1451

06 02 06 01 უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 609.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 602.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში კონკრეტულ წრეებზე განათლების დონის ამაღლება, მოზარდების ინტელექტუალური შესაძლებლობების გაღრმავება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (ბავშვთა რაოდენობა საშუალოდ თვეში 1950).

06 02 06 02 უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 973.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 972.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ხელოვნების კონკრეტულ დარგებში განათლების დონის ამაღლება, მოზარდების ინტელექტუალური შესაძლებლობების გაღრმავება. თავისუფალი დროის სასარგებლოდ გამოყენება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (ბავშვთა რაოდენობა საშუალოდ თვეში 2546).

06 02 06 03 უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 733.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 727.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.1%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ხელშეწყობა, განვითარებული და ჯანმრთელი მომავალი თაობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უფასო სწავლება სპორტის სხვადასხვა წრეებში (ბავშვთა რაოდენობა საშუალოდ თვეში 1626).

06 02 06 04 სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 150.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 104.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 69.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველთა და სხვა კატეგორიის პირთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურების, თბილისის საჯარო და სახელოვნებო სკოლების, საბავშვო ბაღების პედაგოგების და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მეტროთი და ავტობუსით შეღავათიანი მგზავრობით სარგებლობის 57 614 ერთეული პლასტიკური ბარათის შესყიდვის, სამგზავრო ბარათების ინიციალიზაციის მომსახურების, საბეჭდი მოწყობილობის სარემონტო სამუშაოების, სერვისცენტრის კომუნალური ხარჯების ანაზღაურება და სხვა.

06 02 09 სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 13,466.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 13,420.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო, ამბულატორიული და სხვა სერვისების მომსახურების დაფინანსება და ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სოციალური დახმარებისა და სხვა სერვისების ხელმისაწვდომობის განხორციელების ხელშეწყობის კომისიის ინფორმაციის თანახმად ძირითადი მოთხოვნა დაფიქსირდა მედიკამენტების, ოპერაციული მკურნალობის და სხვა სამედიცინო მომსახურებების დაფინანსებაზე. სულ სამედიცინო მომსახურებაზე გაწეულია 12,719.8 ათასი ლარი. მათ შორის: 1,875.1 ათასი ლარით დაფინანსდა საშუალოდ 3 477 ბენეფიციარის მედიკამენტებით უზრუნველყოფა, 6,255.8 ათასი ლარით საშუალოდ 6 327 ბენეფიციარის ოპერაციული მკურნალობა, ხოლო 4,588.9 ათასი ლარით საშუალოდ 5 864 ბენეფიციარის სხვა სამედიცინო მომსახურებები. გარდა ამისა, სხვადასხვა სოციალური ღონისძიებების დასაფინანსებლად ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გადარიცხულია 700.8 ათასი ლარი.

06 02 10 ომის ვეტერანების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებისა საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 154.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ვეტერანების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით 224 ომის მონაწილეს გადაერიცხა 600-600 ლარი, ომში დაკარგულის სტატუს მქონე 68 ბენეფიციარს კი 300-300 ლარი.

06 02 11 საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 62,992.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებით უფასო და შეღავათიანი ტარიფით მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (მეტრო, M2 და M3) გადაყვანილია სულ 417 348 277 მგზავრი (მათ შორის: მეტროთი - 125 706 795 მგზავრი, ავტობუსით - 131 694 986 მგზავრი, საბაგირო გზით „რიყე ნარიყალა“ 1 746 984 მგზავრი, „ჭავჭავაძის გამზირი “ – „კუს ტბა“ 199 512 მგზავრი, მიკრო ავტობუსით 158 000 000 მგზავრი). აქედან, უფასო ან შეღავათიანი ტარიფით სულ გადაყვანილია 164 238 984 მგზავრი, მათ შორის:

უფასო და შეღავათიანი ტარიფით მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსებით სულ გადაყვანილია 155 622 278 მგზავრი (მეტროთი - 68 188 397, ავტობუსით - 87 433 881), აქედან: უფასოდ 28 497 143 მგზავრი, 20 თეთრად 50 897 709 მგზავრი, 10 თეთრად 12 626 525 მგზავრი და 90 წუთის განმავლობაში ფასდაკლების სისტემის ფარგლებში 63 600 901 მგზავრი. გაწეული მომსახურებისათვის (უფასო და შეღავათიანი ტარიფით) მგზავრთა გადამყვანი შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ დაფინანსებულია 60,244.0 ათასი ლარით.

M2 კატეგორიის ავტობუსებით, სადაც მგზავრობის ფასის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, მგზავრობის ტარიფის 50%-ანი შეღავათით გადაყვანილია 8 616 706 მგზავრი. მგზავრთა გადამყვანები ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან დაფინანსებულია სულ

2,748.0 ათასი ლარით, მათ შორის: შპს „თბილ ლაინი“ - 1 221,0 ათასი ლარით, შპს „კაპიტალ გრუპი“- 324,0 ათასი ლარით, შპს „თბილ ქარი“ - 353,0 ათასი ლარით, შპს „ფაბლიქ-ქარი“ - 850,0 ათასი ლარით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (მეტრო, M2, და M3 კატეგორია) გადაყვანილია უფასო და შეღავათიანი ტარიფით სულ 164 238 984 მგზავრი, რაც 2017 წელთან (158 967 800 მგზავრი) შედარებით გაზრდილია 3.3%-ით.

განმარტება დასახულ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), M3 კატეგორიის ატობუსებით გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით გაწეული მომსახურება, კერძოდ, 155 622 278 გადაყვანილი მგზავრიდან ანაზღაურდა მხოლოდ 141 320 269 გადაყვანილი მგზავრის მომსახურების საფასური - 60,244.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 14 302 009 გადაყვანილი მგზავრის მომსახურების საფასური 6,050.0 ათასი ლარი შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ დაფარა საკუთარი შემოსავლებიდან.

06 02 13 მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 7,7 ათასი ლარი, დაფინანსდა 3.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 46.8%-ია.


დასახული შუალედური შედეგები: მარტოხელა ხანდაზმულთა საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია ცენტრის კომუნალური ხარჯები (ყოველდღიურად მომსახურებას იღებს 35-40 ბენეფიციარი).


06 02 14 უფასო სასადილოებით მომსახურება დაფინანსებულია 16,659.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 16,732.7 ათასი ლარის 99.6%-ი). თბილისში

ფუნქციონირებს 63 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 38793 ბენეფიციარს.

(ათასი ლარი)



შენიშვნა: იანვრის ხარჯები გაწეულია თებერვალში



06 02 14 06 უფასო სასადილოებით მომსახურება გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 2,793.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 9 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 6480 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 14 07 უფასო სასადილოებით მომსახურება ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 2,944.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,944.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 10 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 6893 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 14 08 უფასო სასადილოებით მომსახურება დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 938.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 937.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 4 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 2185 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 14 09 უფასო სასადილოებით მომსახურება ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1,303.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 5 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 3100 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 14 10 უფასო სასადილოებით მომსახურება ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 695.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 3 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 1600 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 14 11 უფასო სასადილოებით მომსახურება საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 733.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 730.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 5 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 1815 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს. ამასთან, დაფარულია 2017 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი მომსახურების დავალიანება 14.0 ათასი ლარი.

06 02 14 12 უფასო სასადილოებით მომსახურება ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 2,006.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 7 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 4 800 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 14 13 უფასო სასადილოებით მომსახურება სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 2,595.5 ათასი ლარი დაფინანდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 11 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 6 088 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 14 14 უფასო სასადილოებით მომსახურება კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1,455.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 4 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 3380 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 14 15 უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1,132.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,066.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.1%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 5 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 2477 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 14 16 უფასო სასადილოების ბენეფიციართა რეგისტრაციისა და აღრიცხვის უზრუნველყოფა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 134.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 131.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: უფასო სასადილოებით მომსახურების ქვეპროგრამის ეფექტიანი მართვა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პლასტიკური ბარათების, მათზე დასაბეჭდი მოწყობილობის და მისი სახარჯი მასალის, ვიდეოკამერების და მობილური ტელეფონების შესყიდვა.

06 02 15 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები დაფინანსებულია 80.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 87.1 ათასი ლარის 92.4%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 02 15 07 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 11.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 34 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

06 02 15 08 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 12.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 12.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 35 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

06 02 15 09 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 5.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 15 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

06 02 15 10 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 7.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 5.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 80%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 16 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

06 02 15 11 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 11.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 33 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

06 02 15 12 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 8.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 25 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

06 02 15 13 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 6.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 18 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

06 02 15 14 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 12.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 36 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

06 02 15 15 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 4.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 2.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 67.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 8 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

06 02 15 16 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა


2018 წლის გეგმა - 7.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 50%-ია.


დასახული შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 10 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

06 02 16 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია დაფინანსებულია 5,771.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 5,927.7 ათასი ლარის 97.4%). საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია 10 რაიონში მცხოვრებ სიით 1943 ოჯახს.

(ათასი ლარი)





06 02 16 07 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 284.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 283.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 100 ოჯახს.

06 02 16 08 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1,104.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის

საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 402 ოჯახს, მათ შორის გაწეულია ხარჯები სტიქიის შედეგად დაზარალებული და უბინაოდ დარჩენილი 5 მოქალაქის დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე.

06 02 16 09 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 223.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 68 ოჯახს.

06 02 16 10 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 461.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 457.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 161 ოჯახს.

06 02 16 11 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 575.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია ავარიული და საცხოვრებლად საშიში სახლებიდან გაყვანილ სიით 183 ოჯახს. მათ შორის 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად დაზარებულ 11 ოჯახისათვის ბინის ქირით უზრუნველყოფის ხარჯებმა შეადგინა 87.8 ათასი ლარი.

06 02 16 12 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 402.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 113 ოჯახს.

06 02 16 13 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 798.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 257 ოჯახს.

06 02 16 14 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 726.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 725.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 242 ოჯახს.

06 02 16 15 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 673.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 670.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 229 ოჯახს. მათ შორის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 13.5 ათასი ლარი, 2018 წლის 15 ნოემბერს ზემო ფონიჭალაში #23-ე კორპუსში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქების გამო, დაზარალებული ოჯახებისათვის (27 ოჯახი) ბინის ქირის ხარჯების ასანაზღაურებლად.

06 02 16 16 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 677.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 530.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 78.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 188 ოჯახს.

06 02 17 ომის ვეტერანების დახმარება რაიონებში დაფინანსებულია 50.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 52.2 ათასი ლარის 96.9%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 02 17 07 ომის ვეტერანების დახმარება გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 13.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სააღდგომოდ 40 ომის ვეტერანს, 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის 12 ვეტერანს, 26 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ 100 ვეტერანს და საახალწლოდ 115 ვეტერანს გადაეცა პროდუქტების სასაჩუქრე პაკეტი.

06 02 17 08 ომის ვეტერანების დახმარება ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, რაიონში მცხოვრები მე-2 მსოფლიო ომის (16 ვეტერანი) ვეტერანებისათვის შეძენილი იქნა სასაჩუქრე პაკეტი.

06 02 17 09 ომის ვეტერანების დახმარება დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის 24 ვეტერანს გადაეცა პროდუქტების სასაჩუქრე პაკეტი.

06 02 17 10 ომის ვეტერანების დახმარება ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 3.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 2.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 70.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ 24 ვეტერანს, ხოლო აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით კი 30 ვეტერანს დაურიგდა სასაჩუქრე ნობათი.

06 02 17 11 ომის ვეტერანების დახმარება ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 5.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 5.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 91%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა აღდგომის და საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ვაკის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები 67 ვეტერანის სასაჩუქრე ამანათების შესყიდვა და 35 ვეტერანისათვის 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით სასაჩუქრე კალათების შესყიდვა.

06 02 17 12 ომის ვეტერანების დახმარება საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 3.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 37 ვეტერანისთვის სააღდგომოდ და 28 ვეტერანისათვის 9 მაისისა და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით სასაჩუქრე კალათების შესყიდვა.

06 02 17 13 ომის ვეტერანების დახმარება ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100 %-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ 26 ვეტერანს გადაეცა სასაჩუქრე პაკეტები.

06 02 17 14 ომის ვეტერანების დახმარება სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 3.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ომის ვეტერანებისათვის გაიცა სასაჩუქრე პაკეტები.

06 02 17 15 ომის ვეტერანების დახმარება კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 3.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში საქართველოს

დამოუკიდებლობის აღდგენის (26 მაისი) დღესასწაულთან დაკავშირებით ფინანსური დახმარება გაეწია 15 ომის ვეტერანს.

06 02 17 16 ომის ვეტერანების დახმარება მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა


2018 წლის გეგმა 15.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.


დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ომის ვეტერანებს გაეწია ფინანსური დახმარება, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 37 ომის ვეტერანს გადაეცათ სასაჩუქრე პაკეტები და საახალწლოდ ომის ვეტერანებსს გაეწია ფინანსური დახმარება (36 ვეტერანი) და გადაეცა პროდუქტების სასაჩუქრე პაკეტი (33 ვეტერანი).

06 02 18 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში დაფინანსებულია 20,557.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 20,613.2 ათასი ლარის 99.7%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

(ათასი ლარი)





06 02 18 07 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 2,364.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,359.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება, მათ შორის: სამედიცინო მომსახურეობის ღირებულება დაუფინანსდა 1958 მოქალაქეს, მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯები 9067 მოქალაქეს, 288 გარდაცვლილის ოჯახს გაეწია დაკრძალვის მომსახურეობა, ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 1139 ოჯახს, სააღდგომოდ სოციალურად დაუცველ და შეჭირვებულ ოჯახებზე გაიცა 5 160 ნობათი, ახალი წლის აღსანიშნავად 5100 მოქალაქეს გადაეცა საახალწლო ნობათი, სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისათვის (408 ოჯახს) შესყიდულია საწვავი ხის მასალა (შეშა), სამშენებლო მასალებით დახმარება გაეწია 1 ოჯახს. ასევე,

ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 2 მოქალაქის ოჯახს გაეწია დახმარება 23.9 ათასი ლარის ოდენობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 23123 ბენეფიციარს.

06 02 18 08 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 2,647.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,611.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება, მათ შორის: 1736 ბენეფიციარმა ჩაიტარა მკურნალობის (გამოკვლევა, ოპერაცია და სხვა) კურსი სხვადასხვა კლინიკებში, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია - 1809 ბენეფიციარს (მათ შორის დაიფარა 132 მოქალაქის მიმართ არსებული 2017 წლის დავალიანება), მედიკამენტების შეძენა 7593 ბენეფიციარს დაუფინანსდა, სამშენებლო მასალებით დახმარება - 147 ოჯახს (მ/შ 3 მოქალაქის მიმართ არსებული 2017 წლის დავალიანება), სარიტუალო მომსახურება (სასაფლაოს მომსახურება, სასახლის შეძენა) გაეწია სოციალურად დაუცველი 502 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახს, სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისათვის (1462 ოჯახს) შესყიდულია 2193 კუბ.მ საწვავი ხის მასალა (შეშა), აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი და უმწეო მოქალაქეებისათვის შესყიდულია 5568 ერთეული სასაჩუქრე პაკეტი, ახალი წლის აღსანიშნავად 5402 მოქალაქეს გადაეცა საახალწლო ნობათი. ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (14 მოქალაქეს) გაწეულია სასტუმროს მომსახურების ხარჯები 4.8 ათასი ლარის ოდენობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 24233 ბენეფიციარს.

06 02 18 09 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1,848.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება, მათ შორის: მედიკამენტები შეძენილია 7122 მოქალაქისთვის, 360 მოქალაქეს დაუფინანსდა მკურნალობის ღირებულება, სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა 409 მოქალაქეს, მთლიანად და ნაწილობრივ დაუფინანსდა ოპერაციები 329 მოქალაქეს, უმწეო და გაჭირვებულ მგომარეობაში მყოფი ოჯახების გარდაცვლილი წევრის დაკრძალვის ხარჯების დაფარვა (178 გარდაცვლილი), 984 მოქალაქეს გაეწია ფინანსური დახმარება, 3350 მოქალაქეს აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით გადაეცა სასაჩუქრე პაკეტი, ახალი წლის აღსანიშნავად 2400 მოქალაქეს გადაეცა საახალწლო ნობათი, 315 შეჭირვებულ მოქალაქეს გადაეცა 600 კუბ. მ საწვავი ხის მასალა - შეშა. ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 2018 წლის 10 იანვრის სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი) შედეგად დაზარალებულ 6 მოქალაქეს გამოეყო ფინანსური დახმარება - 2,7 ათასი ლარი, ხოლო სამტრედიის ქ. #6-ში საცხოვრებელ კორპუსში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზიანებული ბინების მაცხოვრებელ ორ ოჯახს მიეცა ერთჯერადი ფინანსური დახმარება - 5,0 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 15455 ბენეფიციარს.

06 02 18 10 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1,684.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება, მათ შორის: სხვადასხვა სირთულის ოპერაციაზე, მშობიარობაზე, სამედიცინო მომსახურეობაზე და გამოკვლევაზე 1024 მოქალაქეს, მედიკამენტების შეძენაზე 6172 მოქალაქეს, დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაზე 215 ოჯახს, სათბობი შეშის მიწოდებაზე 150 მოქალაქეს, სამშენებლო მასალების შეძენა 200 მოქალაქეს, სააღდგომოდ უფასო სასადილოების ბენეფიციარებსა და ფინანსურად შეჭირვებულ 2570 მოქალაქეზე სასაჩუქრე კალათების შესყიდვა, ხოლო საახალწლო ამანათი გადაეცა ამავე კატეგორიის 2450 ბენეფიციარ, ერთჯერადი ფინანსურ დახმარებაზე 3170 მოქალაქეს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 15951 მოქალაქეს.

06 02 18 11 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 2,017.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება, მათ შორის: სამედიცინო მომსახურებაზე (ოპერაციები, მკურნალობა) 1026 მოქალაქეს, მედიკამენტების შეძენა 7200 მოქალაქეს, ერთჯერადი ფინანსური დახმარება 2172 მოქალაქეს, სამშენებლო

მასალების შეძენაზე 305 მოქალაქეს, დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება 128 ოჯახს, საწვავი ხის მასალის შეძენა 250 მოქალაქეს, სააღდგომოდ და საახალწლოდ სოციალურად დაუცველ 1656 ბენეფიციარის სასაჩუქრე კალათების შესყიდვა. გარდა ამისა, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 2.7 ათასი ლარი, 2018 წლის 13 თებერვალს ჭავჭავაძის ქუჩა N37ვ-ში მდებარე ყოფილი სტუდქალაქის საერთო საცხოვრებელში მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (8 ოჯახი - 30 ბენეფიციარი) სასტუმროს მომსახურების (დროებითი საცხოვრებელი ფართი) ხარჯების ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 14423 მოქალაქეს.

06 02 18 12 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 2,111.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება, მათ შორის: სამედიცინო მომსახურებაზე (ოპერაციები, მკურნალობა) 1299 მოქალაქეს, მედიკამენტების შეძენაზე 9132 მოქალაქეს, 149 მოქალაქის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაზე, სააღდგომოდ უფასო სასადილოების 1430 ბენეფიციარისა და 65 უსინათლოს სასაჩუქრე კალათების შესყიდვაზე, საახალწლოდ კი უფასო სასადილოების 1342 ბენეფიციარისა და 62 უსინათლოს სასაჩუქრე კალათების შესყიდვაზე, შეშის შესყიდვაზე 122 ბენეფიციარს, ერთჯერად მატერიალურ დახმარებაზე 1803 მოქალაქეს, მათ შორის, 4 მოქალაქისათვის, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 12.0 ათასი ლარი, 2018 წლის 9-10 იანვარს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონში ძლიერი ქარის შედეგად,

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (4 სახლი) დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 15404 მოქალაქეს.

06 02 18 13 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 2,511.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება, მათ შორის: სამედიცინო მომსახურებით დახმარება გაეწია 1 319 მოქალაქეს, მედიკამენტებით დახმარება გაეწია 5 579 მოქალაქეს, უმწეო და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დაკრძალვაზე (სარიტუალო მომსახურება) დახმარება გაეწია 292 ოჯახს, სოციალურად დაუცველ 63 მოქალაქეს გაეწია დახმარება სამშენებლო მასალებით, დაიფარა სოციალურად დაუცველი 7 ოჯახის კომუნალური ხარჯები, ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა 1595 მოქალაქეზე, 200 ბენეფიციარს მიეწოდა შეშა, 4100 მოქალაქეს აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით გადაეცა სააღდგომო სასაჩუქრე პაკეტი, ახალი წლის აღსანიშნავად 4090 მოქალაქეს გადაეცა საახალწლო სასაჩუქრე პაკეტი, ამასთან, სარეზერვო ფონდიდან გაწეულია ანტიტერორისტული ოპერაციის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების (38 მოქალაქე) სასტუმროს მომსახურების, დაზიანებული ავტომანქანების აღდგენის, საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოების და საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 17 283 ბენეფიციარს.

06 02 18 14 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 2,498.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება, მათ შორის: სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება გაეწია 1751 ბეფეციარს, მედიკამენტებით მომსახურება - 5 664 ბენეფიციარს, 322 ოჯახს გაეწია ჰერმესის მომსახურება (დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება), კომუნალური გადასახადები დაუფინანსდა 193 ოჯახს, სტიქიით და სხვადასხვა გარემოებებით დაზიანებული სახურავებისა და შიდა სარემონტო სამუშაოებზე მასალით დახმარება გაეწია 79 ოჯახს, 2 577 ოჯახს მიეცა ფინანსური დახმარება, სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია 5 ბენეფიციარს, სოციალურად დაუცველ 805 ოჯახს მიეწოდა შეშა, სააღდგომო სასაჩუქრე პაკეტი 5 200 მოქალაქე და საახალწლო სასაჩუქრე პაკეტი - 5 115 მოქალაქე. ამასთან, სარეზერვო ფონდიდან გაწეულია სტიქიის შედეგად 15 მოქალაქის დაზიანებული სახლების აღსადგენად შეძენილი მასალის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 21 726 ბენეფიციარს.

06 02 18 15 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1,368.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,365.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება, მათ შორის: სამედიცინო მომსახურეობაზე 900 მოქალაქეს, მედიკამენტების შეძენაზე 5102 მოქალაქეს, დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაზე 122 ოჯახს, საწვავი შეშის შეძენაზე 309 მოქალაქეს, სააღდგომოდ უფასო სასადილოების 3380 ბენეფიციარის სასაჩუქრე კალათების შესყიდვაზე, ახალი წლის დღესასწაულთან საშობაო პაკეტი დაურიგდათ 2565 ბენეფიციარს, ერთჯერადი ფინანსური დახმარებაზე 1151 მოქალაქეს. მათ შორის: ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 9.7 ათასი ლარი, 2018 წლის 28 თებერვალს, ბარათაშვილის ქუჩაზე „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შენობიდან ჩამოვარდნილი შუშის შედეგად ტრაგიკულად დაღუპული ასლან მამედოვის ოჯახს და 2018 წლის 10 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად, დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის, ნადიკვარის მე-2 შესახვევის #27-ში მცხოვრები - ავთანდილ შინგაზრდილოვის ავტომანქანის აღდგენის ხარჯები. ასევე ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებულია 2018 წლის 15 ნოემბერს ზემო ფონიჭალაში #23-ე კორპუსში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქების გამო, 49 დაზარალებული ოჯახებისათვის სასტუმროების მომსახურების (დროებითი საცხოვრებელი ფართი) ხარჯები 138.5 ათასი ლარის ოდენობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 13578 მოქალაქეს.

06 02 18 16 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 1,561.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,549.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება, მათ შორის: სამედიცინო მომსახურებით დახმარება გაეწია 824 მოქალაქეს, მედიკამენტებით დახმარება 6256 მოქალაქეს, უკიდურესად უმწეო და სოციალურად დაუცველ 89 ოჯახის გარდაცვლილი წევრის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება, ზამთრის პერიოდისთვის 100 ოჯახს შეშის მიწოდებაზე, ხანძრის შედეგად დაზარალებულ 5 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის 1370 ოჯახს გაეწია დამარება, 1994 მოქალაქეს აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით გადაეცა სააღდგომო ნობათი, ახალი წლის აღსანიშნავად 1852 მოქალაქეს გადაეცა საახალწლო ნობათი. ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია კოჯორში, იუნკერების ქ.#17-ში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების (80 ოჯახი) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 12570 ბენეფიციარს.

06 02 20 წყალმომარგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში დაფინანსებულია 24.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 24.4 ათასი ლარის 99.7%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 02 20 01 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 4.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.1%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობისათვის სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია

სოციალურად დაუცველ 9 ოჯახზე წყალმომარაგების გარე ქსელთან დაერთების სამუშაოების ხარჯები.

06 02 20 02 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 19.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობისათვის სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია კიკეთში, დიდების დასახლებაში 41 მობინადრის წყალმომარაგების გარე ქსელთან დაერთების სამუშაოების ხარჯები.

06 02 20 03 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 0.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობისათვის სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 1 ოჯახის საყოფაცხოვრებო მომხმარებლის დაერთების მომსახურების ხარჯები.

06 02 21 თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ "თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი"

2018 წლის გეგმა - 1,286.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,262.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.1%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მიუსაფარი პირის თავშესაფრით დაკმაყოფილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია

მემორანდუმით (პალიატიური ზრუნვა და ალკოჰოლდამოკიდებული პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა) გათვალისწინებული ხარჯების ასანაზღაურებლად ა(ა)იპ „წმინდა მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ მოხუცთა პალიატიური ჰოსპისი“ – 94.2 ათასი ლარი. გარდა ამისა, გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფარის ფუნქციონირების ხელშეწყობის ხარჯები 1,168.2 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში თავშესაფარში იმყოფებოდა საშუალოდ 122 ბენეფიციარი.

06 02 22 სოციალურად დაუცველი 18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 789.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 788.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მატერიალური პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 18 წლამდე ასაკის შშმ 1749 ბენეფიციარს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, თითოეულ ეტაპზე 400 ლარის ოდენობით (მაისი - 885 შშმ ბავშვი, დეკემბერი - 864 შშმ ბავშვი). ამასთან, 222 შშმ ბავშვისათვის გადაირიცხა 2017 წლის კუთვნილი დახმარება - 88.8 ათასი ლარი.

06 02 23 „ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 75.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; ბავშვთა მიტოვების რისკის შემცირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ,,ვორლდ ვიჭენ საქართველოს“ აუნაზღაურდა იანვრიდან ივლისის ჩათვლით შესრულებული სამუშაოს ღირებულება (11 x 6 520 ლარი), ხოლო აგვისტოში 4070 ლარი. 03.01.2017 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში №107-ე ბაღის ტერიტორიაზე არსებულ დღის ცენტრში ხორციელდებოდა 25 სოციალურად დაუცველ ბავშვზე ზრუნვის მომსახურება.

06 02 24 სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 551.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 549.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაეწია ფინანსური დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 1804 ბენეფიციარს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, თითოეულს 300 ლარის ოდენობით (მაისი - 605 უსინათლო პირი, აგვისტო - 607 უსინათლო პირი, დეკემბერი - 592 უსინათლო პირი). ამასთან, 28 უსინათლო პირისთვის გადაირიცხა 2017 წლის კუთვნილი დახმარება - 8.4 ათასი ლარი.

06 02 25 სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 353.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 348.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება; დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ 697 ოჯახს, რომელთაც შეეძინათ ახალშობილი.

06 02 26 შინმოვლის თანადაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 403.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 392.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისში შინმოვლის პაციენტების მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი დამოუკიდებლობის და დაკარგული უნარ–ჩვევების შენარჩუნება–აღდგენა; ფსიქო–სოციალური დახმარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ხორციელდებოდა ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000 და ქვევით სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული თბილისში მცხოვრები ოჯახებისათვის მარტოხელა, საწოლსმიჯაჭვული პირების (ბართელის უძლურების შეფასების ინდექსი ≤95) დახმარება - შინმოვლა. განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ანგარიშის საფუძველზე ანაზღაურებული იქნა შესრულებული სამუშაოს ღირებულება: დიაკვნის ევანგელურ ლუთერული საზოგადოებისათვის – 27.6

ათასი ლარი, საქართველოს კარიტასისათვის – 161.0 ათასი ლარი, ჩერნოვეცკის ფონდისათვის – 190.6 ათასი ლარი და ბენეფიციართა შემფასებელი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის - 13.2 ათასი ლარი.

06 02 28 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური


2018 წლის გეგმა - 878.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 837.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: შშმ პირებში კულტურის აქტივობების გაზრდა; შშმ პირებში ამაღლებული განათლების დონე; შშმ პირთა გაზრდილი მოტივაცია; შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია.


საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების ხარჯები - 36.8 ათასი ლარი. ასევე, გაწეულია: 18 წლის ასაკის ზემოთ თბილისში მცხოვრები შშმ პირებისათვის, რომლებიც სარგებლობენ დღის ცენტრების (10 დღის ცენტრი) მომსახურებით, მომსახურების 25% დაფინანსება. კერძოდ, ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი, ა(ა)იპ კავშირი ია, ა(ა)იპ ასოციაცია ანიკა, ა(ა)იპ ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება; ა(ა)იპ კავშირი ადამიანები განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ, ა(ა)იპ მშობელთა ხიდი, ა(ა)იპ აისი, ა(ა)იპ საქართველოს ყრუთა კავშირი, ა(ა)იპ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია, ა(ა)იპ სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვების დახმარების ასოციაცია ჯამში დაფინანსდა - 59.4 ათასი ლარით; ასევე, დაფინანსდა სხვადასხვა პროექტები, მათ შორის: ა(ა)იპ საქართველოს უსინათლოთა კავშირი - გამცილებლის მომსახურება - 18.0 ათასი ლარით, ა(ა)იპ საქართველოს ყრუთა კავშირი - 39.6 ათასი ლარით, ა(ა)ი.პ სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვების დახმარების ასოციაცია - 16.4 ათასი ლარით, ა(ა)იპ კავშირი ია - 4.0 ათასი ლარით, ა(ა)იპ მზის შვილები - 4.0 ათასი ლარით, ა(ა)იპ საქართველოს

დაუნის სინდრომის ასოციაცია - 8.3 ათასი ლარით, ა(ა)იპ კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ - 3.4 ათასი ლარით, ა(ა)იპ ასოციაცია ანიკა - 22.0 ათასი ლარით, საქართველოს ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაცია - 6.3 ათასი ლარით, საერთაშორისო განათლების და გლობალური კავშირების ასოციაცია - 19.2 ათასი ლარით, ინკლუზიური ტურიზმის ცენტრი - 24,0 ათასი ლარით, სხვადასხვა საჭიროებებისათვის საგარანტიო შესრულებები დაფინანსდა 576.2 ათასი ლარის ოდენობით.


❖ **განათლება**



ათასი ლარი



	სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება	ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა	ზოგადი განათლების სისტემის ხელშეწყობა	მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება	პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა
2016 წლის ფაქტი	96,789.4	2,848.4	4,144.5	2,361.7	2,089.0	64.0
2017 წლის ფაქტი	108,888.6	2,575.3	5,079.2	2,107.8	1,909.9	161.5
2018 წლის ფაქტი	121,343.8	2,592.2	11,484.3	3,107.8	2,214.3	208.6



07 01 სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება დაფინანსებულია 121,343.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 122,035.8 ათასი ლარის 99.4%-ი). მათ შორის:

07 01 02 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო

2018 წლის გეგმა - 122,035.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 121,343.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, ბაგა-ბაღებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა ჭარბი რაოდენობის განტვირთვა, ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და დასაქმების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ვაუჩერული დაფინანსების სახით, გაწეულია 99,910.6 ათასი ლარი. მათ შორის: ბაგა–ბაღების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ბავშვთა კვების ხარჯები, კომუნალური ხარჯები, ინვენტარის და სხვა აუცილებელი ხარჯები. მომსახურება გაეწია ა(ა)იპ ქ.თბილისის 180 საბავშვო ბაგა-ბაღში 61 100-მდე აღსაზრდელს. ასევე, დაფინანსებულია ა(ა)იპ ,,თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" ფუნქციონირების ხარჯები და სხვა ღონისძიებები.

დასრულდა და კეთილმოეწყო შემდეგი ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა (2017 წელს დაიწყო და 2018 წელს დამთავრდა): 300 ბავშვზე (10 ჯგუფი) N118 დაბა წყნეთში ახალი ბაღის მშენებლობა - 2018 წელს ანაზღაურებულია - 230.7 ათასი ლარი, 150 ბავშვზე (5 ჯგუფი) N38 ბაღის მშენებლობა ზუგდიდის ქუჩაზე - 2018 წელს ანაზღაურებულია - 1,516.0 ათასი ლარი, 450 ბავშვზე (15 ჯგუფი) N73 ბაღის მშენებლობა დიდი დიღომის მე-3 მ/რაიონში - 2018 წელს ანაზღაურებულია - 2,188.7 ათასი ლარი, 300 ბავშვზე (10 ჯგუფი) N57 ბაღის მშენებლობა გლდანის მე-3 მ/რაიონში - 2018 წელს ანაზღაურებულია - 1,823.2 ათასი ლარი, 300 ბავშვზე (10 ჯგუფი) N68 ბაღის მშენებლობა პალიასტომის ქუჩაზე - 2018 წელს ანაზღაურებულია - 2,214.7 ათასი ლარი, 240 ბავშვზე (8 ჯგუფი) N56 ბაღის მშენებლობა (მიემატა ახალი კორპუსი) გურამიშვილის გამზ. #4-ში - 2018 წელს ანაზღაურებულია - 1,705.2 ათასი ლარი, 300 ბავშვზე (10 ჯგუფი) N67 ბაღის მშენებლობა სოფელ დიღომში - 2018 წელს ანაზღაურებულია - 509.0 ათასი ლარი, 210 ბავშვზე (7 ჯგუფი) N53 ბაღის მშენებლობა სოფელ გლდანში - 2018 წელს ანაზღაურებულია - 477.2 ათასი ლარი,

380 ბავშვზე (10 ჯგუფი) N49 ბაღის მშენებლობა ხეხილსანერგე მეურნეობაში - 2018 წელს ანაზღაურებულია 2,555.1 ათასი ლარი, 260 ბავშვზე (7 ჯგუფი) N44 ბაღის მშენებლობა ნუცუბიძის მე-4 მ/რ - 2018 წელს ანაზღაურებულია - 2,398.1 ათასი ლარი. არსებულ ორ საბავშვო ბაგა-ბაღს მიემატა ახალი კორპუსები: 240 ბავშვზე (8 ჯგუფი) N56 ბაღის მშენებლობა (მიემატა ახალი კორპუსი) გურამიშვილის გამზ. #4-ში, რისთვისაც 2018 წელს ანაზღაურებულია - 1,705.2 ათასი ლარი; 570 ბავშვზე (15 ჯგუფი) ,,ხუთკუნჭულას“ ბაღის ახალი შენობის მშენებლობა დიდი დიღმის მე-4 მ/რაიონში, 2018 წელს ანაზღაურებულია - 2,428.5 ათასი ლარი. აღსაზრდელებისთვის დამატებით შეიქმნა 2 875 თავისუფალი ადგილი. ახალი ბაღების მშენებლობის პროექტირებისთვის ანაზღაურებულია - 87.7 ათასი ლარი,

მომზადდა ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობის სატენდერო დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც გამოცხადდა გარდამავალი ტენდერები: გლდანის რაიონში, მე-6 მ/რ # 7 კორპუსის მიმდებარედ ახალი ბაღის მშენებლობა და დაწყებისთვის გაიცა საავანსო თანხა 326.4 ათასი ლარი; გლდანის რაიონში, მე-8 მ/რ # 17 კორპუსის მიმდებარედ ახალი ბაღის მშენებლობა და დაწყებისთვის გაიცა საავანსო თანხა 325.5 ათასი ლარი; დიდუბის რაიონში, ჭიაურელის ქუჩა N18, ახალი ბაღის მშენებლობა; ისნის რაიონი, ნავთლუღი საექიმოს ქუჩა N8 ახალი ბაღის მშენებლობა და დაწყებისთვის გაიცა საავანსო თანხა 416.6 ათასი ლარი; ისნის რაიონში: საინგილოს ჩიხი №5-ის მიმდებარედ ახალი ბაღის მშენებლობა და დაწყებისთვის გაიცა საავანსო თანხა 314.4 ათასი ლარი; სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩა N 30-ის მიმდებარე ახალი ბაღის მშენებლობა; კრწანისის რაიონი, ოქროყანის დასახლებაში (ორთაჭალის ქუჩა N90-ის მიმდებარედ) ახალი ბაღის მშენებლობა და დაწყებისთვის გაიცა საავანსო თანხა 547.3 ათასი ლარი; ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობის ზედამხედველობის მომსახურებაზე გაწეულია - 89.9 ათასი ლარი.

დაფინანსებულია საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობის დაწყების საავანსო თანხები: №10-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიწის ნაკვეთზე, მდებარე პაატა საკაძის ქ.№21-ში შენობების სამშენებლო სარეკონსტრუქციო, სამუშაოები (ძველის დემონტაჟისა და ახალი ფლიგელის აშენება) 149.4 ათასი ლარის ოდენობით.

საბავშვო ბაგა-ბაღის უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, ხორციელდება თანამედროვე სტანდარტების სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მონტაჟი, სამზარეულო ბლოკების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობა და ტექნიკური უზრუნველყოფა, ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით აღჭურვა, ფანჯრებზე უსაფრთხოების ბადეების მონტაჟი. ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების საფუძველზე 106 საბავშვო ბაგა-ბაღისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მომზადდა ტექნიკური დოკუმენტაცია და განხორციელდა სახანძრო უსაფრთხოების სისტემების მონტაჟი. ასევე, ყველა საბავშვო ბაგა-ბაღი აღიჭურვა უსაფრთხოების ბადეებით. „ყაზტრანსგაზის“ ინსტრუქციების შესაბამისად, მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე 20-მდე საბავშვო ბაღში განხორციელდა გაზქურების ჩანაცვლება ელექტროქურებით.

მასშტაბური სარემონტო სამუშაოები ჩატარდა 112 ბაგა-ბაღში, მათ შორის: 25 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის ინტერიერის სარემონტო სამუშაოები, 16 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის სახურავის რებილიტაცია, 30 საბავშვო ბაგა-ბაღის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ასევე, მომზადდა ავარიული შენობების გამაგრება-რეკონსტრუქციის, დემონტაჟისა და ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობის 30-მდე პროექტი.

გარდა ამისა, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში ბაგა-ბაღებში დაინერგა გარემოს-დაცვითი სწავლების სახელმძღვანელო და ახალი სასწავლო წლიდან გაგრძელდება აღნიშნული აქტივობა. აღსანიშნავია, ისიც რომ მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით ზაფხულში დედაქალაქის მასშტაბით არსებული საბავშვო ბაგა-ბაღებიდან შეირჩა 40 ბაღი, სადაც ივლისის თვეში განხორციელდა „საზაფხულო ბაღების“ პროექტი. შერჩეულ ბაღებში გაიხსნა 304 სააღმზრდელო ჯგუფი და მომსახურებით ისარგებლა 13 010 აღსაზრდელმა. ასევე განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები.

მიღწეული შუალედური შედეგები: დასრულდა 11 ახალი საბავშო ბაგა-ბაღის მშენებლობა, დამატებით შექმნილი 2 875 თავისუფალი ადგილი, მასშტაბური სარემონტო სამუშაოები ჩატარდა 112 საბავშო ბაგა-ბაღში.

07 02 განათლების სისტემის რეფორმირება და განვითარება დაფინანსებულია 11,484.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 12,158.2 ათასი ლარის 94.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 02 01 ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 195.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 170.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 87.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობის გზით მოსწავლეთა ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება, მოსწავლეთა ჩართვას სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში. საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერა. საერთაშორისო საგანმანათლებლო კონკურსებში, ტურნირებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა პროექტები, მათ შორის: ა(ა)იპ ინოვაციების ხელშეწყობის ფონდის პროექტი - „Women techmakers Tbilisi 2018"; ა(ა)იპ მათემატიკის ფესტივალის პროექტი - „საზაფხულო სკოლა", რომელიც მიზნად ისახავს ბავშვებში მათემატიკისადმი ინტერესის გაღვივებას და საგნის პოპულარიზაციას; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით „ახალგაზრდა ნატურალისტთა მე-6 საერთაშორისო ტურნირი"; ა(ა)იპ „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის" პროექტი "დებატების საქალაქო ტურნირი", რომლის მიზანია არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, ადვოკატირება და სწავლება, მოსწავლეების აქტიური ჩართვა საკუთარი ქალაქის განვითარებაში ინდივიდუალური პროექტების საჯარო განხილვებში გამარჯვების გზით; ა(ა)იპ „მომავალი იწყება დღეს" პროექტი „ხის

კუბურები ქართული ანბანითა და ბრაილის შრიფტით უსინათლო და მცირემხედველი ბავშვებისთვის“, ა(ა)იპ საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის პროექტი „ინტელექტუალური დარღვევების მქონე ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ხელშეწყობა“ (პროექტის ფარგლებში მოხდა 3 მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს „მსხვილი მოტორიკა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში“, „როგორ გავუადვილოთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს სკოლაში წერა-კითხვის სწავლა“ და „მზადება გარდატეხის ასაკისა და ჟანსაღი ზრდასრული ცხოვრებისათვის“ ბეჭდური გამოცემა და უფასო გავრცელება მშობლებსა და სპეციალისტებში), ა(ა)იპ “საქველმოქმედო ფონდი - ჩემი სახლი”-ს პროექტი „ბავშვთა პიროვნული, ინტელექტუალურ-შემეცნებითი და საგანმანათლებლო განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“ (პროექტის ფარგლებში ხორციელდება ოთხ თვიანი სასწავლო კურსები, ასევე, გაიმართება 2 გამოფენა-გაყიდვა, მხატვრული კითხვის საღამო, არტ-თერაპიის სემინარები, შემეცნებითი ექსკურსია და შემაჯამებელი ღონისძიება), ოლიმპიადა „ალგორითმი“, რომელიც არის აბიტურიენტებზე გათვლილი ზოგადი უნარების პრეტესტი ეროვნული გამოცდების წინ, პროექტი - „ვკითხულობთ/ვუსმენთ თანამედროვეს“, რომლის მიზანია წიგნებისა და წიგნიერების პოპულარიზაცია სკოლის მოსწავლეებში, ახალგაზრდებში; პროექტი - „პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა მოსწავლეებში“, რომლის მიზანია დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა პროფესიებთან დაკავშირებით და სხვა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: დაფინანსებული პროექტების რაოდენობა - 12.

07 02 03 საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო

2018 წლის გეგმა - 8,523.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 8,461.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი და მაღალი ხარისხის პროდუქტის მიღება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, განხორციელდა 8 პროექტი. ფუნქციონირებს idea.tbilisi.gov.ge – „შენი იდეა ქალაქის მერს“ და ხორციელდება საიტის ტექნიკური მხარდაჭერა სააგენტოს მიერ. ფუნქციონირებს და ხორციელდება „ელექტრონული მთავრობის მოდულზე“ ტექნიკური მხარდაჭერა, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომებისთვის განსახილველი პროექტების ყველა ეტაპის ელექტრონულად განხორციელებას. შეიქმნა parking.tbilisi.gov.ge - ქალაქ თბილისის პარკირების პორტალი, ასევე შეიქმნა urban.tbilisi.gov.ge - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პორტალი, Apps.municipal.gov.ge ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ტერიტორიული ერთეულების-გამგეობების და იურიდიული პირების ცენტრალიზებული საქმისწარმოების სისტემა, Maps.Tbilisi.gov.ge ინტერაქტიული რუკაზე განახლდა სხვადასხვა დამფარავი ფენები და მოხდა მონაცემების ონლაინ რეჟიმში ასახვა, შეიქმნა youth.municipal.gov.ge ქალაქ თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება რაც უზრუნველყოფს ახალგაზრდების ჩართვას მოხალისეობრივ საქმიანობაში, შეიქმნა Taxi.Tbilisis.gov.ge მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანის უფლების მოსაპოვებლად ავტოტრანსპორტის მფლობელთა რეგისტაციის პორტალი. ასევე, განახლდა სააგენტოში დასაქმებული პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელთა სამუშაო ტექნიკა, განახლდა სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურა, თბილისის მუნიციპალიტეტის 10-ვე გამგეობაში დამონტაჟდა მოქალაქეთა ნაკადების (რიგის) მართვის სისტემა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მომსახურების ცენტრების მართვის სამსახური ქალაქის მასშტაბით თერთმეტ სერვის ცენტრში მოემსახურა 1 839 264-მდე მოქალაქეს მერიის კომპეტენციას მიკუთვნებულ ყველა საკითხზე. მიღებულ იქნა 1 077 808-მდე განაცხადი. დისტანციური მომსახურების სამსახურის მიერ განხორციელდა 523 028-მდე სატელეფონო ზარის მომსახურება.

ხარისხის კონტროლისა და შეფასების სამსახურის მიერ განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და რაიონის გამგეობების კომპეტენციას მიკუთვნებული ყველა მომსახურების სახეობაზე სახელმძღვანელო ინსტრუქციის შემუშავება სერვის ცენტრებისა და დისტანციური მომსახურების სამსახურების თანამშრომელთა კომპეტენციის ამაღლების მიზნით; მომზადდა შეფასებითი ანგარიში არქიტექტურის სამსახურის თანამშრომელთა მიერ მოქალაქეთა განაცხადების დამუშავების თაობაზე.

ტრეინინგ ცენტრთან ერთად შემუშავებულ იქნა სასწავლო კურსი, რომელიც სავალდებულოა სერვის ცენტრებისა და დისტანციური მომსახურების სამსახურის თითოეული ოპერატორისათვის. ასევე, მიმდინარეობს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, გამგეობების, სსიპ-ების, ა(ა)იპ -ები და შპს-ების თანამშრომლების პერმანენტული გადამზადება, სულ გადამზადდა 3 325 თანამშრომელი.

ფოტოგრაფების და ჟურნალისტების მიერ გადაღებული და გაშუქებულ იქნა თბილისის მერიის ყველა აქტივობა და მივლინება საზღვარგარეთ. ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტების მიერ გამოკვლეული და გასწორებული იქნა მერიის კომპიუტერულ ქსელში წარმოქმნილი პრობლემები. ამასთან, პერმანენტულად ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ყველა ვებ გვერდის ტექნიკური მხარდაჭერა და სხვა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: სრულად განხორციელდა 8 პროექტი, დაგეგმილია 2 პროექტის გაშვება, გადამზადებულია 191 ჯგუფში მონაწილე 3 325 თანამშრომელი.

07 02 04 საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია; ა(ა)იპ საზოგადოებასთან საკომუნიკაციო განვითარების სააგენტო

2018 წლის გეგმა - 3,305.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,717.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 82.2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საზოგადოების ინფორმირებულობა და პროცესებში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მერიის ადმინისტრაციისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან გაწეულია - 364.8 ათასი ლარი შემდეგ ღონისძიებებზე: მერიის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის სატელევიზიო ეთერში განთავსება; სოციალურ ქსელში მერიის საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო-სარეკლამო მომსახურება; ავტობუსებში საინფორმაციო სახის პრინტ-რეკლამის განთავსების მომსახურება; ვიდეო-რგოლის დამზადების მომსახურება; მერიის ადმინისტრაციისა და საქალაქო სამსახურებისათვის საჭირო პოლიგრაფიული მომსახურება; საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისის ღონისძიებების ფარგლებში ტექნიკური უზრუნველყოფისთვის პოლივინილქლორიდი ე.წ. „PVC“ დაფების შესყიდვა; ავტომანქანებზე გასაკრავი წებოვანი სტიკერები; საინფორმაციო ბუკლეტების, ტრიპლეტების, ფლაერების შესყიდვა; მოსაწვევი და მისალოცი ბარათების შესყიდვა; სავიზიტო ბარათების და ნაბეჭდი კონვერტების შესყიდვა; სიგელების, სერტიფიკატების დამზადება; მუნიციპალური ინსპექციისთვის შეძენილ იქნა სამართალდარღვევათა ოქმები, საჯარიმო ქვითრები, შემოწმების აქტები და მითითებები; განხორციელდა შემოწმების აქტის ბეჭდვის მომსახურებისა და ბეიჯების შესყიდვა და სხვა.

გარდა ამისა, ა(ა)იპ საზოგადოებასთან საკომუნიკაციო განვითარების სააგენტოსათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 2,352.7 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში გაწეულია სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობების დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების შესახებ სარეკლამო კამპანია, დამზადდა საინფორმაციო მასალები და ვიდეო რგოლები, რეკლამა განთავსდა მედია-სივრცესა და სოციალურ ქსელებში (Facebook.com). განხორციელდა სატელევიზიო და რადიო ეთერში შემდეგი საინფორმაციო ვიდეო/აუდიო რგოლების განთავსება: „სატრანსპორტო მოძრაობის ცვლილებები საბურთალოზე“, „ცინცაძე კარტოზიას გზაგამტარი“, „დიდებიდან

თავისუფლებამდე“, „ტაქსების რეგისტრაციის შესახებ“, „გარევაჭრობა თბილისობის ფარგლებში“, „2019 წლის შესახვედრად მისალოცი საახალწლო ვიდეო კლიპის დამზადება“, „2019 წლის გალა კონცერტზე მოქალაქეების მოსაწვევი ვიდეო რგოლის დამზადება“, კამპანია - „გაუფრთხილდი ქალაქს“ - ფარგლებში ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის კვლევა, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების facebook ვიდეო ანონსის გახმოვანება და სხვა ღონისძიებები.

07 02 07 ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა 135.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: შშმ მოსწავლეებისათვის გაიზრდება ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა და მათი საზოგადოებაში ჩართულობის ხარისხი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შშმ პირებისათვის 1 ადაპტირებული ავტობუსის შეძენად პარასპორტის განვითარების ცენტრი.

07 03 ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 2,592.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,678.1 ათასი ლარის 96.8%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 03 01 თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; სსიპ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა

2018 წლის გეგმა - 1,911.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,879.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 98.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის გაუმჯობესება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ინფრასტრუქტურის

მოწესრიგება წაახალისებს ბიბლიოთეკის არსებულ წევრებს და მოიზიდავს ახალ წევრებს. მრავალფეროვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები კი მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკის პოპულარიზაციისთვის.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: დღეისათვის ფუნქციონირებს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის 34 ფილიალი თბილისის სხვადასხვა უბანში და შემოერთებული ტერიტორიების 2 ბიბლიოთეკა - სულ 36 ფილიალი, რომელშიც 2018 წელს გაწევრიანდა 34 419 ადამიანი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 85-მდე სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება.

07 03 02 თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის მედიათეკების გაერთიანება

2018 წლის გეგმა - 477.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 475.9 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული საბოლოო შედეგები: თბილისის მედიათეკების გაერთიანების ლიკვიდაციის დასრულების პროცესი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მედიათეკების გაერთიანების ფუნქციონირების ხარჯები მიმდინარე წლის აგვისტომდე. აგვისტოდან დაიწყო და მიმდინარეობს მედიათეკების გაერთიანების ლიკვიდაციის დასრულების პროცესი.

07 03 03 მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება

2018 წლის გეგმა - 289.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 236.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 81.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა; მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა; ბიბლიოთეკების სერვისით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: აგვისტოდან დაფუძნდა და დღეისათვის ფუნქციონირებს მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ვაკის, ვარკეთილის და ნაძალადევის ფილიალი, რომელშიც უკვე გაწევრიანდა 2014 ადამიანი. საანგარიშო პერიოდში გაწეულია მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, გაერთიანების მიერ ჩატარდა 25-მდე სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება.

07 04 პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 221.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 208.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: განვითარდება ზრდასრულთა განათლების ორგანიზაციები და ცენტრები, გაიზრდება მათი სერვისების ხარისხი და ხელმისაწვდომობა, ჩამოყალიბდება თანამშრომლობა კერძო სექტორთან, საერთაშორისო და საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან, განხორციელდება ერთობლივი პროგრამები; განხორციელდება პროფესიული გადამზადების პროგრამები, ამაღლდება კვალიფიკაცია სამსახურის მაძიებლების და კერძო სექტორთან თანამშრომლობით ხელი შეეწყობა მათ დასაქმებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პროფესიულ კოლეჯებთან („იკაროსი“, “მერმისი“ და „სპექტრი“) თანამშრომლობით შემუშავდა მოკლევადიანი პროფესიული კურსების (ხანგრძლივობა 1-2 თვემდე) პროგრამა “ისწავლე და დასაქმდი“, რომლის მეშვეობით დაიწყო თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეების გადამზადება, მოთხოვნად სპეციალობებში

(სამშენებლო, ტურიზმისა და მომსახურების სექტორში). სულ დარეგისტრირდა 1 500-მდე მოქალაქე. კონკურსის წესით შეირჩა 700-ზე მეტი გადამზადების მსურველი. პროფესიულ პროგრამებზე სწავლა დასრულდა მიმდინარე წლის აგვისტოში. ასევე, დაფინანსდა პროექტი - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „მწვრთნელთა მხარდაჭერის“ ქვეპროგრამაში მონაწილე მწვრთნელთა პროფესიული უნარების განვითარება“, პროექტის ფარგლებში შეიქმნა პროფესიული უნარების განვითარების სპეციალური თეორიული სასწავლო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც გადამზადება 300-ზე მეტმა მწვრთნელმა. გარდა ამისა, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 22.0 ათასი ლარი ა(ა)იპ „საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის ცენტრის“ ჟურნალ „სინათლის“ ბრაილითა და ბრტყელი მსხვილი შრიფტით გამოცემის პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გადამზადება გაიარა 1000-ზე მეტმა ბენეფიციარმა, პროგრამაში ჩართული 3 ორგანიზაცია.

07 05 უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება დაფინანსებულია 2,214.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,309.2 ათასი ლარის 95.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 05 01 უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 270.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 268.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სხვადასხვა საგანმანათლებლო კონკურსები, საზაფხულო და ზამთრის სკოლები, გაიზრდება უნივერსიტეტების და სტუდენტების ჩართულობა საგანმანათლებლო პროექტებში, ჩამოყალიბდება თანამშრომლობა კერძო სექტორსა და საუნივერსიტეტო ცენტრებს შორის, შეიქმნება ახალი სერვისები და არსებული სერვისების ხარისხი გაუმჯობესდება, ამაღლდება სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვალიფიკაცია, შეიქმნება

სათანადო პირობები თვითრეალიზებისა და პროფესიული განვითარების კუთხით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „ევროპის დენტისტ სტუდენტთა ასოციაცია თბილისის“ პროექტი „სტუდენტთა სამეცნიერო ფორუმი 2018“, რომლის მიზანი იყო სტუდენტური ორგანიზაციების საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, სტუდენტებში სამეცნიერო უნარ-ჩვევების დანერგვა, სტუდენტების ჩართულობის გაზრდა სამეცნიერო და საგანმანათლებლო აქტივობებში და მათი პროფესიული უნარების განვითარება. ა(ა)იპ „კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის” პროექტი „ახალგაზრდა არქიტექტორთა თბილისის ოლიმპიადა“, რომლის მიზანი იყო მომავალი არქიტექტორებისა და ურბანისტების კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი იდეების, კონცეფციებისა და პროექტების შექმნა საბჭოთა ავტოფარეხების, როგორც პოტენციური საზოგადო სივრცეების გარდასაქმნელად. პროექტები მომზადდა 3D ფორმატში. პროექტის ფარგლებში კვალიფიციურ არქიტექტორებთან და ურბანისტებთან ერთად კონკურსის წესით შერჩეული არქიტექტურისა და ურბანისტიკის სტუდენტების გუნდები (6 გუნდი) მუშაობდნენ შერჩეულ ლოკაციებზე და შექმნეს თითოეულ ლოკაციაზე საზოგადო სივრცეების განვითარების ორ ალტერნატიული პროექტი; II საერთაშორისო კონფერენცია - „სეისმომედეგობის პრობლემები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვასა და სამოქალაქო მშენებლობაში”; ა(ა)იპ "ფორსეტის" პროექტი „მონაცემთა ვიზუალიზაციის ჰაკათონი - უკან მომავალში 1918“, რომლის მიზანია მონაწილეებმა მიიღონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები მონაცემთა მოპოვებაში, ანალიზსა და კომუნიკაციაში, ასევე შეიქმნას აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული ადამიანების პროფესიული ქსელი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტი „მეწარმეობის და ტექნოლოგიების საზაფხულო სკოლა“, პროექტის მიზანია სტუდენტებისთვის მეწარმეობისა და ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ევროპის სტუდენტთა ფორუმი - თბილისის (AEGEE-Tbilisi) პროექტი საზაფხულო

უნივერსიტეტი „ღვინის წვეთი მთიდან ზღვამდე“; სტუ სტუდენტური კოალიციის პროექტი „სტუ ინჟინერთა საზაფხულო სკოლა“; „ჯანმრთელობა და ქალი“-ს პროექტი „საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია სისტემური ბიოლოგია - 21-ე საუკუნის მედიცინისა და ჯანდაცვის ფუნდამენტალური ბაზისი“; საქართველოს ინტელექტ-კლუბი რა? სად? როდის? პროექტი „თბილისის მეორე ღია თასი ინტელექტუალურ თამაშში რა? სად? როდის?“, პროექტი არის საერთაშორისო მნიშვნელობის მაშტაბური ღონისძიება, რომლის მიზანია თბილისის მსოფლიო ინტელექტუალურ ცენტრად წარმოჩენა; ა(ა)იპ ახალგაზრდების წინსვლაზე ორიენტირებული თბილისის კომპიუტერული სპორტის ფედერაციის პროექტი „თბილისის ღია ჩემპიონატი (მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი) - თბილისის ჩემპიონების წვრთნა მსოფლიო ჩემპიონატისათვის“; ა(ა)იპ „საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის“ პროექტი „ევროპული სტუდენტური ორგანიზაციების ფორუმი თბილისში“, პროექტის მიზანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და საქმიანი კავშირების დამყარება ევროპის სტუდენტურ ორგანიზაციებთან, პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამუშაო შეხვედრები სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომაგენლებთან, ევროპის სტუდენტური კავშირის წარმომადგენელთა ვიზიტის დასასრულს გაფორმდა მემორანდუმი „ევროპის სტუდენტურ კავშირსა“ და „საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციას“ შორის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დაფინანსებული ინიციატივების რაოდენობა 13.

07 05 02 იურიდიული კლინიკა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ჩემი ადვოკატი

2018 წლის გეგმა - 629.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 537.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 85.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ სტაჟირება გაიარონ იურიდიულ კლინიკაში და აიმაღლონ კვალიფიკაცია. ასევე,

მიზნობრივ ჯგუფებს ექნებათ შესაბამისი იურიდიული კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ ჩემი ადვოკატის ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

საანგარიშო პერიოდის მანძილზე პროექტის - ,,იურიდიული კლინიკა" ფარგლებში დასაქმებული იყო 10 ტრენერ–ადვოკატი და 5 ადვოკატის თანაშემწე. ამჟამად ორგანიზაცია თანამშრომლობს რვა უნივერსიტეტთან და იგეგმება დამატებით - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტთან მემორანდუმის გაფორმება. უმაღლესი სასწავლებლებიდან სტაჟირება გაიარა 243 სტუდენტმა, მათ შორის: 44 მოხალისე პრაქტიკანტი, 13 მოხალისე სტაჟიორი, 2 პასიური მოხალისე პრაქტიკანტი, 127 მაგისტრი პრაქტიკანტი (კრედიტიანი), 25 მაგისტრი სტაჟიორი, 30 ბაკალავრი პრაქტიკანტი (კრედიტიანი), 2 ბაკალავრი სტაჟიორი.

პროექტ „იურიდიული კლინიკას" საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამართლებრივი დახმარების მიზნით მომართა 17 028-მა ფიზიკურმა პირმა, მათ შორის, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფმა 2 833-მა პირმა, 3 981-მა ასაკით პენსიონერმა, 154-მა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა და 373-მა იძულებით ადგილნაცვალმა პირმა, ასევე საანგარიშო პერიოდში სამართლებრივი დახმარების მიზნით ორგანიზაციას მომართა ორმაგი სტატუსის მქონე შემდეგმა პირებმა: სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და ასევე შშმ 174-მა პირმა, ასაკით პენსიონერი და ასევე შშმ 77-მა პირმა და იძულებით გადაადგილებულმა და ასევე, შშმ 23-მა პირმა.

მიმმართველთა მიერ წამოჭრილ პრობლემურ საკითხთა შორის აღსანიშნავია სოციალური, სამშენებლო ნებართვასთან, უძრავი ქონებასთან (მშენებლობა, ამხანაგობები, ე.წ. „ატსტუპნიკები", აღიარება, ლეგალიზება, პრივატიზება) დაკავშირებული, აგრეთვე, სასარჩელო და სახელშეკრულებო საკითხები. გაწეულია შემდეგი სამართლებრივი დახმარება: ზეპირი კონსულტაცია 12 947, წერილობითი კონსულტაცია 1 491, სამართლებრივი დოკუმენტის შექმნა 2 590,

დაწყებული სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოებებიდან (სულ 2 598 საქმე), წარმატებით დასრულდა 861 და მიმდინარეა 1 341 საქმე. აღნიშნულ საქმეებზე განხორციელდა 173 წარმომადგენლობა.

07 05 03 სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 1,409.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის და წარმატებული მაგისტრანტებისათვის, უმაღლესი განათლება და შესაბამისად შრომის ბაზარზე წარმატება/ღირსეული დასაქმება გახდება გაცილებით ხელმისაწვდომი; გაუმჯობესდება სოციალურად დაუცველი სტუდენტების და წარმატებული მაგისტრანტების განათლების ხარისხი და გაიზრდება შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის დონე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით შემოსული 2 200-მდე განცხადება, გაკეთდა დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და დაფინანსდა 2000-მდე სოციალურად დაუცველი სტუდენტი. ასევე, სტიპენდია გადაეცა 242 წარმატებულ მაგისტრანტ სტუდენტს, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო უნივერსიტეტებში. გარდა ამისა, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 8 მოქალაქის სწავლის დასაფინანსებლად 9.4 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დაფინანსებული 2000-მდე სოციალურად დაუცველი სტუდენტი და 242 წარმატებული მაგისტრანტი.

07 06 მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე დაფინანსებულია 3,107.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3,323.9 ათასი ლარის 93.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 06 01 მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

2018 წლის გეგმა - 2,450.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,308.6 ათასი ლარით. რაც გეგმის 94.2%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოზარდთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამაღლება; ბენეფიციარების მოზიდვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ ,,მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ ფუნქციონირების ხარჯები. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში სასახლეში ჩატარდა სულ 348 ღონისძიება, მათ შორის: 242 კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიება, 15 ტრენინგი/ლექცია, 60 გასვლითი ღონისძიება, 10 კონკურსი/შეჯიბრი/ასპარეზობა, 5 ახალგაზრდული ფესტივალი/შეკრება, 5 კონფერენცია/კვირეული, 10 გამოფენა. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ჯამში 31 610-მდე ახალგაზრდამ. გარდა ამისა, გაწეულია სატელევიზიო ფილმის "მიუზიკლი", ციფრული ტელევიზიის სივრცის ,,მედია სკოლა“ მოწყობის, ლექტორიუმის განახლება/ მოწყობის, ტურნუკეტების შესყიდვის, ელექტრო განათებისა და ელექტრო მომარაგების სიმძლავრის გაზრდის, სასახლის მუზეუმის ექსპონატების მოძიება/მომზადების, ფოლკლორული არქივის გაციფრების პროცესის დაწყება/სისტემატიზაციის, სასახლეში არსებული ისტორიული ნივთებისა და ავეჯის რესტავრაციის ხარჯები და სხვა. ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ა(ა)იპ “მოსწავლე - ახალგაზრდობის ეროვნული სასახლეს“ შენობის სარემონტო სამუშაოების დაფინანსების მიზნით, გამოეყო - 101.7 ათასი ლარი, ხოლო შემსრულებელს გადაერიცხა ექსპერტიზის მიერ დაზუსტებული - 100.7 ათასი ლარი.

07 06 02 მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები


განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური


2018 წლის გეგმა - 873.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 799.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 91.5%-ია.


დასახული შუალედური შედეგები: სასახლის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებული სერვისები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მომზადდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის შენობის გათბობა-გაგრილების სისტემის და ელექტრო მომარაგების ტენდერებისთვის საჭირო დოკუმენტაცია, გამოვლინდნენ ტენდერში გამარჯვებული კომპანიები, შესაბამისად სასახლეში განხორციელდა შენობის გათბობა-გაგრილების და ელ. მომარაგების სამონტაჟო სამუშაოები.

- **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა**







08 01 თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 1,978.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,005.9 ათასი ლარის 98.6%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 01 01 ს.ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

2018 წლის გეგმა - 556.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 550.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საზოგადოების ფართო ნაწილის დაახლოება თეატრთან, თეატრისადმი დაინტერესების ზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. წარმოდგენილ იქნა 155 მიმდინარე და 5 საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 16 618, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (16 718) 100-ით ნაკლებია.

08 01 02 პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

2018 წლის გეგმა - 368.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 359.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: პანტომიმის ხელოვნებისადმი საზოგადოების ინტერესის ზრდა, ქვეყნის კულტურის და ტრადიციების წარმოჩენა საერთაშორისო ბაზარზე ტურისტების მოზიდვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. წარმოდგენილ იქნა 66 მიმდინარე, 4 საპრემიერო და 14 საქველმოქმედო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 2 715, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (1 816) 899-ით მეტია.

08 01 03 თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი

2018 წლის გეგმა - 662.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისს შეუძლია მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი გახდეს, მოიზიდოს ადამიანები და შექმნას ის შემოქმედებითი კაპიტალი, რომლის ღირებულება განუსაზღვრელია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებების ხარჯები და განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: გამოცხადდა საერთაშორისო საკონკურსო პროგრამა „ნიუ“ და ქართული სპექტაკლების პროგრამა Georgian Show-Case, რომელიც ქართული თანამედროვე თეატრის პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა. ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა საერთაშორისო პროგრამა - კანადის, ჩინეთის, გერმანიის, ლატვიის, მალაიზიის და შვედეთის თეატრების მონაწილეობით, სულ 8 თეატრალურმა დასმა წარმოადგინა 13 სპექტაკლი, ხოლო ქართული პროგრამის ფარგლებში, ქართული თანამედროვე თეატრის პოპულარიზაციის მიზნით 15 ქართული თეატრის მიერ წარმოდგენილ იქნა 31 სპექტაკლი.

08 01 05 თეატრი „გლობუსი“

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თეატრი „გლობუსი“

2018 წლის გეგმა - 215.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 204.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 95%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მრავალფუნქციური კულტურული ცენტრის ღონისძიებების ჩატარება, მაყურებელთა რაოდენობის გაზრდა, თბილისის მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი, საინტერესო ადგილის დამკვიდრება, საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, მაღალმხატვრული რეპერტუარის ამოქმედება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. წარმოდგენილი იქნა 71 მიმდინარე და 1 საპრემიერო

სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 1 768, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (533) 1 235-ით მეტია.

08 01 08 სამეფო უბნის თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ სამეფო უბნის თეატრი

2018 წლის გეგმა - 203.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 200.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თეატრალური ხელოვნების გავითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა; შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან; სახელოვნებო სფეროში მართვის თანამედროვე მეთოდების, მეცნიერებაზე დაფუძნებული ინოვაციური მიდგომების დაფუძნება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. წარმოდგენილ იქნა 104 მიმდინარე და 4 საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 11 020, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (6 615) 4 405-ით მეტია.

08 02 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ხელოვნების სკოლები, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, ა(ა)იპ სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯი;

2018 წლის გეგმა - 1,829.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,755.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 95.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება; მოსწავლეთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება; საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში მიღწეული წარმატებები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა არამოთხოვნად სპეციალობებზე (N20 და N19 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით, N28 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – ქართული ხალხური საგუნდე ხელოვნების განყოფილებაზე, ჰ.გონაშვილის N29 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – თანამედროვე და ტრადიციული მიმდინარეობების განხრით) და ალიოზ მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლის ბაზაზე („ბიჭუნათა კაპელა“) მოსწავლეთა უფასო სწავლება (თვეში საშუალოდ 738 მოსწავლე); გრძელდება ხელოვნების სკოლების (33 სკოლა, 660 მოსწავლე) დაფინანსება სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად; ამასთან, გაწეულია ხელოვნების სკოლების, სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების, ინტერნეტის და საბუღალტრო პროგრამის უზრუნველყოფის ლიცენზიის გაგრძელებისა და კონცერტების ჩასატარებლად დარბაზების იჯარის ხარჯები.

08 03 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია დაფინანსებულია 1,074.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,082.2 ათასი ლარის 99.3%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 03 10 ე.ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა

2018 წლის გეგმა - 132.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 129.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბავშვთა და მოზარდთა და ზოგადად საზოგადოების აქტივობა გალერეის მიერ მოწყობილ გამოფენებში, აქციებში, შეხვედრებში, კონკურსებში და საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის

ღირსშესანიშნავი დღეებისა და მოვლენების აღნიშვნაში ბავშვთა ზოგადი განათლების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია გალერეას ფუნქციონირების ხარჯები. გალერეაში ჩატარდა 30-მდე სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები. გალერეაში განხორციელებულ ღონისძიებებზე ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 4 670, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (4 115) 670-ით მეტია.

08 03 12 მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ "მუზეუმების გაერთიანება"

2018 წლის გეგმა - 949.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 944.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები. ჩატარდა 60-მდე ღონისძიება და განხორციელდა 65-მდე საგანმანათლებლო პროგრამა, ვიზიტორების რაოდენობამ შეადგინა 12 763, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (10 930) 1 833-ით მეტია. მიმდინარე წლის მანძილზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა 11 ორგანიზაციასთან და დაიგეგმა ერთობლივი პროექტების განხორციელდება. გარდა ამისა, გაწეულია ს. წერეთლის მუზეუმის კაპიტალური რემონტისა და ტაბიძის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის ხარჯები.

08 04 ხელოვნების და კულტურის ობიექტების განვითარება

დაფინანსებულია 2,266.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,673.9 ათასი ლარის 84.8%-ი) შემდეგი ქვეპროგრამებზე:

08 04 01 საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი”

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი"

2018 წლის გეგმა - 458.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" თავისი საქმიანობით მასებში ზრდის მაღალხარისხიანი და ინტელექტუალური მუსიკისადმი ინტერესს, თანამშრომლობს ნიჭიერ ქართველ კომპოზიტორებთან და ახალგაზრდა მომღერლებთან, მყარდება ცოცხალი საშემსრულებლო (ინსტრუმენტული და ვოკალური შესრულება) მუსიკის პოპულარობა მასებში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: "ბიგ-ბენდმა" მონაწილეობა მიიღო ქალაქის მაშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებში, მათ შორის ფეხბურთის მსოფლიო თასის ჩამოსვლასთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზე სასტუმრო „ბილტმორ თბილისში", რეტრო მანქანების მსოფლიო გარბენის, საერთაშორისო წიგნის ფესტივალის, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის გახსნაში, დიდი დიღმის დაბადების დღის აღმნიშვნელ ღონისძიებაში, თბილისობის, ახალი წლის აღმნიშვნელ ღონისძიებებში და სხვა.

08 04 02 ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ქალაქ თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე

2018 წლის გეგმა 116.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 113.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.3%-ია.

დასახული შედეგები: ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის ლიკვიდაციის დასრულება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მაისამდე ფოლკლორის სასახლის ფუნქციონირების ხარჯები. მაისიდან დაიწყო და დასრულდა ფოლკლორის სასახლის ლიკვიდაციის პროცესი.

08 04 03 ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონი

2018 წლის გეგმა - 131.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 127.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისის პანთეონების როგორც საქართველოს უახლოესი ისტორიის ძეგლის წარმოჩინება; გამოჩენილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საფლავების მოვლა - პატრონობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პანთეონების (მთაწმინდის, დიდუბის და „ხოჯევანქი") მოვლა-პატრონობის ხარჯები (თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, კომუნალური ხარჯები, ავეჯისა და კომპიუტერული ტექნიკის შეძენის და სხვა ხარჯები).

08 04 04 კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 1,967.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,567.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 79.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: კულტურის დაწესებულებების მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა კულტურის დაწესებულებების 21 ობიექტში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობის სამუშაოები, 20 ხელოვნების სკოლისათვის ინვენტარის და ტექნიკის, ინსტრუმენტების შეძენა, კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის №7 ხელოვნების სკოლის ინვენტარის და ინსტრუმენტების გადატანა, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეას და ანასტასია ვირსალაძის სახელობის

ხელოვნების გიმნაზიის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, კულტურის დაწესეულების 6 ობიექტის მცირე და კაპიტალური სამუშაოები. ასევე, გაწეულია სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები და სხვა. ამასთან, კულტურის დაწესებულებების 6 ობიექტში სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულდება 2019 წელს (გარდამავალი ტენდერები).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: კულტურის ობიექტების ფუნქციონირების ხელშემწყობის გარემოს შექმნა; თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებები.

08 05 კულტურის ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; მერიის ადმინისტრაცია

2018 წლის გეგმა - 5,450.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,408.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქართული კულტურის პოპულარიზაცია ქვეყნის ფარგლებს გარეთ; ქართველი ხელოვანების ჩართულობის ზრდა საერთაშორისო კულტურულ სივრცეში; ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედების წარმოჩენა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა-პოპულარიზაცია; შემოქმედებითი პროცესის ინტენსივობა; საზოგადოების ჩართულობა სხვადასხვა კულტურულ აქტივობებში; განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები თბილისის დაძმობილებულ ქალაქებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ განხორციელებული და სრულად/ნაწილობრივ დაფინანსებული სხვადასხვა ღონისძიებები და პროექტები 3,213.1 ათასი ლარით, მათ შორის: მათ შორის: სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის 20 ღონისძიება, თეატრალური ხელოვნების განვითარების და თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშემწყობი 151 ღონისძიება;

საფესტივალო, საიბილეო და საკონკურსო 171 ღონისძიება და სხვა. ამასთან, მერიის ადმინისტრაციის მიერ გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1,909.1 ათასი ლარი საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დასაფინანსებლად (მათ შორის: საექსპოზიციო და საინფორმაციო სტენდების მოწყობა თანმდევი მომსახურებით, გალა-კონცერტის ორგანიზების მომსახურება, სხვადასხვა აქტივობებისა და ღონისძიებების ორგანიზება); „თბილისობა 2018“-ის ფარგლებში დაფინანსდა რევაზ ლაღიძის ბიუსტის გახსნის ცერემონიალი, თბილისის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოვებისა და გალა-კონცერტის ორგანიზების მომსახურება, საზეიმო კონცერტის - ახალი ქართული მიუზიკლის - „თბილისური ვოდევილი“-ს გამართვის ორგანიზების მომსახურება; 2018-2019 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით, დაფინანსდა კოსტუმირებული დრამერების შოუ, მთავარი ნაძვის ხის ანთების ორგანიზების მომსახურება, სხვადასხვა ჟანრის კონცერტებისა და ელექტრონული მუსიკის საღამოების ორგანიზება, გალა კონცერტის ორგანიზება; თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალი დაფინანსებულია 63.0 ათასი ლარით, ხოლო თბილისის მუსიკალური ფესტივალების ცენტრი - 223.0 ათასი ლარით. ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 62.0 ათასი ლარი სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

08 06 სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 10,895.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 11,904.8 ათასი ლარის 91.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 06 01 სპორტული ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 3,394.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,386.3 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქვეყნის ნაკრები გუნდები შეივსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით; სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა

წარმატებული ასპარეზობა; თბილისში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა სახეობებში სპორტული კლუბების ხელშეწყობა და განვითარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის 39 სპორტული ფედერაცია: ბადმინტონის, მაგიდის ჩოგბურთის, ტანვარჯიშის, ძალოსნობის, ჭადრაკის, მშვილდოსნობის, ფარიკაობის, ტაეკვონდოს, ჯიუ-ჯიცუს, ჰოკეის, ფრენბურთის, უძლიერეს მამაკაცთა, ხუთჭიდის და ტრიატლონის, უშუს, კრივის, ქართული ჭიდაობის, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის, მკლავჭიდის, სროლის, ნიჩბოსნობის, საწყლოსნო სახეობების, კიკბოქსინგის, ნარდის, მეკლდეურობის, მძლეოსნობის, კარატეს, ფეხბურთის, ჩერლიდინგის, აფროსნობის, ბეისბოლისა და სოფტბოლის, მფრინავი დისკის, ამერიკული ფეხბურთის, ძიუდოს, ბილიარდის, ველოსპორტის, კალათბურთის, ერთიანი საავტომობილო ფედერაცია, ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ფედერაცია და საბრძოლო ხელოვნებების ფედერაცია;

საქართველოს 41 სპორტული ფედერაცია: ათლეტიზმის, ჭადრაკის, ძიუდოს, ჩოგბურთის, შავფაროსნების, საცხენოსნო, "სპორტი ყველასთვის", ჭიდაობის, საწყლოსნო, ტანვარჯიშის, კენდოს, პარაფრენბურთის, ველოსპორტის, რაგბის, სამბოს, ბოდიბილდინგისა და ფიტნესის, თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის, კუდოს, მინი გოლფის, სკეიდბორდის, ეტლით ფარიკაობის, კალათბურთის, ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის, უშუს, ყინულის ჰოკეის, ქართული ჭიდაობის, მძლეოსნობის, ძალოსნობის, ხელბურთის, ფეხბურთის, კიოკუშინკაი კარატედოს, მფრინავი დისკის, მეკლდეურობის, მშვილდოსნობის, ტაეკვონდოს, ფარიკაობის, სროლის, კრივის, ფრენბურთის, კონტაქტური კარატეს და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია;

ასევე, სხვადასხვა სპორტული ღონისძიების განსახორციელებლად დაფინანსდა: ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო სკოლა "აფხაზეთი", ა(ა)იპ "კასტირიონი", ა(ა)იპ „მშვიდობის თასი-საქართველო“, ა(ა)იპ სპორტული კლუბი

„დიდუბე 2014“, ა(ა)იპ „ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანება, ა(ა)იპ „კვლევის და განვითარების ასოციაცია“, ა(ა)იპ „მთამსვლელთა საერთაშორისო ასოციაცია“, ა(ა)იპ „საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია“, ა(ა)იპ "იბერია 2016", ა(ა)იპ "ახალგაზრდული მედია-კავშირი", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია", ა(ა)იპ "საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "ზუკას თასი", ა(ა)იპ "საკალათბურთო კლუბი თბილისის კრონოსი", ა(ა)იპ "აქცენტი", ა(ა)იპ "თავისუფალი ფეხბურთი", ა(ა)იპ "სამოყვარულო ლიგა", ა(ა)იპ "საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაცია", ა(ა)იპ "სპორტული კლუბი არაგველები", რაგბის კლუბი ა(ა)იპ „რაშები“, ა(ა)იპ „თბილისი-ბასკეტი“, ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი „აფხაზეთი", ა(ა)იპ „საქართველოს სპორტის ტრადიციული სახობების და თამაშების ასოციაცია“, ა(ა)იპ „საქართველოს სპორტის ქვიშის სახეობათა ეროვნული ასოციაცია“ და ა(ა)იპ „საქართველოს პარალიმპიური კომიტეტი“;

2018 წელს ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, დაფინანსდა ა(ა)იპ წყალბურთელთა გუნდი „თბილისი“ და ა(ა)იპ „ისანი–სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი“; კომუნალური ხარჯებისა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების დასაფარად - ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი–ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“; სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისთვის საფეხბურთო ინვენტარის შესაძენად - ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი "იმედი"; სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის გაგრძელების მიზნით - ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი–ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“, ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედი“, ა(ა)იპ „ისანი–სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი“, ა(ა)იპ „ჩოგბურთის განვითარება“ და ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრი“;

საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში თბილისის პირველობები და ჩემპიონატები,

სასწავლო–საწვრთნო შეკრებები, ქ. თბილისის ნაკრებმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში. ასევე, დაფინანსდა ფედერაციებისთვის სპორტსმენთა ეკიპირებისა და სპორტული ინვენტარის შეძენა, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისათვის თბილისელი სპორტსმენების დაჯილდოვება და სხვა, სულ 2018 წელს დაფინანსდა 271 პროექტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 213 000 - მდე ბენეფიციარმა, კერძოდ:

ქ.თბილისის თასის გათამაშებები, პირველობები და ჩემპიონატები: ბადმინტონში, მაგიდის ჩოგბურთში, ტანვარჯიშში, ძალოსნობაში, ჭადრაკში, ფარიკაობაში, ტაეკვონდოში, მშვილდოსნობაში, ჯიუ-ჯიცუში, ხუთჭიდსა და ტრიატლონში, უშუში, კრივში, ქართულ ჭიდაობაში, ცურვაში, მძლეოსნობაში, სპორტულ აკრობატიკაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, სპორტულ ტანვარჯიშში, სროლაში, ფრენბურთში, ფრისბიში, ბილიარდში, აფროსნობაში, ფეხბურთში, საცხენოსნო სპორტში, ავტოსპორტში, რაგბში, მკლავჭიდში, ბოდიბილდინგსა და ფიტნესში, მინი ფეხბურთში და ამერიკულ ფეხბურთში.

თბილისის გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ტურნირებში და ევროპის ჩემპიონატებში საქართველოში და საზღვარგარეთ: ბადმინტონში, ნიჩბოსნობაში, მშვილდოსნობაში, ქვიშის ფრენბურთში, ბატუტზე ხტომებში, დარბაზის ჰოკეიში, უშუში, ნარდში, კარატეში, ჩერლიდინგში, ძიუდოში, ჭადრაკში, სამჭიდში, ათლეტიზმში, მხატვრულ ტანვარჯიშში, სპორტულ ტანვარჯიშში, ფარიკაობაში, კრივში, ხუთჭიდსა და ტრიატლონში, ცურვაში, მხატვრულ ცურვაში, წყალბურთში, კენდოში, პარაფრენბურთში, ჯიუ-ჯიცუში, ფეხბურთში, ჩოგბურთში, კიკბოქსინგში, ბილიარდში, ბიატლსა და ტრიატლში, კუდოში, კალათბურთში, გოლფში, სკეიდბორდში, სამბოში, ბ/რ ჭიდაობაში და უძლიერეს მამაკაცთა ტურნირში.

თბილისის გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს თასის გათამაშებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში: მაგიდის ჩოგბურთში, ძალოსნობაში, მშვილდოსნობაში, ფარიკაობაში, ფრენბურთში, კრივში, თავისუფალ ჭიდაობაში, ბერძნულ/რომაულ ჭიდაობაში, ქართულ ჭიდაობაში,

ბეისბოლში, ნიჩბოსნობაში და ველოსპორტში. დაფინანსდა სასწავლო-საწვრთნო შეკრებები: მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, ცურვაში, მშვილდოსნობაში, დარბაზის ჰოკეიში, ძიუდში, უშუში, ჯიუ-ჯიცუში, კალათბურთში, ძალოსნობაში, ფრისბიში, ფარიკაობაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, სპორტის ტრადიციულ სახეობებში, სამბოში, ქვიშის ჭიდაობაში, ეტლით ფარიკაობაში, ფეხბურთში და ბეისბოლში.

თბილისის გუნდებმა სახელობით ტურნირებში მონაწილეობა მიიღეს: ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ძალოსნობაში, ბ/რ ჭიდაობაში, ქართულ ჭიდაობაში, მეკლდეურობაში, ფეხბურთში, ნიჩბოსნობაში და წყალბურთში.

ასევე, დაფინანსდა სხვადასხვა პროექტები: საჭადრაკო პროექტი "მილიონი სვლა“, მთამსვლელთა ჰიმალაების საერთაშორისო ექსპედიციაში ექსპედიციის ხელმძღვანელის მონაწილეობა, ქ. ბათუმში აჭარის ღია პირველობაზე სპორტულ აკრობატიკაში თბილისის გუნდის მონაწილეობა, თბილისის ძალოსანთა ნაკრები გუნდის სავარჯიშო დარბაზის კომუნალური ხარჯების დაფარვა, 3X3-ზე კალათბურთის მსოფლიო ტურის საკვალიფიკაციო ტურნირი "თბილისი ჩელენჯი 2018", ფოთის რეგატაზე ნიჩბოსნობაში ქ.თბილისის ნაკრები გუნდის მონაწილეობა, სამოყვარულო ფეხბურთში "თბილისის ლიგა 2018", პატარა ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა"-ს ფარგლებში შშმ პირთა პარაპლანით ფრენის ღონისძიება, "თბილისი გალერეას" ბოულინგ კლუბში "მედიის ღია სპორტული ფესტივალი" ბოულინგში, მაგიდის ჩოგბურთში და ნარდში, "სასკოლო სპორტული ოლიმპიადა თბილისი 2018", იტალიის ქ. რომში ევროპის "Junior Camp-2018"-ში თბილისის ამპუტანტ ფეხბურთელ ბავშვთა გუნდ "Junior"-ის 5 მოთამაშისა და 2 მწვრთნელის მონაწილეობა, საფეხბურთო კლუბი "დიდუბე 2014"-ის სოციალურად დაუცველი, დევნილი და შეჭირვებული ბავშვების, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის "ღია ლიგის" ჩემპიონატის მონაწილეთა ტრანსპორტით მომსახურება, კახეთში, ლოპოტას გადასახვევთან მსოფლიო რბენა "Wings for Life World Run". მოხდა ვარჯიშებისთვის დარბაზისა და მოედნის იჯარის დაფარვა "შავფაროსნები"-სთვის, ბავშვთა საფეხბურთო სკოლა "აფხაზეთი"-სთვის, ამერიკული ფეხბურთის თბილისის გუნდებისთვის

და მშვილდოსნობის კლუბებისთვის. გაიმართა 8 მარტისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ნარდში და ქალთა ფეხბურთში, ფეხბურთის ასაკობრივი ჩემპიონატი საფეხბურთო სკოლებს შორის "მშვიდობის თასი-საქართველო", სპორტული ფოტოს შემაჯამებელი გამოფენა და კატალოგის "სპორტფოტო - 2017"-ის გამოცემა, წყალბურთში "იადრან ჰერცეგ-ნოვი"-ს ბანაკი, ტანვარჯიშში ჯგუფური ვარჯიშის კომპოზიციის დასადგმელად იტალიელი ქორეოგრაფის მარტა პანინის ჩამოყვანა, "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა"-ფარგლებში ჯომარდობის, პეინტბოლის, მშვილდოსნობის, მეკლდეურობის და ზიპლაინის ჩემპიონატებში და ეტლებით სპორტული ცეკვების მინიფესტივალში თბილისელი შშმ პირების მონაწილეობა, ფეხბურთში იუვენტუსის აკადემიის საწვრთნელი ბანაკი, "კალათბურთის სამოყვარულო ლიგა 2019", ბოულინგის 2018 წლის შემაჯამებელი ღია მედიატურნირი, ,,თბილისობა-2018“-ის ფარგლებში გაიმართა ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, ნარდში, ავტოგამოფენა, ქართული საბრძოლო ხელოვნების საჩვენებელი წარმოდგენა, წიგნის "ლაშა ტალახაძე" გამოცემა, "სასკოლო სპორტული ოლიმპიადა თბილისი 2019" და "სპორტფოტო 2018", თბილისის ბავშვთა საფეხბურთო გათამაშებების (ელიტ-ლიგა, თბილისის ლიგა) გამარჯვებულთა დაჯილდოვება, პროექტის ,,აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“-ს ფარგლებში 2019 წლის კალენდრის პრეზენტაცია და შეჯიბრებები შშმ პირთა შორის ბილიარდში, პეინტბოლში, მაგიდის ჩოგბურთსა და სროლაში.

თბილისში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით, განხორციელდა 46 სპორტული ფედერაციისა და კლუბისთვის საჭირო ინვენტარითა და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა, ესენია: ჰოკეის, ამერიკული ფეხბურთის, ველოსპორტის, ხუთჭიდისა და ტრიატლონის, ქალთა საფეხბურთო გუნდის, კალათბურთის, კრივის, მძლეოსნობის, საცხენოსნო სპორტის, წყალბურთისა და მხატვრული ცურვის, სროლის, ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის, უშუს, ფეხბურთის, ფრენბურთის, ქართული ჭიდაობის, ყინულის ჰოკეის, ჩოგბურთის, ძალოსნობის, ძიუდოს, ჭადრაკის, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობის, ხელბურთის, კიოკუშინკაი კარატედოს,

სპორტული ცოცვის, ფრისბის, ნარდის, სამბოს, მშვილდოსნობის, ტანვარჯიშის სახეობების, ფარიკაობის, ტაეკვონდოს, ქუჩის ფეხბურთის, კარატეს, კონტაქტური კარატეს, ნიჩბოსნობის, სპორტის ტრადიციული სახეობების, საბრძოლო ხელოვნების, პარალიმპიური სახეობების, რაგბის ფედერაციები და კლუბები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაიმართა 271 სპორტული ღონისძიება, კერძოდ: თბილისის ღია პირველობები, ტურნირები და ჩემპიონატები - 72 ღონისძიება; მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, საერთაშორისო ტურნირებში და თასის გათამაშებებში საქართველოში და საზღვარგარეთ მონაწილეობა მიიღეს თბილისის ნაკრებმა გუნდებმა და სპორტსმენებმა - 69 ღონისძიებაში; ქ.თბილისის ნაკრებმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჩემპიონატებში და პირველობებში - 30 ღონისძიება; მოეწყო - 25 სასწავლო-საწვრთნო შეკრება; სახელობით ტურნირებში მონაწილეობა მიიღეს თბილისის გუნდებმა - 10 ღონისძიება; ასევე, დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები - 65 ღონისძიება; ქ.თბილისის და ეროვნული სპორტული ფედერაციებისთვის ინვენტარის და ეკიპირების შეძენა - 46 ერთეული; მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისთვის დაჯილდოვდა 41 თბილისელი სპორტსმენი.

08 06 02 მწვრთნელთა მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 2,252.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,250.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული ბავშვთა ჯგუფებთან მომუშავე მწვრთნელ–მასწავლებლები; ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლენა და მსოფლიო დონის სპორტსმენთა აღზრდა, რაც საერთაშორისო მაშტაბით სახელს გაუთქვამს საქართველოს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის

სხვადასხვა სახეობის 347 მწვრთნელ - მასწავლებელს, რომლებიც სპორტის 49 სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს.

08 06 03 სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 20.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 14.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 71.3%-ია

დასახული შუალედური შედეგები: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები, მოზარდები და ზრდასრული ადამიანები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია 2016 წელს ქალაქ თბილისში, 20 მისამართზე დამონტაჟებული გარე-გამოყენების ფიტნეს-ტრენაჟორების აღდგენა-შეკეთების ხარჯები, რომელიც ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას და სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვებისა და მოზარდების, ასევე, ზრდასრული ადამიანების ხელმისაწვდომობის ზრდას.

08 06 04 სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; სპორტული ცენტრები.

2018 წლის გეგმა - 4,735.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,811.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 80.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საერთაშორისო სტანდარტების სპორტული ინფრასტრუქტურა; სპორტულ ცენტრებში მომსახურების გაუმჯობესებული სერვისები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები: ა(ა)იპ „გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის" სტრუქტურული ერთეულის გლდანის საცურაო აუზის ფიტნეს დარბაზის

აღჭურვა; დაბა წყნეთში, ამილახვრის ქ.#21-ში სპორტული დარბაზის სამშენებლო-საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, სამშენებლო სამუშაოები და კომუნიკაციების დაერთება (წყალი, გაზი); დასრულდა ა(ა)იპ „გლდანი–ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის" ნაძალადევის კომპლექსის, საცურაო აუზისა და სპორტული დარბაზის მშენებლობა და აღჭურვა, სპორტულ ბაზაზე მოეწყო ჭიდაობის დარბაზი, კრივის რინგი და 2 საცურაო აუზი (დიდი – 25 მ. პატარა – 15 მ). ასევე, სპორტსმენებისთვის მოეწყო ფიტნეს–დარბაზი, გასახდელები და კაფე. სრული დატვირთვის შემდეგ ცენტრი მოემსახურება 1 000-ზე მეტ ბენეფიციარს; ა(ა)იპ "ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი"–ს სტრუქტურული ერთეულის – მუხიანის რაგბის კომპლექსის აღჭურვა და ნაძალადევის სპორტული კომპლექსისთვის გენერატორის შესყიდვა; მულტიფუნქციური კომპლექსების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაიზარდა საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სპორტული ობიექტებისა (3 ობიექტი) და სპორტული ობიექტით მოსარგებლე პირთა რაოდენობა (4960 ბენეფიციარი).

08 06 05 წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 353.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 352.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები; წახალისებული ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სპორტის 34 სახეობაში 18 წლამდე ასაკის 240 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი.

08 06 06 პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი

2018 წლის გეგმა - 1,148.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,080.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.1%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: არანაკლებ 15 სპორტულ სახეობაში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი. სხვადასხვა პარასპორტულ საერთაშორისო-სარეიტინგო შეჯიბრებებში ქართველი პარასპორტსმენების მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ "თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი"ს ფუნქციონირების ხარჯები: ცენტრში მიმდინარეობდა ინტენსიური საწვრთნელ–სარეაბილიტაციო პროცესი, საერთო ჯამში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართულია 208 პარასპორტსმენი და 16 მწვრთნელი. ცენტრში ვითარდება 15 პარასპორტული სახეობა, ესენია: ამპუტანტთა ფეხბურთი, უსინათლოთა ფეხბურთი, ეტლით მოსარგებლეთა ფარიკაობა, პარამკლავჭიდი, პარამშვილდოსნობა, ეტლით მოსარგებლეთა ჩოგბურთი, პარამაგიდის ჩოგბურთი, ბოჩა, ეტლით მოსარგებლეთა კალათბურთი, მჯდომარე ფრენბურთი, პარაძიუდო, წოლჭიმი (სპინალური დაზიანების მქონე პირთა ძალოსნობა), აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების კალათბურთი, აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების ფეხბურთი, პარატაეკვანდო. ასევე, ცენტრში ტარდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრი და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი 15 სპორტულ სახეობაში; ქართველი პარასპორტსმენების მონაწილეობა 17 პარასპორტულ საერთაშორისო-სარეიტინგო შეჯიბრებაში; 13 საერთაშორისო-სარეიტინგო შეჯიბრებაში დაკავებული საპრიზო ადგილი; 200-მეტი პარასპორტსმენის ჩართვა რესოციალიზაციის პროცესში.

08 08 ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსებულია 1,906.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,964.2 ათასი ლარის 97%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 08 01 ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი

2018 წლის გეგმა - 1,219.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,179.3 ათასი ლარით. რაც გეგმის 96.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ახალგაზრდების მონაწილეობა გასართობ, შემეცნებით, მასობრივ სპორტულ ღონისძიებებსა და სხვადასხვა კულტურულ და სადღესასწაულო ღონისძიებებში. ახალგაზრდობისათვის უზრუნველყოფილი იქნება თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების ინფრასტრუქტურა და გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: „საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის“ მიერ ორგანიზებული ბოულინგის ტურნირი და პროექტი „საჯომარდო ბანაკი“, რომლის მიზანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობის ხელშეწყობა; (ა)იპ „მომავლის სოფლის“ პროექტი „თბილისის სახალხო უნივერსიტეტი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა” და პროექტი „100 ამბავი დამოუკიდებლობაზე“; ა(ა)იპ „აფხაზეთი ჩემი სახლის“ პროექტი “დებიუტი“ (სტუდენტთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური კრებული); ა(ა)იპ „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ პროექტი „თბილისის 2018 წლის ღია ფესტივალი მხიარულთა და საზრიანთა გუნდებს შორის“; ა(ა)იპ „საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის” პროექტი „საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2018-ის დასკვნითი თამაშები - თბილისი 2018“; ა(ა)იპ “აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირი ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარების” პროექტი „ჩემი სამშობლო, ჩემი გულია”; ა(ა)იპ “მშვიდობისა და ინტეგრაციის

საერთაშორისო ცენტრის“ პროექტი „Sharing Fest“; ა(ა)იპ “სამოქალაქო ინიციატივა - საზოგადოების ჯანმრთელობისათვის” პროექტი “სტუდენტები ცხოვრების ჯანსაღი წესისთვის”; ა(ა)იპ „სტუ სტუდენტური კოალიციის“ პროექტი “სტუ-ს სტუდენტური დღეები 2018 - ჯანსაღი ცხოვრებით თავისუფლებისკენ”; ა(ა)იპ “თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრი“-ს პროექტი „ხელოვნების გზით“; კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის პროექტი „თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები და უსაფრთხოება - საზაფხულო ბანაკი"; „ჰელფინგ ჰენდი“-ს პროექტი „მოხალისეების თბილისისთვის“; ახალგაზრდების წინსვლაზე ორიენტირებული „თბილისის კომპიუტერული სპორტის ფედერაციის” პროექტი „ტექნოლოგიური ბანაკი - „ინოვაცია თბილისისთვის“ (ჩატარდა 4 დღიანი ტექნოლოგიური ბანაკი, რომელიც მოიცავდა ტრენინგს თემაზე - „როგორ წარვუდგინოთ პროექტი ინვენსტორს“ და 72 საათიან ჰაკათონს სამ თემაზე: 1. ინოვაციური პროექტები თბილისისთვის; 2. ენერგო-ეფექტურობა, მწვანე ენერგია, ეკოლოგია; 3. ინოვაცია ტურიზმის განვითარებისთვის) და „თბილისის ღია ჩემპიონატი (მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი) - თბილისის ჩემპიონების წვრთნა მსოფლიო ჩემპიონატისათვის“; „ფესტივალი 1862“-ის პროექტი „თბილისის საბავშვო ფესტივალი“ და „ნიკო-ქუჩის ხელოვნების ფესტივალი”; „გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპინისტური კლუბი”-ს პროექტი „თბილისის შემოგარენის სალაშქრო ტურისტული პოტენციალის პოპულარიზება“; „ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კვლევისა და განვითარების ფონდი“ პროექტი - „გვიდირიჟორე“, რომლის მიზანია ახალგაზრდების დაინტერესება კლასიკური საორკესტრო მუსიკით; „ფორსეტი“-ს პროექტი „DataFest Tbilisi 2018“, რომლის მიზანია მონაცემთა ტექნოლოგიებით ახალგაზრდების დაინტერესება; „საქართველოს გულის ფონდი+“-ის პროექტი „ახალგაზრდულ, სამეცნიერი, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებათა კოპმლექსი მსოფლიო გულის დღის ფარგლებში“, პროექტის მიზანს წარმოადგენდა ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება და მისი დევიზი იყო - „გული ჯანმრთელობისთვის“; „საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის“ პროექტი „თბილისის სტუდენტური ფესტივალი 2018“, რომელშიც

მონაწილეობა მიიღო თბილისში მოქმედმა 20-ზე მეტმა სახლემწიფო და კერძო უმაღლესმა სასწავლებელმა და 30 000-ზე მეტმა სტუდენტმა. ფესტივალი მოიცავდა სპორტულ შეჯიბრებებს უნივერსიტეტების სტუდენტურ გუნდებს შორის სპორტის 6 სახეობაში: მინი ფეხბურთი, ფრენბურთი (გოგონები და ვაჟები), ჩოგბურთი (გოგონები და ვაჟები), ქუჩის კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი (გოგონები და ვაჟები), ბოულინგი (გოგონები და ვაჟები); ფესტივალი „თბილისი“-ს ფარგლებში დაფინანსდა სპორტული და გასართობ-სანახაობითი ღონისძიებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში: კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მინი გოლფი, მფრინავი დისკი, მკლავჭიდი, ბუშტების ფეხბურთი, ფესტივალის ფარგლებში სპორტის 15-მდე სახეობაში გაიმართა 8 ღონისძიება და 8 კონცერტი შოუ-ბიზნესის ცნობილი ვარსკვლავების მონაწილეობით; გრაფიტის მიმართულებით ჩატარებულ ფესტივალებში მონაწილეობა მიიღო 50-მა ახალგაზრდა მხატვარმა, ასევე 20-ზე მეტმა უცხოელმა მხატვარმა. ქუჩის მუსიკის მიმართულებით ჩატარდა მასტაბური ფესტივალი, რომელშიც 200-ზე მეტი მუსიკოსი მონაწილეობდა, აგრეთვე სხვადასხვა ახლადშექმნილი ბენდები. ასევე, ანაზღაურებულ იქნა ახალი წლის ღონიძიებების გამართვისთვის საჭირო თანხები, რომელთა ვალდებულებები აღებულ იქნა 2017 წელს და სხვა ღონისძიებები.

გარდა ამისა, დაფინანსდა ა(ა)იპ ,,თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“ – 300.2 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების დაფინანსება, სახლის მიერ გაწეული კომუნალური, დასუფთავების, კავშირგაბმულობის და მიმდინარე რემონტის ხარჯები. ასევე, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა სასწავლო ინფრასტრუქტურის განახლებისა და მოწესრიგების მიზნით. კერძოდ: სამგორის ფილიალის კალათბურთის მთელ დარბაზში 300 კვ. მეტრ ფართზე შეკეთდა იატაკი, შეიცვალა ელექტროგაყვანილობა და დამონტაჟდა დარბაზის განათების 10 პროჟექტორი, დასრულდა ძიუდოს დარბაზის კეთილმოწყობისა და აღჭურვის სამუშაოები, დაიგო ახალი ტატამი, ჩუღურეთის ფილიალის თეატრალურ დარბაზში შეიცვალა იატაკის საფარი და შეკეთდა ელექტროგაყვანილობა, ნაძალადევის, დიდუბის,

ჩუღურეთის, ძველი თბილისის, ვაკის, ისნისა და სამგორის ფილიალებში ჩატარდა სხვადასხვა სახის გადაუდებელი მცირე შეკეთებითი, სანტექნიკური და ელექტროგაყვანილობის სამუშაოები. სამგორისა და ისნის ფილიალებისათვის შესყიდულ იქნა კომპიუტერები, ყველა ფილიალისათვის შეძენილი იქნა პირველადი სამედიცინო დახმარების მედიკამენტები, საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი და სხვა. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში სახლის ფილიალებში ჩატარდა არაერთი სასწავლო, შემეცნებით–განმავითარებელი, სპორტული ღონისძიება, საქველმოქმედო აქცია, ინტეგრირებული, ღია და სამოდელო მეცადინეობა, შეხვედრა – საღამო და სხვა აქტივობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ახალგაზრდული მიმართულებით დაფინანსდა 56 პროექტი; ღონისძიებებში უშუალოდ მონაწილეობა მიიღო 17000 მდე ახალგაზრდამ; თბილისის ახალგაზრდობის ფორუმში მონაწილე 400-ზე მეტი ახალგაზრდა; ქუჩის ხელოვნების ხელშეწყობის (გრაფიტი და ქუჩის ფესტივალები) ღონისძიებებში მონაწილე 270-ზე მეტი მონაწილე; ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების ხელშეწყობის მიმართულებით ჩართული 800 მონაწილე; ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებში ჩართული იყო 1000 -ზე მეტი ახალგაზრდა.

08 08 02 თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება

2018 წლის გეგმა - 744.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 727.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 97.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების დონის ამაღლება; მოხალისეობრივი ინსტიტუტის გაძლიერება; საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეთა რაოდენობის ზრდა; ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან კოორდინირებული თანამშრომლობის ფორმატი;

ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა; ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა ახალგაზრდებში

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების“ ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, გაწეულია გაერთიანების მიერ კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები, მათ შორის: თბილისის ახალგაზრდობის ფორუმის საორგანიზაციო ხარჯები (სივრცის იჯარა), სპორტული ფესტივალის „თბილისი“ საორგანიზაციო ხარჯები (მათ შორის: სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, ინვენტარის შეძენა ღონისძიებებისთვის), ახალგაზრდული ორგანიზაციების პროექტების დაფინანსების ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებებისთვის შეძენილ იქნა სალაშქრო და საჯომარდო აღჭურვილობა (ველოსიპედები; ჩაფხუტები; ჯომარდობის ნავები, ნიჩაბები და ჟილეტები; კარვები, საძილე ტომრები და ლეიბები), ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მონტაჟი ფონიჭალის სასწავლო ცენტრში და სხვა ღონისძიებები. ამასთან, ცენტრების გაერთიანების მიერ არაფორმალური განათლების პროგრამის ფარგლებში, ტრენინგ-კურსებში მონაწილეობა მიიღო 180 ახალგაზრდამ.

ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებამ კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურთან თანამშრომლობით ჩაატარა „თბილისის ახალგაზრდობის ფორუმი - 2018“, რომელსაც ესწრებოდნენ თბილისში მოქმედი ადგილობრივი საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფო უწყებები და ახალგაზრდები. ფორუმს ორი დღის განმავლობაში ესწრებოდა 300-მდე მონაწილე.

ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების აქტიური ჩართულობით განხორციელდა თბილისის მერიის საზაფხულო პროგრამები, სადაც მონაწილეობა მიიღო 1600 ახალგაზრდამ, განხორციელდა „მოხალისეთა ბანაკი“, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდების მოტივირება და მოხალისეთა ინსტიტუტის გაძლიერება. ახალგაზრდებისთვის შემუშავდა სპეციალური ტრენინგ მოდული, რომელიც მოიცავდა შემდეგ თემებს: „მოხალისეობის ინსტიტუტი“, „ეფექტური

კომუნიკაცია“, „პროექტის წერა“, „რეზიუმეს და სამოტივაციო წერილის წერა“. „მოხალისეთა ბანაკში“ მონაწილეობა მიიღო 350-მა ახალგაზრდამ. განახლდა ელექტრონული სერვისები. წინა წლებთან შედარებით გაიზარდა მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დედაქალაქის დონეზე ახალგაზრდებისთვის შეიქმნა შესაფერისი გარემო და პირობები, სადაც შეძლებენ ხარისხიანი ცოდნის მიღებას, თვითრეალიზაციას და საჭირო უნარ-ჩვევების შეძენას.

08 09 შემოქმედებითი თბილისი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2018 წლის გეგმა - 280.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 269.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 96.1%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ხელოვნების ინოვაციური დარგების პოპულარიზაცია და განვითარების ხელშეწყობა; კულტურული ტურიზმის განვითარება; შემოქმედებით ინდუსტრიებში კულტურული მემკვიდრეობის როლის წარმოჩენა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საქართველო იაპონიას შორის 25-ე საზეიმო კონცერტისათვის დარბაზის იჯარის ხარჯი და 11 სხვადასხვა პროექტი, მათ შორის: „საცხოვრებელი სახლი“, „კანის ლომების ახალგაზრდული შეჯიბრი 2018“, „ძველი თბილისის ქუჩების კერამიკული აბრები“ და თანამედროვე ხელოვნების ბაზრობა“, „შოთა საგანელიძის საავტორო გამოფენა“, „თბილისის მესამე ტრინალე „ნება“, „ეთნოფესტი“, „პრინტის საერთაშორისო ფესტივალი“, „მულტიდისციპლინური გამოფენა - მდგომარეობათა შორის“, „ნაძვის ხეები ფესტივალი 2018“ და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დაფინანსებული პროექტების რაოდენობამ შეადგინა - 11.

08 11 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში დაფინანსებულია 992.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,002.4 ათასი ლარის 99%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 11 01 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 95.1 ათასი ლარი დაფინანსებულია 95.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები, მათ შორის: დედის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება, ფრენბურთის ტურნირი ბიჭებისთვის და გოგონებისთვის (პროექტში ჩართული იყო 250 მოსწავლე), 25 საჯარო და 10 კერძო სკოლაში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ტრეინინგი (მონაწილეობდა 900 მდე მოსწავლე), ფიბას სტანდარტებით ერთ დღიანი ტურნირი ქუჩის კალათბურთში (4 კაცისგან შემდგარი 16 გუნდი), რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირებისთვის ტურნირი ტყვიის სროლაში, საჯარო და კერძო სკოლების დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის, ზღაპრის ფესტივალი ცეროდენა; ნოდარ მოდებაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, 15 კგ წონით კატეგორიაში (მონაწილეობა მიიღო 150 - მდე მოზარდმა), გლდანის რაიონის გამგეობის ორგანიზებით ბავშვთა გასართობი ღონისძიების მოწყობა გლდანის პარკში; გარემოს დაცვის დღის აღსანიშნავად 100 სოციალურად დაუცველი მოზარდის კონტაქტურ ზოოპარკში წაყვანასა და წიგნებით დასაჩუქრებაზე, რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სპორტული ტურნირის ჩატარება მინი ფეხბურთში (საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს გადაეცათ სპორტული

მაღაზიის ვაუჩერები, მედლები და თასები); რაიონის მასშტაბით, 25 საჯარო და 8 კერძო სკოლაში ჩატარდა ტრეინინგი - „შეცვალე დამოკიდებულება შშმ პირების უფლებები“, რომელშიც მონაწილეობდა 1 000 მდე მოსწავლე; საახალწლოდ, რაიონში მცხოვრები და რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სარეაბილიტაციო ცენტრებსა და სკოლებში მყოფი 120 შშმ ბავშვისთვის „მაქსილენდის“ გასართობ ცენტრში გაიმართა წინასაახალწლო ღონისძიება და რაიონში მცხოვრები მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახიდან 750 ბავშვი მიპატიჟებული იყო თეატრში, სადაც გაიმართა საბავშვო სპექტაკლი, დასრულების შემდეგ კი მათ გადაეცათ საჩუქრები და სხვა ღონისძიებები.

08 11 02 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გაგეობა

2018 წლის გეგმა - 88.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 88.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: „საახალწლო კარნავალის“ ორგანიზება; დედის დღესთან დაკავშირებული კულტურულ - შემეცნებითი ღონისძიება - „საჩუქარი დედას“; „ქალთა საერთაშორისო დღის“ აღსანიშნავი სპორტულ-გასართობი ღონისძიება, ფრენბურთის ჩემპიონატი; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიები, კალათბურთისა და მინი ფეხბურთის ორგანიზება. საჯარო სკოლების ბიბლიოთეკისათვის სასწავლო წლის დაწყების მისალოცად 22 დასახელების (22 ეგზემპლარი) საბავშვო წიგნების შესყიდვა; „თბილისობა 2018“ - კულტურულ - გასართობი ღონისძიების ორგანიზება; საგანმანათლებლო - კულტურული შეჯიბრის "წიგნი-ერი"-ს ორგანიზება; შშმ პირთა უფლებების დაცვის დღეს - შშმ ბავშვებისათვის თოჯინების თეატრის წარმოდგენის ორგანიზება ასოციაცია „ანიკაში“ და სხვა.

08 11 03 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 138.5 ათასი ლარი დაფინანსებულია 138.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მათ შორის: ,,მხიარულები, საზრიანები და გაზაფხულის დღესასწაულები 2018“, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ღონისძიებები: „ჩემი უბანი“, „მე ვსწავლობ“, „წინასაახალწლო ღონისძიებები 2018“, ,,სპორტი ცხოვრების წესი - 2018“; ,,ფრენბურთის“, ,,ბადმინტონის“, ,,ქუჩის კალათბურთის 3X3“, ,,მინი ფეხბურთის“ ტურნირები, დიდუბის რაიონში 2016, 2017, 2018 წლებში ჩატარებული ფრენბურთის რაიონული ტურნირების გამარჯვებული გუნდისთვის („ლელო“) სპორტული ფორმების შეძენა, 147-ე საჯარო სკოლის ბავშვთა ვოკალური ანსამბლისათვის მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა.

08 11 04 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 95.4 ათასი ლარი დაფინანსებულია 95.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: სკოლებს შორის ტურნირი ფრენბურთში, ახალგაზრდებს შორის შეჯიბრი კალათბურთში და მინი ფეხბურთში, მარათონი

„ჩემი გაზაფხული 2018“, სპორტული ფესტივალი „ჩუღურეთი-2018“ და საცურაო აუზზე 8-15 წლის ბავშვებისათვის და ლისის ტბის მიმდებარედ სკოლი მოსწავლეებისათვის კულტურულ-გასართობი ღონისძიება და ასევე აღინიშნა დედამიწის საერთაშორისო დღე და რაიონში მცხოვრები ბავშვებისათვის ჩატარდა საახალწლო კულტურულ-გასართობი ღონისძიება. ამასთან, დაფარულია 2017 წელს ჩატარებული საახალწლო კულტურული ღონისძიების მომსახურების დავალიანება 16.7 ათასი ლარი.

08 11 05 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 98.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: კალათბურთის, ფრენბურთის, მინი ფეხბურთის „ვაკის თასი-2018“-ის, ღია საჩოგბურთო ტურნირების ჩატარების ორგანიზების ხარჯები, ბავშვთა დღისადმი და წყნეთობის, თბილისობის, და საახალწლო (SOS “ბავშვთა სახლის“ აღსაზრდელებისთვის) დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებისა და ფერების ფესტივალის ჩატარების ორგანიზების მომსახურების ხარჯები, ამასთან, დაფარულია 2017 წელს ჩატარებული საახალწლო კულტურული ღონისძიების მომსახურების დავალიანება 25.5 ათასი ლარი.

08 11 06 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გაგეობა

2018 წლის გეგმა - 97.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 97.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თავისუფალ ჭიდაობაში, ფრენბურთის, წყალბურთის, კალათბურთისა და მინი ფეხბურთის ტურნირის ჩატარების ორგანიზების მომსახურება, ბურთებისა და სპორტული მაისურების შესყიდვა, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის აღსანიშნავი ღონისძიება, შშმ სტატუსის მქონე ბავშვებისათვის სასაჩუქრე ბარათების (ვაუჩერების) შესყიდვა, „შშმ ბავშვების ერთი დღე აკვაპარკში“ ჩატარების ორგანიზება, პროექტის „სტუდენტობა თვითმართველობისათვის“ განხორციელების ორგანიზება და დედის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიება, ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, „დიდგოროზის“ ტრადიციული დღესასწაულის ღონისძიება, ღონისძიების - „უბნის კინოჩვენება“ ორგანიზება, კინოთეტრისა და კონცერტის ბილეთების შეძენა, საახალწლო ღონისძიების ორგანიზება და სხვა.

08 11 07 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გაგეობა

2018 წლის გეგმა - 95.9 ათასი ლარი დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მრავალშვილიანი ოჯახის დედებისათვის აღსანიშნავი კულტურული - საგანმანათლებლო, საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის 2 დღიანი კულტურულ-შემეცნებითი, ბავშვთა დაცვის, წიგნისა და საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი, თბილისობის და მასწავლებლის დღესთან დაკავშირებული ღონისძიებების, ფრენბურთის, ფეხბურთის, მინი ფეხბურთის,

ფეინთბოლის, ქუჩის კალათბურთის, ცურვისა და კრივის ტურნირების ორგანიზების და სპორტული საქონელის შეძენის ხარჯები.

08 11 08 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გაგეობა

2018 წლის გეგმა - 91.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ქალთა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიებების, საახალწლო ღონისძიების, წარჩინებულ მოსწავლეთა საგანმანათლებლო კვირეულის, ჭიდაობის, ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის ტურნირის ორგანიზების ხარჯები.

08 11 09 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 99.2 ათასი ლარი დაფინანსებულია 95.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 96%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ორდღიანი ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, კიკ-ბოქსინგში, მინი ფეხბურთსა და ფრენბურთში. ასევე, გაწეულია საახალწლო-საშობაო, 3 მარტს - დედის დღესთან დაკავშირებით, 1 ივნისს ბავშვთა დაცვის დღისადმი, კრწანისობისა და სახალწლო-საშობაო დღესასწაულთან დაკავშირებით კულტურულ-გასართობი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები. ამასთან, დაფარულია 2017 წელს შესრულებული მომსახურების ღირებულება 5.5 ათასი ლარი.

08 11 10 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2018 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი, დაფინანსებულია 96.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

